

# გალვა ნუზუგის 130



თავისუფლება  
ერთი პირობით

## თავისუფლება ერთი პირობით



შალვა წეცუძიპე

130

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს უძღვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, დიდი მეცნიერის, ფილოსოფოსის, კულტურის ისტორიკოსის, რუსთველოლოგის, საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 130 წლისთავს.

პუბლიცისტური ნარკვევები, რომელშიც ამ დიდი პიროვნების მრავალმხრივი მიღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული და გაანალიზებული და რომელშიც დროისა და მოვლენების შალვა ნუცუბიძესთან ურთიერთ-მიმართებაა წარმოჩენილი, ვაჟიქრობთ, დააინტერესებს ჩვენისაზოგადოების ცენტრალურას, განსაკუთრებით კი დიდი ადამიანების ბიოგრაფიების მკვლევრებს, ასევე, სტუდენტებსა და საჯარო სკოლების მაღალი კლასების მოსწავლეებს, რომელთაც უნდა იცოდნენ მეცნიერების კლასიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი ფაქტი თუ მოვლენა.

ჩვენი ამოცანა – მომავალი თაობებისთვის ერის ღირსეულ შვილთა სახისა და საქმის შემონახვა, მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება. თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს ნარკვევთა სერიულ გამოცემებს, რომლებიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესამირკვლეულებს, ლგაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესიონერებს მიეძღვნება.

## კრებულის შემდგენელი და რედაქტორი: ნინო კაკულია

### სარედაქტო ჯუფი:

მარა ტორაძე  
მანანა კურხაძე  
თამარ ჩიხლაძე

### კომპ. უზრუნველყოფა:

ზაზა გულაშვილი

# სარჩევი

1	რედაქტორისაგან	5
2	შალვა წუცუბიძის პიოგრაფია თავიდანაა გადასაცასებელი თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა	7
3	შალვა წუცუბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	9
4	პიოგრაფიული ეპიზოდები ფესვები..... დაწყებითი განათლება და შეხვედრები საზოგადო მოღვაწეებთან .....	12
	ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდი და შეხვედრა ვაჟა- ფშაველასთან.....	12
	პეტერბურგის უნივერსიტეტში.....	14
	პირველი ნაბიჯები .....	17
	უნივერსიტეტის დაარსება.....	19
	საქართველოს უნივერსიტეტის დაარსება (შალვა წუცუბიძისეული მიმოხილვა).....	21
	შალვა წუცუბიძის პასუხი ნიკო მარს.....	23
	მოღვაწეობა უნივერსიტეტის გახსნიდან პირველსავე წლებში.....	40
	პოლიტიკური მოღვაწეობა .....	46
	პატიმრობისას ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ და სტალინის ეიფორია .....	53
	„რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ .....	55
	ფრაგმენტები საჯარო გასამართლებიდან.....	72
	„ფევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ და წუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია .....	74
	ეკლესიისადმი დამოკიდებულება .....	82
	მორიგი რეპრესიები შალვა წუცუბიძის წინააღმდეგ .....	84
	უკანასკნელი სიტყვა უნივერსიტეტში .....	85
	შფოთვით დასრულებული სიცოცხლე .....	85
5	ოპერები .....	90
	თამარ წუცუბიძის მოგონებები მამაზე .....	91
	დაუვინყარი ურთიერთობები .....	92
	დედა და მამა — ორი განსხვავებული სამყარო .....	93
	კგბ-ს ხრიკები .....	95
	რაში მომებმარა მამის სახელი? .....	96

<b>6</b>	<b>შეიცასებები შალვა ნუცუპიძეზე.....</b>	<b>99</b>
	რა იქნებოდა დღეს ქართული კულტურა, რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე? — <b>გურამ თევზაძე, აკადემიკოსი,</b> ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 2013 წ. ....	99
	„რუსთაველმა გამოართვა აღმოსავლეთს და მისცა დასავლეთს“ — <b>რისმაგ გორდეზიანი, ფილოლოგიის</b> მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი .....	101
	შალვა ნუცუბიძე არ იყო ე.წ. კაბინეტის პედანტი მეცნიერი — <b>ნატალია ორლოვსკაია, ფილოლოგიის</b> მეცნიერებათა დოქტორი.....	103
	შალვა ნუცუბიძემ გამოიგონა ერთგვარი ფილოსოფიური თამაში — თვითონ შექმნა თამაშის წესებიც და ფიგურებიც — <b>ირაკლი ბრაჭული, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,</b> თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.....	106
	შალვა ნუცუბიძე თავისი თეორიებით ქართველ ხალხს ეროვნული სიმაყის განცდის საფუძველს აძლევს — <b>აკაკი ყულიჯანაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა</b> დოქტორი, თსუ-ის პროფესორი.....	109
	ყველაფერზე ბრმად ხელისმონერით იგი ამბობდა: დამანებეთ თავი და მომშორდით აქედან — <b>მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი, 2013 წ.</b> .....	110
<b>7</b>	<b>ენამოსწრებულის „მარგალიტები“ .....</b>	<b>112</b>

« 1 «

## რედაქტორისაგან

დიდი ადამიანები უბრალოებაში იკარგებიან... ზოგჯერ იმდენად მიჩქმალულია ხოლმე მათი ქმედებანი, რომ თუ კონკრეტულად არ ჩაუღრმავდი თითოეულის პიროვნებასა და ღვანლს, თუ ისტორიის გაცრეცილ ფურცლებზე მათ შესახებ ნაწერი კარგად არ ამოიკითხე, ისე „უცნობად“ დარჩებიან შენთვის, თითქოს დიდი არაფერი შეუქმნიათო ამ ქვეყნად... დიდი ადამიანები საკუთარ თავზე დუმან ყოველთვის... თანამდებობა, წოდება, დამსახურებული ეპითეტი თუ სახელი ერთ სიტყვასა თუ ფრაზაში გამოითქმის – მის უკან კი ბობოქრობს „სპეციფიკური ადამიანურისგან“ განთავისუფლებული სული, რომელიც წვდება იმ სივრცეს, რასაც ჭეშმარიტება ჰქვია... სწორედ ამ სიმაღლეს მისნვდა თავისი ინტელექტით შალვა ნუცუბიძე, რომელმაც უნივერსიტეტის დაარსებისთვის ბრძოლის იდეას ის კონცეფციაც დაურთო, რაც მისი ტაძრად და ქართველთა მომრიგებელ კერად ქცევას უკავშირდება. შალვა ნუცუბიძემ დიდ რუს მწერლებსაც კი მოაძებნინა რუსული სალიტერატურო ენის ღრმა თავისებურებანი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნით... იგი თავისი ღრმად ფილოსოფიური აზროვნებით, პატარა საქართველოდან თითქმის მარტო შეებრძოლა მსოფლიო კულტურის სადავეების მპყრობელთ იმის წარმოსაჩენად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სამშობლო აკვანია აღმოსავლური რენესანსისა... „ჩვენი რუსთაველი გავიდა ევროპაში აღმოსავლური რენესანსის დროშით და მისი ბრნყინვალება დარჩება საუკუნეებში. აღმოსავლეთის რენესანსის დროშით ჩვენ ერთხელ კიდევ გავიმარჯვებთ დასავლეთთან, რომელსაც არ სურს სცნოს ის მონაცემები, რომელიც ჩვენ ხელთაა და დასტურია აღმოსავლეთის რენესანსისა“, - ამბობდა შალვა ნუცუბიძე და მისი ეს სიტყვა ყველგან ქუხდა შეხვედრებსა თუ თავყრილობებზე... მისი გონება რომ უჯჭველი უნდა გამოეყენებინა, თვით საბჭოეთის ბელადი მიხვდა... სტალინმა შალვა ნუცუბიძის ანტისაბჭოთა განწყობებსაც კი წაუყრუა და „გალიაში მომ-

დერალ შაშვეს“ თავისუფლება უბობა ერთი პირობით — დახმარებოდა კრემლში მოხვედრილ თითქოსდა გაურკვეველი ნარმომავლობის ქართველ თავკაცს მსოფლიოს წინაშე მისი ერის სიდიადის დამტკიცებაში... პირობა შესრულდა... თუმცა დევნა და გარიყვა მაინც არ აცდა სიმართლისათვის მთავარ გზაზე მავალ მეცნიერს. შალვა ნუცუბიძეს საბჭოთა იმპერიის კლანჭი ფიზიკურად ბევრჯერ შეეხო, მაგრამ გონება და სული ვერ დაუთრგუნა... მეცნიერული კვლევა-ძიებანით ბოლომდე ირჩინა სახელი, რომელიც მუდამ ამოტივტივდება, როგორც კი პირველი ქართული უნივერსიტეტის ხსენების მიზეზი გაჩნდება.

სიცოცხლეში იგი არ დააფასეს, უნივერსიტეტიდან დევნილ ორატორს, რომელზეც ლეგენდები დადიოდა, სიტყვასაც კი აღარ აძლევდნენ თავად უნივერსიტეტში; „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე უბადლო მთარგმელსა და მსოფლიოს კულტურულ საზოგადოებაში ცნობილ რუსთველოლოგს რუსთაველის 800 წლის იუბილეზე დასწრების გზასაც უჭრიდნენ... უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს სიცოცხლის ბოლო წლებში უნივერსიტეტში ფეხის შედგმის უფლებაც აღარ ჰქონდა... ბოლოს გასვარეს კიდეც მისი სახელი — სხვა, მეტი, რა შეეძლო მავანს... სწორედ ამიტომ გვმართებს ბევრი ვუკირკიტოთ შალვა ნუცუბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებს... მოგვიანებით მისი რეაბილიტირებული სახელი ისევ ჩვენი შემოსანახია მომავალი თაობისათვის. და უნდა ვიცოდეთ, რომ, დიახ, ჩვენ გვყავდა წინაპარი, რომლის „ძვლების ფოსფორიც ყოველთვის გაგვინათებს გზას“, რითაც შალვა ნუცუბიძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იმშვიდებდა თავს...

**ნინო კაკულია,**  
თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი, ურნალისტი

« 2 «

## შალვა წერებულიძის პიონირაჟის თავიდანაა გადასაფასებელი

### თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა

შალვა ნუცუბიძის ფენომენი მრავალმხრივი და მრავალ-ნახნავოვანია. მის სახელს ძალიან ბევრი რამ უკავშირდება ფილოსოფიიდან, კულტუროლოგიიდან, ფილოლოგიიდან... სამეცნიერო მოღვაწეობა, პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიები, მთარგმნელობითი საქმიანობა — ეს ყველაფერი ერთი ადამიანის ბიოგრაფიის ნაწილია.

შალვა ნუცუბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები გამორჩეულად საინტერესოა. სწორედ ამიტომ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ თავიდანაა დასაწერი და გადასაფასებელი მისი ბიოგრაფია.

შალვა ნუცუბიძე ძალიან აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო, გახლდათ საქართველოს პირველი დემოკრატიული რე-



უნივერსიტეტის პანთეონში შალვა ნუცუბიძის ძეგლთან

სპუბლიკის პირველი პარლამენტის წევრი ფედერალისტთა პარტიიდან. იგი ბევრს წერდა იმდროინდელ პრესაში. საქართველოს გასაბჭოების, ანუ ოკუპაციის შემდეგ მისი ბიოგრაფია, რასაკვირველია, შეიცვალა და ის, დიდწილად, უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული.

შალვა ნუცუბიძე, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, უნივერსიტეტის ისტორიისთვის საგულისხმო პიროვნებაა. იგი გახლდათ, ასევე, ამ უნივერსიტეტის პრორექტორი, რომელიც ივანე ჯავახიშვილთან ერთად თანაბრად ინანილებდა უნივერსიტეტის მართვის ფუნქციებს. ასე რომ, მან მთელი ცხოვრება უნივერსიტეტს მიუძღვნა. ძალიან ცნობილია მისი ფრაზა — როგორც გულს, ისე გაბარებთ უნივერსიტეტსო... ამ ფრაზით ყველაფერი ნათქვამია!

**გიორგი შარვაშიძე,**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

## « 3 «

## შალვა ნუცუპიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 14/12/1888 წ.** დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ ფარ-  
ცხანაყანევში.
- 1893 წ.** შედის ხონის დაწყებით სკოლაში.
- 1897 წ.** სჩავლას აგრძელებს ქუთაისის კლასიკურ  
გიმნაზიაში.
- 1903 წ.** მერქვეს კლასში ყოფნისას, ირჩევენ მოწაფეთა  
არალეგალურ ჟურნალ „განთიადის“ რედაქ-  
ტორად.
- 1906 წ.** ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიას და შედის  
პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-  
ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის  
განხრით.
- 1910 წ.** ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტს და  
მუშაობას იწყებს ყუბანის ოლქში ისტორიის,  
ფილოლოგიისა და ლათინური ენის მასწავლე-  
ბლად.
- 1911 წ.** სამეცნიერო მივლინებით მიემგზავრება  
ლაიფციგში, სადაც ჩამოაყალიბა ორიგინალ-  
ური ფილოსოფიური მოძღვრება – ალეთოლო-  
გია.
- 1914 წ.** პეტერბურგის მეორე გიმნაზიის მასწავლებე-  
ლია.
- 1915 წ.** მიენიჭა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფი-  
ლოსოფიის დოქტორის ხარისხი.
- 1916-1918 წ.** პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორია.  
მიენიჭა პრივატ-დოცენტის წოდება.
- 1917 წ.** მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტე-  
ტის დაარსების საქმეში.
- 1918 წ.** აარსებს „პეტრიწის სახელობის საფილოსო-  
ფიო საზოგადოებას“ და „საერთო განათლების  
კურსებს“.
- 1918 წ.** ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის  
აქტს.
- 1919-1921 წ.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
(1918-1921 წ.) დამფუძნებელი კრების (პარლა-

	მენტი) წევრია სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან.
1919 წ.	გამოსცა „ლოგიკის ელემენტარული კურსი“.
1920-1929 წწ.	თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორია. ერთ-დროულად ასრულებს დეკანის, ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორის და კათედრის გამგის მოვალეობებს.
1920 წ.	გ.ჩუბინაშვილთან ერთად მიემგზავრება გერმანიაში ქართული ხელოვნების ძეგლების გამოფენასთან დაკავშირებით.
1921 წ.	მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სოციალური ფილოსოფიის შემსწავლელი წრე.
1922 წ.	გამოსცა „ალეთოლოგიის საფუძვლები. ჭეშმარიტების პრობლემა“.
1923-1929 წწ.	ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატთან არსებული საქართველოს უცხოეთათან კულტურული კავშირის საზოგადოებას.
1925 წ.	უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დადგენილებით, სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება ევროპაში. მუშაობს ბერლინის უნივერსიტეტში.
1926 წ.	გერმანულ ენაზე აქვეყნებს გამოკვლევას — „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“.
17/04/1927 წ.	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა ანიჭებს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.
1928 წ.	სამეცნიერო მივლინებით მიემგზავრება ბერლინში.
1929 წ.	მიიწვიეს ესთეტიკის კურსის წასაკითხად თბილისის სამხატვრო აკადემიაში.
1929 წ.	თბილისში გამოიცა მისი „ხელოვნების თეორია, მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“.
1931 წ.	გერმანულ ენაზე აქვეყნებს გამოკვლევას — „ფილოსოფია და სიბრძნე“.
1935 წ.	მუშაობს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

- 1938-1940 წწ.** დაპატიმრებული იყო, როგორც „გერმანიის ფაშიზმის აგენტი“.
- 1938-1940 წწ.** რუსულ ენაზე თარგმნის შოთა რუსთაველის პოემას „ვეფხისტყაოსანი“.
- 1940-1941 წწ.** პროფესორად იწვევენ მოსკოვის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში.
- 1942 წ.** რუსულ ენაზე თარგმნის ინანე შავთელის პოემას — „აბდულ მესიანს“.
- 1942 წ.** ნამოაყენა ჰიპოთეზა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის თაობაზე, რასაც მიუძღვნა გამოკვლევა — „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“.
- 1944 წ.** ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.
- 1947 წ.** გამოიცა შალვა ნუცუბიძის ნიგნი — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“.
- 1952 წ.** ჰუგო ჰუპერტთან ერთად მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანზე.
- 1953-1960 წწ.** გაძევებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამორთმეული ჰექტონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა.
- 1956 წ-დან** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკია.
- 1958 წ.** გამოიცა შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომეული.
- 1960 წ.** საკავშირო პროკურატურიდან სრული რეაბილიტაცია მიიღო და აღდდენილ იქნა მისი მეცნიერული სტატუსი.
- 1963 წ.** მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვანის წოდება.
- 06/01/1969 წ.** გარდაიცვალა.

\* შესანიშნავად ფლობდა ბერძნულს, ლათინურს, გერმანულს, ფრანგულ და რუსულ ენებს.

დ 4 დ

## პირგრაფიული ეპიზოდები

### ფესვები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტურის ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წლის 14 დეკემბერს სოფელ ფარცხანაყანევში.

„დაბადება არ არის ცხოვრების დასაწყისი, მაგრამ მე მაინც დავიბადე 1888 წლის 14 დეკემბერს, სოფელ ფარცხანაყანევში“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.

დედა — რებეკა დათიაშვილი — დიასახლისი გახლდათ და შვილების აღზრდით იყო დაკავებული.

მამა — ისააკ ნუცუბიძე — პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ხონში.



მამა — ისააკ ნუცუბიძე



დედა — რებეკა დათიაშვილი



შალვა ნუცუბიძე დებთან ერთად

რებეკა დათიაშვილსა და ისააკ ნუცუბიძეს ჰყავდათ 4 ქალ-შვილი — ანეტა, თამარი, ელენე, ნინო და ერთი ვაჟიშვილი — შალვა ნუცუბიძე, რომელიც ნაბოლარა გახლდათ.

დედისგან განსხვავებით, მამა საკმაოდ მკაცრი და მომ-თხოვნი ყოფილა. „მჯეროდა მისი და უაღრესი პატივისცემა მქონდა ამ ადამიანისა, რომელსაც ჩემთვის მთელ სიცოცხ-ლეში ერთხელაც არ უთქვამს სიტყვა — „შვილო“, — ამბობდა უკვე 50 წელს გადაცილებული შალვა ნუცუბიძე.

შალვა ნუცუბიძეს ორივე ბაბუა მღვდელი ჰყოლია. დედის მამას — ფილიპე დათიაშვილს განსაკუთრებით ჰყვარებია წიგნის კითხვა, კითხულობდა საეკლესიო პერიოდიკას. მაგ-ალითად, სისტემატურად იწერდა „მწყემსს“. ასევე კითხუ-ლობდა საერო ქართულ გაზეთებს. ტყავის ყდებში აკინძული ხუცური წიგნების მთელი ბიბლიოთეკა ჰქონდა. პატარა შალ-ვაზეც, როგორც თავად ამბობდა, დიდი გავლენა მოუხდენია პაპის მდიდარ, ტყავისყდიან ხუცურ წიგნებს. „ბავშვობისას მიზიდავდა ამ წიგნების სუნი — გაუგებარი სიამის მომგვრე-ლი. პაპაჩემა ადრე მასწავლა ხუცური. მახსოვრობაში წიგნების სიძველის ეშნი ჩამოჩა“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.

მამის მამა — მღვდელი იესე ნუცუბიძე — კარგი ვაჟკაცი, პურადი, ცხოვრების მცოდნე და მოსიყვარულე კაცი იყო, მაგრამ კულტურასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. რუსული ენა, ისევე როგორც გასული საუკუნის სოფლის მღვდლებმა, არ იცოდა, თუმცა მის ხელში არც ქართული წიგნი დაუნახავს ვინმეს. მიუხედავად ამისა, მთელი წირვა-ლოცვა, თავისი წესებით, ზეპირად იცოდა.

## დაწყებითი განათლება და შეხვედრები საზოგადო მოღვაწეებთან

1893 წელს შალვა ნუცუბიძე შეჰყავთ ხონის დაწყებით სკოლაში. დაბა ხონში შალვა ნუცუბიძე 15 წლამდე ცხოვრობდა. იგიაქ შეხვდა ბევრ ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მეცნიერზე.



შალვა წერუბიძე გიმნაზიის  
მონაცემბისას

„ამ დაბაში ქართული კულტურის რომელ ნარმომადგენელს არ შეხვდებოდით. საჯარო და კერძო ცხოვრება აქ საკვირველად უკავშირდებოდა ერთი მეორეს. დაწყებით სკოლას, რომელშიც მე ვსწავლობდი, სიცოცხლით სავსე და ნიჭიერი მასწავლებელი იღია ამაღლობელი ხელმძღვანელობდა. ბუნების დიდი მოყვარული, მამაჩემივით გატაცებული მონადირე იყო. მეც ბავშვობიდან ვისწავლე ნადირობა, ბავშვობიდანვე შევწირე მას მარცხენა ხელის თითი.

ხონი ქუთაისის კულტურული დასაყრდენი იყო. ქუთაისის საოსტატო სემინარია, რომელიც თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოსათვის დაწყებითი განათლების მასწავლებლებს ამზადებდა, ხონში იყო მოთავსებული. მას ოფიციალურად ასე უწოდებდნენ: „ქუთაისის საოსტატო სემინარია ხონში“. ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში, მრავალ დაწყებით სკოლაში, ხონის სემინარიადამთავრებულნი ასწავლიდნენ, ხოლო ზაფხულობით მთელი ეს მასწავლებლობა ბრუნდებოდა ხონში.

აქ ვნახე პირველად აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა ფშაველა, ცნობილი ბუბლიცისტი იღია ხონელი, პედაგოგი უთურგაური, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი — პედაგოგი ბარბარე ყიფიანი, კრიტიკოსი ივანე გომართელი.

ხონში ვცხოვრობდი თხუთმეტი წლის ასაკამდე და აქ შევხვდი ბევრ ისეთ ვინმეს, ვინც შემდეგ ცხოვრების დიდ სარბიელზე ვნახე. ხონში დავესწარი ი. ხონელის (უფროსის) დაკრძალვას წმ. გიორგის ცნობილ ტაძარში სამრეკლოს საფუძველთან. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა საგანგე-



აკაკი წერეთელი



ვაჟა-ფშაველა

ბოდ ჩამოსულმა აკაკი წერეთელმა. მე ის პირველად ვნახე. მისი ხმის ტემბრი აქამდე მახსოვეს: „ცხოვრებაში ორი გზაა“, — დაინყო აკაკიმ — „ერთი მათგანი ია-ვარდითაა მოფენილი და სავლელად საამოა, მეორე კი ნარ-ეკლიანია და სავლელად ნამებაა. პირველი — პირადი ბედნიერებისა და ფუფუნების ძიების გზაა. ის ბევრს იზიდავს. მეორე — ერის მსახურების გზაა და ტანჯვაც გამართლებაა. ილია ხონელმა ეს მეორე გზა აირჩია. მან კარგად იცოდა, რომ ეკლიანი გვირგვინი მაინც გვირგვინია პატიოსნებით მოპოვებული“, — ეს ფრაზა მე ისე მახსოვს, როგორც მრავალი სხვა, უფრო გვიან, მაგრამ საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაგონილი. მეხსიერება სიყრმიდან ჩემი უერთგულესი მეგობარია ბედშიც და უბედობაშიც.

ხონში არაერთხელ მინახავს ნიკო ნიკოლაძე. ის იყო თავმჯდომარე იმ საზოგადოებრივ-საირიგაციო სისტემის კომიტეტისა, რომლის ცენტრი ხონში იყო. ამ სისტემის წყალობით ხონის დიდი ნაწილი წყლის არხებით იყო შემოვლებული და საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა. დავსწრებივარ ნიკოლაძის გამოსვლებს დასახელებული კომიტეტის საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე“, — ასე იგონებს ხონში გატარებულ წლებს შალვა ნუცუბიძე, რაც გადმოცემულია ქეთევან ნუცუბიძის წიგნში (მალვა ნუცუბიძე — ეპიზოდები ცხოვრებიდან).

## ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდი და შეხვედრა ვაჟა-ფშაველასთან

1897 წელს შალვა ნუცუბიძე სწავლას აგრძელებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც საერთო განათლების და უცხო ენების კარგ ცოდნას იძლეოდა.

შალვა ნუცუბიძე იხსენებს:

„1897 წელს მამაჩემმა ქუთაისში წამიყვანა. იმავე გაზაფხულზე კლასიკურ გიმნაზიაში მიმიღეს საკონკურსო გამოცდების შედეგად.

მინდა მოვიგონო ვაჟა-ფშაველასთან პირველი შეხვედრის დეტალები: დათა ბახტაძის დილიუნები რეგულარული ტრანსპორტი იყო ხონსა და ქუთაისს შორის. ჩვენც იმით მივემგზავრებოდით... როცა ცოტა გავიარეთ, დილიუანში მჯდომი მოკლე წვერიანი კაცი აიჭრა თავისი ადგილიდან და მამაჩემს გადაეხვია.

— ისაია, გენაცვალე, რამდენი ხნის უნახავი ვართ, — დაინყო მან.

მამაჩემიც სიტყვას არ აცლიდა:

— ლუკა, ჩემო ლუკა, საიდან სად? ნუთუ ხონში იყავი და მე არ მნახე?

მე სიამაყით ვუყურებდი და მიხაროდა, რომ მამაჩემს ბევრი იცნობდა და უყვარდათ იგი. ქუთაისამდე სამი საათის მანძილზე მეგობრები არ დადუმებულან. მათი მუსაიფი, როგორც ვატყობდი, უფრო ნარსულს ეხებოდა. მამაჩემმა დაშორებისას თავის მეგობარს ჩემი თავი გააცნო.

— ერთად წავიდეთ ჩემს დასთან, — უთხრა მამამ.

ამ დროს ერთი ახალგაზრდა მიუხალოვდა ჩვენს თანამგზავრს და რაღაც უთხრა. გამოირკვა, რომ ლუკას ელოდნენ. როცა მარტონი დავრჩით, მამამ მითხრა:

— ეს კაცი დაიხსომე, ლუკა რაზიკაშვილია, სახელოვანი ქართველი მგოსანი, ჩემი ამხანაგი გორის სემინარიიდან. საწყენია, რომ დრო არა აქვს.

ასე გავხდი ვაჟა ფშაველას და მამაჩემის მეგობრული შეხვედრის მოწმე. ვაჟა ხშირად პატიუებდა მამას თავის სოფელში, როგორც გატაცებულ მონადირეს.



მოწაფის ბარგი — ლოგინი, ტანსაცმელი და რამდენიმე წიგნი მოგვაწოდეს დილიჟანიდან და მამიდასთან გავეშურეთ. ხსოვნაში დამრჩა გამომეტყველება, რომლითაც ლუკა მამაჩემს შესცეროდა. და როცა, თითქმის ოცი წლის შემდეგ, შევხვდი ვაუა ფშაველას ქუთაისში, ის ცოტა გამოცვლილიყო, მაგრამ ისეთივე თვალებით იყურებოდა. ეს იყო და ეს. მეტი მე ვაუა არ მინახავს“, — ასე იხსენებს ქუთაისში სწავლის პერიოდის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს შალვა ნუცუბიძე, რომლისთვისაც ვაუა-ფშაველას ქუთაისში გაცნობა, როგორც ჩანს, განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო.

1905 წელს მამის — ისააკ ნუცუბიძის სოფელ კულაშის სკოლის გამგედ გადაყვანის გამო, ნუცუბიძეების ოჯახი კულაში გადაბარგდა საცხოვრებლად.

## პეტერბურგის უნივერსიტეტში

შალვა ნუცუბიძე 1906 წელს ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიას და შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით. მუშაობდა ცნობილი პროფესორების ა. ვედენსკის, ნ. ლოსკის და ი. ლაფშინის ხელმძღვანელობით.

პეტერბურგში, სტუდენტობის წლებში, შალვა ნუცუბიძე ხელმოკლედ ცხოვრობდა. „მამაჩემს, მისი 28 მანეთით თვეში, ჩემი პეტერბურგში სტუდენტობის უზრუნველყოფა არ შეეძლო. ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ კირიონმა რამდენიმე სტუდენტს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდიდან ქართული მასალების ამონერა დაგვავალა. ეს მასალა მას ესაჭიროებოდა შრომისათვის: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. სამუშაო საინტერესო იყო, დროსაც ბევრს არ გვართმევდა და პირველ წელს ამით გავიტანეთ თავი. შემდეგ კი სტიპენდიატები გავხდით“, — იგონებს შალვა ნუცუბიძე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო შალვა ნუცუბიძის ცხოვრებაში.

თუმცა ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ითვლებოდა, მაგრამ რაკი სწავლის ე.წ. საგნობრივი სისტემა იყო, იგი არ იყო დამოკიდებული საფაკულტეტო გეგმებზე და უსმენდა იმ ლექციებს, რომელთაც თვითონ აირჩევდა, იმმატრიკულაციაც თავისუფლი იყო: რამდენიმე სპეციალისტისაგან ამოირჩევდა, რომელიც უნდოდა. რადგან ბიბლიოთეკებში დამოუკიდებელი მუშაობა უფრო საინტერესო იყო, ამიტომ მხოლოდ ორიოდე ლექტორს უსმენდა.

შალვა ნუცუბიძის პეტერბურგში სწავლის პერიოდში ხშირად იმართებოდა სტუდენტების კრებები. მათ ხელს ვერავინ უშლიდა, რადგან უნივერსიტეტის შინაგანი ცხოვრება ავტონომიური იყო. ეს თვითმმართველობა იცავდა უნივერსიტეტს თვითმპყრობელის ჩარევისაგან. ერთხელაც, ქართველ სტუდენტობაში შეიქმნა მითქმა-მოთქმა წინამურის ტრაგედიაზე. შალვა ნუცუბიძე მოგვიანებით იხსენებდა: „პეტერბურგის უნივერსიტეტში ილიას მკვლელობასთან და კავშირებით რამდენიმე კრება გაიმართა. სტუდენტობის ის ნაწილი, რომელიც ადრე არ ეტანებოდა არც უნივერსიტეტსა და არც მეცნიერებას, მრავლად მოაწყდა ქართველი სტუდენტების კრებებს, სადაც გაბატონდა შეხედულება, რომ წინამურის მკვლელობა პოლიტიკური აქტი იყო. სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთს აბრალებდნენ ილიას მკვლელობას. იყო ჯგუფი, რომელიც არ სცნობდა სამართლიანად ამ ამბებისადმი პოლიტიკურ მიდგომას. მე თითქმის ყველა კრებაზე გამოვდიოდი. ჩემი გამოსვლები მწვავე რექციის იწვევდა. მრავალი უსიამოვნება შემხვდა ამის ნიადაგზე და აქამდე მძიმე მოგონებად მაწევს. მიუხედავად ამისა, მე ვიცავდი ღირებულებას, რომ ილიას მკვლელობა უბედური შემთხვევაა უპასუხისმგებლო პირთა მიერ ჩადენილი და არა ქართველი ერის დანაშაული“ (ამონარიდი ქეთევან ნუცუბიძის ნიგნიდან — შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან).



## პირველი ნაბიჯები

პეტერბურგის უნივერსიტეტი შალვა ნუცუბიძემ 1910 წელს დაამთავრა. „1910 წლის გაზაფხულზე დავამთავრე პეტერბურგის უნივერსიტეტი. მეცნიერება ჩემთვის წმინდა საქმე იყო და იდეოლოგიური თაღლითობით ფონს გასვლას არ ვფიქრობდი“, — ამბობდა იგი.

იმავე წელს შალვა ნუცუბიძე დანიშნეს მასწავლებლად ყუბანის ოლქში, სა-

დაც მძიმე პირობებში მოუწია მუშაობა. მოგვიანებით შალვა ნუცუბიძე იგონებდა: „პეტერბურგის იძულებით მიტოვება ჩემთვის მძიმე ამბავი იყო. დამნიშნეს მასწავლებლად ახლად დაარსებულ გიმნაზიაში, ყუბანის ოლქში, რომელიც გეოგრაფიულ რუკაზე ძლივს აღმოვაჩინე და რომლისკენაც სავალი გზა საგანგებო შესწავლის საგანს წარმოადგენდა. სადგურ „კავკასკაიაში“ მატარებლიდან ჩამოვხტი. დაახლოებით 40 კმ. იყო „ტელეგით“ სავლელი. აქ კარგი ცხენები ჰყავთ. კავკასკაიამდე რუსეთში უმაღლესი განათლებისათვის მიმავალ ახალგაზრდობას გაყენეს. საინტერესო იყო ქართველ სტუდენტებთან მოგზაურობა, რამაც ჩემი არც ისე შორეული წარსული გამახსენა. ერთხელ კიდევ ვტოვებდი სამშობლოს, რომ უკაცრიელი ველებით მევლო განუზომელ „სტეპებში“, უცხო და უცნობ კუთხეში. როგორც იქნა, მივაღწიე სამსახურის ადგილს. ეს იყო ყაზახების ვეებერთელა სტანიცა, სადაც 60000-მდე კაცი ცხოვრობდა ერთიმეორის მსგავს, თეთრად შეღებილ სახლებში. იმავე საღამოს მასწავლებელთა სახლში მომათავსეს. ასე თუ ისე მოვეწყვე, წიგნები დავალაგე და ვიგრძენი, მათი იმედით ყველგან გამეძლებოდა. იმავე დღეს დავწერე პროფესორ ვედენსკისთან გასაგზა-

ვნი წერილი. ველოდი მისგან სამაგისტრო გამოცდების პროგრამას. გიმნაზიაში ვასწავლიდი ისტორიას, ფსიქოლოგიას, ლათინურს“ (ამონარიდი ქეთევან ნუცუბიძის წიგნიდან — შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან)).

\* \* \*

სწორედ მასწავლებლობის წლებში (1911-1914 წ.წ.) და-დიოდა შალვა ნუცუბიძე გერმანიაში, ყოველი წლის მაის-აგვისტომი, საზაფხულო სემინარებზე. 1911 წელს იგი საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებების პირველი მონახაზით წარსდგა ლაიფციგის უნივერსიტეტში გამართულ სემინარზე. ამ დროს შალვა ნუცუბიძე 23 წლისა იყო. ლაიფციგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში იგი მუშაობდა ვუნდტის, ფოლკელტისა და ბართის ხელმძღვანელობით.

შალვა ნუცუბიძეს დიდი აღიარება მოუტანა 1913 წელს რუსულად გამოქვეყნებულმა გამოკვლევამ „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“, რომელიც 1913 წელს დაიბეჭდა მოსკოვის ცნობილ სამეცნიერო ჟურნალში. ამ ნარკვევმა რუსეთის და საზღვარგარეთის სამეცნიერო პრესაში დიდი გამოხაურება ჰქონდა.

„ფილოსოფია არ იყო ჩემთვის ერთი საქმეთაგანი, ფილოსოფია ჩემი სასიცოცხლო ამოცანა იყო მუდამ. ფილოსოფია იყო ჩემთვის სიბრძნისა და სიკეთის წვდომის წყარო“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე. ბოლცანოთი დაინტერესებაც არ იყო მისთვის შემთხვევითი. ბოლცანო — ეს იყო პრელუდია, რომელშიც უკვე გაისმოდა მთელი მისი შემდგომი აზროვნების ლაიტმოტივები. ბოლცანოს მოძღვრებამ მისცა მას საწყისი საკუთარი ნააზრევის განვითარებისა და ჩამოაყალიბა კიდეც ალეთოლოგიური რეალიზმი — ჭეშმარიტების თეორია.

ლაიფციგში შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა ორიგინალური ფილოსოფიური მოძღვრება — ალეთოლოგია. 1915 წელს მას მიენიჭა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

მას შემდეგ, რაც ვედენსკისგან სამაგისტრო გამოცდების პროგრამა მიიღო (პეტერბურგში დასაბრუნებლად სწორედ

ვედენსკიმ უშუამდგომლა განათლების მინისტრთან), შალვა ნუცუბიძე გადმოჰყავთ პეტერბურგის მეორე გიმნაზიის მასწავლებლად. სულ მალე მან სახელი გაითქვა, როგორც ერუდირებულმა მასწავლებელმა. სამაგისტრო გამოცდების სამზადისში ხშირად უნახავთ იგი ტრამვაის ვაგონში რომელიმე მგზავრის ჩანთაზე მიყრდნობილი, რომელიც არისტოტელესა და ციცერონის თხზულებებს ჩასცექეროდა. სწორედ აქ გაიცნო მან გრიგოლ წერეთელი, რომელიც შემდეგ მის უახლოეს ადამიანად იქცა.

ორი სანიმუშო ლექციის წაკითხვის შემდეგ, რომელთაც დიდი მოწონება დაიმსახურეს, 1917 წლს შალვა ნუცუბიძეს მიენიჭა პრივატ დოცენტის წოდება.

1916-1918 წლებში შალვა ნუცუბიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორია.

## უნივერსიტეტის დაარსება

ქართველი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთსა და საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, მაგრამ მათი მიზანი იყო კვლავ საქართველოში დაბრუნება და სამშობლოს სამსახური. მოხდა თუ არა რევოლუცია, ივანე ჯავახიშვილი და მის ირგვლივ შემოკრებილ მეცნიერთა ჯგუფი შეუდგა ბრძოლას ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. ამ მეცნიერთა შორის იყო შალვა ნუცუბიძე.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეის მიმართ საზოგადოებრივი აზრი ერთიანი არ იყო. აზრთა სხვადასხვაობის გამო სერიოზული დაპირისპირება უძლოდა წინ უნივერსიტეტის გახსნას. არსებობდა მოსაზრება, რომ დაარსებულიყო ქართული ტექნიკური უნივერსიტეტი (ეს გახლდათ ნიკო ნიკოლაძის იდეა). შეხვედრაზე, რომელზეც ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ივანე ჯავახიშვილმა პირველი სიტყვა ბატონ შალვა ნუცუბიძეს დაუთმო შემდეგი სიტყვებით: — მიდი, შალვა, აბა შენ იცი, დასცხე შენებურად!

შალვა ნუცუბიძემ, თავისი ბრწყინვალე ორატორული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნამდვილად მოახერხებდა



**აკაკი შავნაძე და შალვა ნუცუბიძე**

აუდიტორიისა და მთელი ქართული საზოგადოების დაწყ-მუნება იმაში, რომ აქ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო და არა რომელიმე სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის, ტექნიკური უნივერსიტეტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შალვა ნუცუბიძეს, ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მიზნით, რუსეთშივე დაევალა აქტიური კავშირების დამყარება იქ მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან, რათა შეექმნა ის ბირთვი, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. თუ გავითვალისწინებთ მა-მინდელი კომუნიკაციისა და ურთიერთობების პრობლემას, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად რთული ამოცანა გახლ-დათ ასეთი კავშირების დამყარება და მეცნიერთა თავმოყრა.

უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული პერიპე-ტიების შესახებ შალვა ნუცუბიძის ასეთი მოგონება შემოგვრ-ჩა: „იმ ქარიშხლიან დღეებში, 1917 წელს, როდესაც ერთი დარტყმით დაინგრა თვითმშეყრობელობა, პეტერბურგის მხ-არეზე, დიდ პროსპექტზე ვცხოვრობდი. ჩემს სახლთან ახლოს

იყო ტრამვაის ვაგონებისა და სილის ტომრებისგან აღმართული ბარიკადა. ბარიკადებზე ბრძოლა არ წყდებოდა დილამდე. გათენებისას კი ყველაფერი მიწყნარდა. ქუჩაში გამოჩნდნენ ფეხით მოსიარულენი. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც დავინახე სწრაფად მომავალი ივანე ჯავახიშვილი და აკაკი შანიძე.

— საით ასე ადრე? — ვეცი მათ.

ორივემ ერთად ამიხსნეს,  
რომ სახლში ვერ გაჩერდნენ  
და ქუჩაში გამოვიდნენ, ნახონ, თუ რა ხდება.  
— ძლივს ველირსეთ! — აღფრთოვანებით აღმოხდა ივანე ჯავახიშვილს.

ხალხი მოედინებოდა, შეიქმნა დიდი ხმაური და ჩვენ ძლივსლა გვესმოდა ერთმანეთის. შინ შევიპატიუჟ, სადაც გავაგრძელეთ შთაბეჭდილებების გაზიარება.

— ყველაფერი ეს მშვენიერია, — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი, — ყველაფერი ეს მოგვეხმარება ჩვენს საქმეში. თუ რევოლუცია განვითარდება ნორმალურად, უნივერსიტეტის შექმნის ჩვენი მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდება.

საქართველოსთვის, რომელიც ჯერ კიდევ III-IV საუკუნეებში განთქმული იყო თავისი უმაღლესი სკოლებით, აკადემიებით, არ იყო ახალი და დიდი ამბავი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, მაგრამ უამთა სიავეს ისე მოესრნა ყოველივე, რომ ის ახლა დიდ ამბად იქცა.

იმავე კვირას ჩვენ თავი მოვიყარეთ ივანე ჯავახიშვილის ბინაზე. გადაწყდა, მონაწილეობა მიგველო პეტერბურგის ქართველთა ყრილობაზე. თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებით მსგავს ყრილობას მართავდნენ ყველა ეროვნების წარმომადგენლები.



ივანე ჯავახიშვილი



### შალვა წუცუბიძე

ჯავახიშვილი და მისი უახლოესი თანამშრომლები გამოემგზავრნენ საქართველოში საორგანიზაციო სამუშაოების ჩასატარებლად. პეტერბურგში დავრჩით: კომიტეტის თავმჯდომარე — პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. კრების ყურადღების ცენტრში იყო ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართულ უნივერსიტეტზე. კრება დამთავრდა ნაციონალური კომიტეტის არჩევით, რომელიც კავშირს დაამყარებდა და დროებით მთავრობასთან.

კრების დამთავრების შემდეგ ჯავახიშვილი და მისი უახლოესი თანამშრომლები გამოემგზავრნენ საქართველოში საორგანიზაციო სამუშაოების ჩასატარებლად. პეტერბურგში დავრჩით: კომიტეტის თავმჯდომარე — პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, მე და კომისიის ზოგიერთი წევრი.

როდესაც საქართველოდან მოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შუამდგომლობა, ახლა უკვე სიტყვა მთავრობას ეკუთვნოდა და ჩვენ — ზურაბ ავალიშვილი, ნინო გელოვანი და მე ამ შუამდგომლობით გავეშურეთ ზამთრის სასახლისაკენ კერძნსკისთან.

დროებითი მთავრობის მეთაურმა თავაზიანად მიგვიღო, მაგრამ არ თანაგვიგრძნო. „თქვენ არა გაქვთ არც ქართული სახელმძღვანელო და არც ქართველი მასწავლებლები გყავთ. ასეთი ცდა პრალაშიც წამოიწყეს, მაგრამ კრახით დასრულდა, იგივე შედეგი მოგელით თქვენც“, — თქვა მან. უკან არ დავიხიერ. მაშინ მან მიიღო ორჭოთული გადაწყვეტილება: თბილისში გამოეგზავნათ ნებართვა ქალთა კურსების ამიერკავკასიის უნივერსიტეტად რეორგანიზაციის შესახებ. რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ამაზე კერძნსკის კრინტიც არ დაუძრავს. ამგვარად, კერძნსკის მთავრობამ გადაწყვეტა დავეყენებინეთ ამიერკავკასიის რუსული უნივერსიტეტის

ქართველთა ყრილობა კინოთეატრ „ელიტას“ შენობაში შედგა. დარბაზი სავსე იყო. თავმჯდომარეობდა პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. კრების ყურადღების ცენტრში იყო ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართულ უნივერსიტეტზე. კრება დამთავრდა ნაციონალური კომიტეტის არჩევით, რომელიც კავშირს დაამყარებდა და დროებით მთავრობასთან.

კრების დამთავრების შემდეგ

შექმნის ფაქტის წინაშე და ამით მოეხსნა საკითხი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა.

თებერვლის რევოლუციას ოქტომბრისა მოჰყვა და საქართველო დამოუკიდებელი გახდა. ხელახლა დაისვა საკითხი. მაინც იჩინა წინააღმდეგობამ თავი, მაგრამ ჰეტერბურგში პირველსავე სხდომაზე ჯავახიშვილმა წარმოაჩინა გეგმა, რომელიც ჰუმანიტარულ პროფილს გულისხმობდა. მეორეს მხრივ გამოვიდა ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც უნივერსიტეტს სპეციალური ტექნიკური ინსტიტუტი დაუპირისპირა. კამათი მძაფრი აღმოჩნდა და მაშინ ივანე ჯავახიშვილმა მითხრა: აბა, ერთი შენებურად დასცხეო. მეც გამოვედი. გაიმარჯვა ჯავახიშვილის გეგმამ.

მე დამევალა რუსეთის უნივერსიტეტებში გაფანტული მეცნიერების თავმოყრა და ჩამოყვანა: ოდესიდან, ხარკოვიდან, ტომსკიდან და ეს 1918-1919 წლებში, როდესაც ომისაგან დალენილ ქვეყანაში ტრანსპორტი ხეირიანად არ იყო აღდგენილი, გართულებული იყო მიმოსვლა“, — ასე იგონებდა უნივერსიტეტის გახსნის ამბებს შალვა ნუცუბიძე (ამონარიდი ქეთევან ნუცუბიძის წიგნიდან — შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან).

\* \* \*

მოგვიანებით, 1928 წელს, პროფესორი შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე მოკლე მიმოხილვით წერილს წერს, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. გთავაზობთ შალვა ნუცუბიძისეულ მიმოხილვას.

## საქართველოს უნივერსიტეტის დაარსება

უნივერსიტეტის დაარსებისაზრი მჭიდროდაა დაკავშირებული თებერვლის რევოლუციასთან. ეს ასეა არა მარტო იმ მხრივ, რომ თებერვლის რევოლუციამ, როგორც ძველი წყობილების განმანადგურებელმა ძალამ, შესაძლებელი გახადა რეალურად ისეთი საკითხების დასმა, რომელთა შესახებ მანამდე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, არამედ იმის გამოც — და

ეს მთავარია — რომ რევოლუციამ თვით შექმნა ფაქტით თავის მოვლენისა სასიცოცხლო ბაზა ყველა იმ პრობლემისათვის, რომელიც დამონებული ერების საარსებო მისწრაფებას წარმოადგენდა, მაგრამ თვითმპყრობელობის სალტებში გასაქანს ვერ ჰპოვებდა. ძევლი რუსეთის არსებობის განვრძობა უკვე თებერვლის რევოლუციის პირველი დღიდან ნათელი გახდა და მასთან ერთად უნდა გაჩერილიყო აზრი ახალ შესაძლებლობათა შესახებ. ასეთი აზრის გაჩენამ არ დააყოვნა.

უმაღლეს სკოლაზე საქ-ში უეჭველია მანამდეც ბევრს უოცნებია, მაგრამ როგორც რეალური საკითხი, იგი პირველად პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა. რევოლუციის მეორე დღესვე, ე.ი. უკვე 28 თებერვალს, მან ეს აზრი გამოსთვავა პეტერბურგში პროფესორ აკაკი შანიძისა და შალვა ნუცუბიძის თანდასწრებით და თან კონკრეტული წინადადება დასძინა, რომ უკვე მეორე დღეს მისი, ე.ი. ივანე ჯავახიშვილის ბინაზე გამართულიყო პირველი თათბირი უმაღლესი სკოლის შესახებ საქ-ში.

მართლაც მეორე დღეს, ე.ი. 1 მარტს 1917 წ. ივანე ჯავახიშვილის ბინაზე ლახტინის ქუჩაზე შესდგა პირველი თათბირი. თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი. სხდომას დაესწრნენ ან განსვენებული იოსებ ყიფშიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და სხვა. სხდომამ მოისმინა ივანე ჯავახიშვილის ვრცელი მოხსენება უმაღლესი სკოლის პერსპექტივების შესახებ საქართველოს სინამდვილეში, მისი სამეცნიერო ძალებით უზრუნველყოფის შესახებ და სხვა. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ზოგიერთების აზრებში ცოტაოდენი იჭვი სჩანდა ეგოდენ დიდი საქმის ასე მოულოდნელად წამოწყებისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის გამო. ივანე ჯავახიშვილის ოპტიმიზმი და შეუდრეკელი რწმენა უმაღლესი სკოლის მომავლისათვის გადამწყვეტი მომენტი იყო და კრებამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებისა, რომელთა შორის მთავარი იყო: ა) გამორკვევა რუსეთის უნივერსიტეტებში მომუშავე სამეცნიერო ქართული ძალებისა; ბ) მუშაობის ორ ხაზად დანაწილება. ერთის საქართველოში ჩატარება, იქ პროპაგან-



დის განევა უმაღლეს სკოლის იდეისათვის და ამ მიზნით კავშირის დაჭერა საზოგადოებრივ ორგანიზატორებთან საქართველოში როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური ხასიათისა, მეორე ხაზით თვით ცენტრში, ე.ი. მაშინდელ პეტროგრადში, მთავრობის და მასთან ახლო მდგომ წრეებში თვალყურის დევნება და ნიადაგის მომზადება უმაღლეს სკოლის იდეისათვის საქართველოში.

კრება გრძნობდა, რომ ყველაზე მძიმე იყო საქართველოში უმაღლეს სკოლის მიმდევრების მოპოვება და ამ აზრის საქ-ში ძლიერ აქტუალურ მოვლენად გარდაქცევა. ამიტომ ეს საქმე თვით ივანე ჯავახიშვილს დაევალა.

ის დაუყონებლივ უნდა გამგზავრებულიყო საქართველოში. მას თან წამყვნენ აკაკი შანიძე და იოსებ ყიფშიძე. პეტერბურგში კი უკვე დაარსებულ ეროვნულ კომიტეტთან კავშირის დაჭერით მეორე დასახელებულ ამოცანათაგანი უნდა შეესრულებია შალვა ნუცუბიძეს.

სამეცნიერო ძალების რაოდენობა თანდათან ირკვეოდა პეტროგრადს, ოდესას, ხარკოვს და სხვაგან. აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც გამოადგებოდა მომავალ უმაღლეს სკოლას, მაგრამ მათთან კავშირის გაბმა არც ისე ადვილი საქმე იყო. გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა მუშაობა

თვით საქ-ში. ჩამოსვლის უმაღლ ივანე ჯავახიშვილი შეუდგა საქ-ში მოხსენებების კითხვას უმაღლესი სკოლის საკითხის შესახებ. ყოველ ნაბიჯზე მის მუშაობას წინ ეღობებოდა გულ-გატეხილობა და სკეპტიციზმი, რომელიც ასი წლის მონობაში შთანერგა და დაამკვიდრა ისეთ წრეებშიც კი, რომლებიც თითქოს თავის მდგომარეობით და შეგნებით მოწოდებულნი იყვნენ ამ ისტორიულ უღელტეხილზე ქართველ ხალხს სათ-ავეში ჩადგომოდნენ და ახალი პერსპექტივებისკენ გაბედუ-ლად მიეთითებინათ. მეორეს მხრივ, ფართო საკაცობრიო საკითხებით ვითომდა დატვირთული ხალხი ვერ ახერხებდა ისეთი ბატარა საკითხებით დაინტერესებას, რომლის მთელი გასაქანი პატარა საქართველოთი უნდა ამონურულიყო, მესა-მენი საკითხს პრაქტიკული თვალსაზრისით უცქეროდნენ და ჰყიქრობდნენ, რომ არა სჩანს პერსპექტივაში ქართულად მიღებული უმაღლესი განათლების გამოყენების შესაძლე-ბლობა. მათ შეურყეველად მიაჩნდათ ის გზა, რომელზედაც ასი წლის განმავლობაში გაიკვალა ბუნებრივი დენა ქართ-ველ ახალგაზრდობისა რუსეთის უმაღლეს სკოლებისაკენ და ჰყიქრობდნენ, რომ ეს გარემოება მომავალში არც ახარებს ქართველ უმაღლეს სკოლას, რადგან მასში შემსვლელი არა-ვინ იქნება. ცხადია, რომ ყველა ამათ არ ესმოდათ აზრი იმ ისტორიული გადატეხისა, რომელიც შექმნა რევოლუციამ. შეშინებულ გონებას ურყევი ეგონა ყველაფერი, რაც ასი წლის ბატონს შეეხებოდა და არაფერი სჯეროდა. დასასრულ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ქართულ ენაზე მეცნიერების შემუშავება ყოვლად დაუშვებელ და განუხორციელებელ ამ-ბათ მიაჩნდათ.

ასეთი იყო სიძნელეთა სიმრავლე, რომელიც მთელი თავისი გამანადგურებელ ინერციულობით ეკვეთა საქ-ს სინამდვილეში უმაღლესი სკოლის მქადაგებელთ. ივანე ჯა-ვახიშვილი და მისი თანამოაზრენი, მიუხედავად ამისა, გა-ნაგრძობდნენ ბრძოლას, იკითხებოდა მოხსენებები, იმართე-ბოდა კრებები ტფილისში, ქუთაისში და სხვა. თანდათანობით მრავლდებოდა თანამგრძნობთა რიცხვი, მატულობდა ენერ-გია, იჭედებოდა რწმენა.

ოფიციალური წრეები ჯერ კიდევ უნდობლად უყურებდნენ საქმეს, მაგრამ მალე უმაღლესი სკოლის იდეა საზოგადოებრივ ძალად იქცა. რევოლუცია მტკიცდებოდა, ძველის შემობრუნება განწირული საქმე გახდა. რევოლუციის ზედაპირზე ახალი, უფრო რადიკალური ძალები წამოიჭრა. რევოლუცია გადასცდა ისტორიულ შეცდომების კორექტივის ფარგლებს. ახალი სოციალური ფენები ამოძრავდა და ძალაუფლებისაკენ ხელი მიაპყრა. ძველის აჩრდილი თანდათან იცრიცებოდა და კლასებად და პარტიებად დაღარული მკაცრი სინამდვილე მთელი თავისი სიძლიერით გაიშალა. რევოლუციით შობილი იდეა რევოლუციის ზრდამ გააძლიერა. დაარსდა საუნივერსიტეტო საზოგადოება. აზრი უკვე საზოგადოებრივ ძალად იქცა. თანაგრძნობა უკვე რეალურ ფორმებში ისახება. იქმნება ადგილობრივ დამხმარე წრეები და ჯგუფები, იკრიბება თანხები, შემოწირულობა. დიდს საქმეს ხორცი ესხმება. მთელი ეს მოძრაობა სწრაფად იზრდება და ისეთის სიძლიერით იკიდებს ფეხს, რომ ოფიციალურ წრეებს უკვე უხერხულად მიაჩნიათ მისი გარეთ დარჩენა და მასთან ერთგვარი კავშირის დაჭერას ცდილობენ. ამის მიუხედავად, თვით საქმე უმაღლესი სკოლის შექმნისათვის სამზადისისა თავიდან ბოლომდე კერძო თაოსნობის ნიადაგზე იდგა და მხოლოდ ქართველი ხალხის, რომელმაც ამ შემთხვევაში მოულოდნელი ერთსულოვნება გამოიჩინა, ფართო მასების თანაგრძნობით არსებობდა. რადგან რუსეთი ჯერ კიდევ „მთლიან და განუყოფელ“ სამფლობელოს წარმოადგენდა, ამიტომ პრაქტიკული ნაბიჯი უმაღლესი სკოლის გახსნისათვის ცენტრიდან ნებართვის მიღების ხაზით შეიძლებოდა. ამიტომაც, როდესაც მუშაობის ხელმძღვანელებმა საქში მომენტი უკვე შესაფერისად და მომწიფებულად დაინახეს, სათანადო ორგანოების საშუალებით საჭირო ნებართვა გამოთხოვილ იქმნა ცენტრისაგან. ცნობილია, რომ ეს შუამდგომლობა ცენტრში მოკვდა. მისი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სხვა და სხვა მმართველ წრეს. აუწერელი იყო შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა პეტროგრადის სხვა და სხვა წრეში სხვა და სხვა ფორმით და ვარიაციით, მაგრამ საერთოდ მაინც ერთნაირად იგი მიღებულ იქმნა, როგორც ეროვნული

„ბუნტის“ თავხედობის მაჩვენებელი. ყველაზე საშინელი, რა-საც მოელოდნენ გარკვეული წრეები რევოლუციისაგან — სახელდობრ პატარა ერების მიერ არსებობაზე და განვითა-რებაზე პრეტენზიის განცხადება, უკვე იწყებოდა მათ ცნო-ბიერებაში ამ აქტით, რომელიც არსებითად ჯერ კიდევ გაერ-თიანებულ მმართველობის საფუძველზე იდგა და აჯანყების ნიშნებს არ ატარებდა, რადგან მხოლოდ ნებართვაზე ლაპარა-კობდა. ძველის პირობებში კარგად იცოდნენ, თუ როგორ უნდა გამასპინძლებოდნენ ასეთს გამოსვლას, თუკი ვინმე იმ პირო-ბებში გათავსებდებოდა და ასეთ რასმე გაძედავდა. მაგრამ „ძველი“ ხომ უკვე დანგრეული იყო, მისი რესურსები და მეთო-დები აღარ გამოდგებოდა. საჭირო იყო ახალი საშუალებების გამოძებნა და ახალი ტაქტიკის შეთვისება.

ასეც მოხდა. როგორც კი გაიარა პირველი აღშფოთების ტალღამ და შეგნებულ იქნა, რომ მარტო გაჯავრებით და აღელვებით საკითხი არ გადასწყდება და, გინდა არ გინდა, ნამოქრილ საკითხს პასუხის გაცემა უნდა. არჩეულ იქნა სწორედ ახალი გზა: კულტურულ ძალადობის, კულტურულ გადაგვარების გზა. დაუყონებლივ დაინიშნა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა გეგმა ტფილისში, როგორც ამიერკავკასიის ცენტრში, უმაღლესი სასწავლებლის გახს-ნის. გარდა გეგმისა, უნდა შეერჩიათ ისეთი შემადგენლობა პროფესორ-მასწავლებლებისა, რომელიც იმთავითვე გადას-წყვეტდა საკითხს რუსულ უმაღლეს სასწავლებლის გვერდით სხვა რაიმე ეროვნულ ნამოწყების ამ დარგში შეუძლებლობი-სა. კომისიას დაევალა, რაც შეიძლება ჩქარა გაეთავებინათ მუშაობა, რათა კულტურულ „ბუნტის“ მოთავეებს ტფილისში არ მოესწოროთ რაიმე ორგანიზაციის შექმნა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, რომელთა ლიკვიდაცია შემდგომში შედარებით უფრო ძნელი იქნებოდა. მათ კარგად ესმოდათ, რადგან ზოგი კომისიის წევრი მშვენივრად იცნობდა საქართ-ველოს, მის ინტელიგენციას და კერძოდ ივანე ჯავახიშვილს და მის თანამშრომლებს, რომ უმაღლეს სკოლის ინიციატორე-ბი საქართველოში აღარ ხუმრობენ და მათი გადაწყვეტილება ურყევი და შეუდრეველი იყო.

კომისია მართლაც ენერგიულად მუშაობდა. პროფესორების გარდა მის მუშაობაში ჩვენში ცნობილი აკადემიკოსებიც იღებდნენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, საქართველოში დიდი მუშაობა სწარმოებდა: ჩამოყალიბდა საბოლოოდ ორგანიზაცია — უნივერსიტეტის საზოგადოება, გროვდებოდა ფული. საქმეში ჩაება ახალი ხალხი, რომლებიც გვერდში ამოუდგნენ ივანე ჯავახიშვილს, იოსებ ყიფშიძეს და აკაკი შანიძეს. ეს ახალი თანამშრომლები იყვნენ პ. მელიქიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. რაზმაძე და ფ. გოგიჩაშვილი. დიდი და განუწყვეტელი სამზადისი მუშაობა სწარმოებდა. შემონირულება იზრდებოდა. ქართველი ხალხი გამოხმაურა უდიდეს ეროვნულ საქმეს ყოველგან, სადაც კი ქართველობა მოიპოვებოდა. ამიერკავკასიის სხვა და სხვა კუთხეებიდან, რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და სხვ. მოდიოდა შემონირულება საუნივერსიტეტო ფონდის გასაძლიერებლად. საუნივერსიტეტო ორგანიზაციას გადაეცა თავად-აზნაურობის ყოფილი ქონებიდან შენობა, რომელიც თავის დროზე აგებული იყო როგორც სათავადაზნაურო გიმნაზიის ბინა და რომლის შესახებ ცნობილია, რომ შენობის ამგებ კომიტეტის თავმჯომარე ნ. ცხვედაძე შენობის სიდიდეს და მოცულობას ამართლებდა მოსაზრებით, რომ საქართველოს ოდესმე უნივერსიტეტი ექნება და ეს შენობა გამოდგებაო. ერთი სიტყვით, საქ-ში კერძო ინიციატივა ფართოდ გაიშალა, უნივერსიტეტის იდეა დიდ საქმედ იქცა და ყველაფერი მზად იყო საქმის დასაწყებად. საჭირო იყო მხოლოდ ნებართვა და რადგან უნივერსიტეტის, როგორც მთავრობის დაწესებულების გახსნა არ ხერხდებოდა, ამიტომ ინიციატორებმა გადასწყვიტეს გამოითხოვონ ნებართვა საქართველოს უნივერსიტეტისათვის, როგორც კერძო დაწესებულებისათვის. ინიციატორებმა კარგად გაითვალისწინეს, რომ იმ საფეხურზე რევოლუციის განვითარებისა, როდესაც მპყრობელი ცენტრი ჯერ კიდევ თავს კარგად გრძნობდა, ძნელი იყო ოფიციალურ დაწესებულებად ქცევა ეროვნული წამოწყებისა. დროებითი მთავრობა ჯერ კიდევ „პატრიოტულ“ ომს აწარმოებდა და თავი მთლიან და განუყ-

ოფელ რუსეთის მთავრობად მოჰქონდა. უნივერსიტეტის ინიციატორები ამ შემთხვევაშიც უფრო მართალი აღმოჩნდნენ ისტორიის წინაშე, როდესაც ოფიციალ „იარლიკს“ საქმის ფაქტიური განხორციელება ამჯობინეს და უნივერსიტეტის კერძო სასწავლებლის სახით დაარსება გადასწყვიტეს.

თუ გავიხსენებთ, რას ნიშნავდა უუფლებო კერძო სასწავლებელი და ისიც — უმაღლესი, მაშინდედ დროში, ადვილი გასაგები იქნება, რა ძნელ პირობებში იწყებოდა უმაღლესი სკოლის საქმე საქ-ში. ამას უნდა დაემატოს ის ეჭვი, რომლითაც უყურებდა თავში ქართველი საზოგადოება ქართულ ენაზე მიღებულ უმაღლეს განათლებას. საჭირო იყო დარწმუნება, რომ ახლო მომავალში, ე.ი. ვიდრე უნივერსიტეტი ქართული ენის ნიადაგზე მომზადებულ ახალგაზრდობას ცხოვრებაში გამოუშვებდა, ქართული სახელმწიფოებრივობა ეროვნული ხასიათის იქნებოდა, მაგრამ ეს ხომ ბევრს არ სჯეროდა და ბევრს არც უნდოდა და ეს უკანასკნელი იმ დროს მმართველ წრეს წარმოადგენდნენ. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გარემოებაც ერთხელ კიდევ ხელს უშლიდა ახალ საქმეს და მას საბოლოოდ კერძო თაოსნობის ნიადაგზე მიღდებულ კერძო საქმედ აქცევდა. ყველა ამის მიხედვით, ადვილი გასაგებია ისიც, თუ რად სჭირდებოდა უნივერსიტეტის იდეის მქადაგებელთ ესოდენ დიდი ენერგიის და ნებისყოფის სიმტკიცის გამოჩენა.



გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი და ალექსანდრე ჯანელიძე



შალვა ნუცუბიძე და გიორგი ჩუბინაშვილი

ნებართვის საკითხის ამბავი, რომელიც, თანახმად დავალებისა, შალვა ნუცუბიძის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, ძალიან ორიგინალურად გადაწყდა. კერძენსკის დრ. პარლამენტში, მის ეროვნულ უმცირესობათა კომისიაში, ეს საკითხი წამოიჭრა არა მოხსენებისა ანუ რაიმე პრაქტიკული წინადადების, არამედ სხვა საკითხის გამო აზრთა გაცვლა გამოცვლის დროს. ეროვნული საკითხის შესახებ მოხსენება მიენდო სამ პირს, სამი სხვა და სხვა თვალსაზრისით, კადეტებისაგან კოკოშკინს, ს. დემორატებისაგან აპრამოვიჩს და რადგან ესერებმა თავისი მომხსენებელი არ წამოაყენეს, შალვა ნუცუბიძის უკანასკნელის მოხსენებაში გატარებულმა რადიკალურ-ფედერაციულმა პრინციპმა დიდი შეტაკება გამოიწვია, რის გამო ნ. ბერდიაევმა კომისიას უწოდა „კომიssия по расцелу России“.

აი, სწორედ ამ კომისიის წევრები აკად. ოლდენბურგი და პროფ. ვასილიევი შეეხენ განათლების და კერძოდ უმაღლესი სკოლის შესახებ გადადეგმულ ნაბიჯებს საქართველოში. შემდეგ პროფ. ვასილიევმა განაცხადა გულახდილად (უკვე

სხდომის გარეშე), რომ უიმედო საქმე დაუწყიათ საქართველოში და ქართულ უმაღლეს სკოლის საწინააღმდეგო გეგმები გადმოაღავა და თან დასძინა, რომ ქართული უნივერსიტეტი ისევე გაუძლებს რუსულს, როგორც ჩეხების უნივერსიტეტმა ვერ გაუძლო პრაგაში გერმანელებისათვის. ასეთი ატმოსფეროთი გასაკვირი აღარ იყო, რომ ტფილისი-დან გაგზავნილი შუამდგომლობა გააჩერეს, ვიდრე რუსული უნივერსიტეტის საკითხი დამუშავდებოდა პეტროგრადში. მალე გამოირკვა, რომ საუკეთესო პროფესორების თავის მოყრა ძნელი საქმე შეიქნა. საზოგადოდ კი ცოტა ვინმე იჩენდა სურვილს დაუყონებლივ ტფილისში წამოსასვლელად და, რომ საქმე არ შეჩერებულიყო და ქართველებისათვის დაესწროთ, გადასწყვიტეს ტფილისში არსებულ ქალთა უმაღლესი კურსების გამოყენება და დაბეჭით მოახდინეს განკარგულება მისი ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ. ქართულ კერძო უმაღლესი სასწავლებლის ნებართვა კი ფოსტით გამოგზავნეს ტფილისში. ნათელია, რომ დროებითი შეფერხება ტფილისში რუსული უნივერსიტეტის საქმისა და-კავშირებულ იყო გაურკვეველ მდგომარეობასთან, რომელიც დღითი დღე პოლიტიკურ სიტუაციის გართულებასთან ერთად იქმნებოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, თუ რევოლუცია დროებითი მთავრობისა და კერძნების რეცეპტით გაიშლებოდა, რუსული უნივერსიტეტის საქმეც და პოლიტიკური კონიუნქტურა ამიერკავკასიასა და საქართველოში ისეთი იქნებოდა, რომ ჩვენ დღეს ეროვნული უნივერსიტეტი არ გვექნებოდა. მაგრამ ისტორიამ სხვანაირად ინება და ეროვნულ უმცირესობათა წრეებს და ორგულებს ანგარიში შეუშალა.

ოქტომბრის რევულუციამ ერთის დაკვრით შესცვალა სიტუაცია ცენტრშიაც და ადგილობრივაც. რუსიფიკატორები ან ფიზიკურად მოისპნენ ან სოროებში მიიმაღლენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. ვიდას ეფიქრებოდა ტფილისში ფეხის მომაგრება, როცა პეტროგრადში თავი იყო გადასარჩენი. საქართველოში შემოხიზნული „დიდი ირუსეთის“, „ოპეკუნები“, ოდესლაც რუსეთის რევოლუციის დასაცავად „თავრიზის“ შე-

ქმნის მომხრენი, დაიბნენ, გზა და ტაქტიკა დაენგრათ და ჩამოვარდნილ ფოთოლივით ეროვნული სტიქიის ნიავმა ნაიღო. დაიშალა ძეველ ძალმომრეობაზე აგებული სახელმწიფო რივობა და იმ სახსრებში დაიბზარა, სადაც ეროვნული ორგანიზმები იყო მოთავსებული. ინტერნაციონალიზმის ფრაზიორები ნაციონალიზმის ვოიაჟორებად იქცენ, მხოლოდ გზა პეტროგრადისაკენ შეიცვალა გზად პარიზისაკენ. ეროვნული სტიქია კი თავის ამარა მიტოვებული თავის საქმეს აკეთებდა და მისი გაშლის პირველი და უდიდესი ეტაპი უნივერსიტეტის გახსნა იყო.

უკვე ნოემბრის ბოლოდან (26 ნოემბრიდან) იწყება ტფილისში არაოფიციალური სხდომები მომავალ საპროფესორო კოლეგიისა ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც ესწრებიან ფ. გოგიჩაშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ე. თაყაიშვილი და სხვა. ასეთივე სხდომები სისტემატურად იმართება დეკემბრის განმავლობაში (სულ 4 დეკემბერში). მსჯელობის საგნებია უნივერსიტეტის საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხები. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებით მიღებულია სასწავლო გეგმა, რომელიც ეხება თავდაპირველად გასახსნელ ერთ ფაკულტეტს სიბრძნისმეტყველებისა (ფილოსოფიურის). მისი მთავარი აზრი მდგომარეობდა ევროპის უნივერსიტეტთან დაახლოვებაში. იანვრის სხდომები კიდევ უფრო პრაქტიკულ ხასიათს იღებენ. გამორკვეულია, რომ ცენტრთან კავშირს აღარავითარი აზრი აღარა აქვს. ფოსტით გამოგზავნილმა „ნებართვა“მ ტფილისამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ის ზედმეტიც იყო. ოქტომბერმა „ნებართვის“ პრინციპი და იდეოლოგია დაამსხვრია და აღიარა, რომ ყოველი ერი თვით აკეთებს და განაგებს თავის კულტურულ საქმეებს. უკვე დეკემბრის ბოლოში ჩამოდის პეტროგრადიდან შალვა ნუცუბიძე, იანვარში ბრუნდებიან ხარკოვიდან გ. ახვლედიანი, მოსკოვიდან ა. რაზმაძე. იანვრის სხდომები იმართება უკვე მომავალ საუნივერსიტეტო შენობაში. გახსნამდე იმართება სულ 2 სხდომა. მათი საგანია მომეტებულად საორგანიზაციო საკითხები, მათ შორის რექტორის და სიბრძნისმეტყველების

ფაკულტეტის დეკანის არჩევნები. უნივერსიტეტის პირველ რექტორად არჩეულ იქმნა პროფესორი პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივ. ჯავახიშვილი. ამასობაში გამოქვეყნებულ იყო უნივერსიტეტში მიღების პირობები. საინტერესო იყო, როგორ გამოეხმაურებოდა მას ქართველი საზოგადოება, რადგან ამასთან იყო დაკავშირებული, თუ რამდენად საჭირო საზოგადოებრივ და ეროვნულ საჭიროებას წარმოადგენდა უმაღლესი სკოლა საქ-ში. ი. ყიფშიძემ, რომელსაც მინდობილ ჰქონდა, როგორც მდივანს, სტუდენტების მიღების საქმე, გულდამშვიდებით აღნიშნა პირველსავე დღეს იმის უტყუარი ნიშნები, რომ საზოგადოება დიდის ინტერესით ეკიდებოდა უნივერსიტეტში შვილებისა და მახლობლების მოთავსების საქმეს და ახლობელმა დღეებმა საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ უნივერსიტეტის ინიციატორებმა ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით უტყუარი აღღო აუღეს ქართველ ერის საჭიროებას და მის კულტურულ-ისტორიულ პერსპექტივას.

1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) მოხდა უნივერსიტეტის საჯარო გახსნა. ეს დღე ჩატარდა იშვიათი ერთსულოვნებისა და მტკიცე რწმენის ნიშანს ქვეშ. ყველა გრძნობდა, რომ ქართველი ერის კულტურული აღორძინების ხანა იწყება.

წელს, ე.ი. 1928 წლის 8 თებერვალს ახალი სტილით სრულდება 10 წელი მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი გაიხსნა ტფილისში. დღევანდელი 5 ფაკულტეტი, რვა ათასი მსმენელი, ხუთასამდე თანამშრომელი, მრავალი საკუთარი შენობები, დაწესებულებები, ინსტიტუტები, ლაბორატორიები, მრავალი ახალგაზრდა მუშაკი, უნივერსიტეტის სხვა და სხვა ფაკულტეტიდან გამოშვებული ქართველ ხალხისათვის უდიდესი განძია საუკუნეთა გასწრივ ძველ კულტურასთან კავშირის აღმდგენი და მომავალ კულტურულ ზრდისაკენ გზის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობისათვის უდიდესი ზრუნვის და ყურადღების ღირსი საგანი, მის დამმაარსებელთათვის კი აუნერელი ჯილდო მომავალ თაობათა წინაშე დამამშვენებელი.

1928 წელი.  
პროფესორი შალვა ნუცუბიძე

## შალვა ნუცუბიძის პასუხი ნიკო მარს

აკადემიკოსმა ნიკო მარმა წერილი გამოუგზავნა ივანე ჯავახიშვილს თხოვნით, რომ მისთვის თბილისის უნივერსიტეტში მიეცათ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელობა. ეს საკითხი განსახილველად ივანე ჯავახიშვილმა საბჭოზე დააყენა. საქართველოს მეცნიერ-პედაგოგებმა იცოდნენ ნიკო მარის შეხედულება — თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა იგი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებას, მაგრამ კარგად იყო ცნობილი ნიკო მარის ავტორიტეტი საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ. ეს გარემოება ამძიმებდა მდგომარეობას. საჭირო იყო ეს განწყობა საპასუხო წერილში გამოთქმულიყო ზრდილობიანად, ასე ვთქვათ, ლიბერალურ ფორმაში.



ნიკო მარს

მაშინ ადგა შალვა ნუცუბიძე და თქვა: — „სამართლიანობა მოითხოვს, ჩვენ გულწრფელად ვუპასუხოთ ასე: — თუ ვინმეს პრეტენზია ექნება თბილისის უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელობაზე, თქვენ გაქვთ უფლება — იყოთ აღნიშნული კათედრის ხელმძღვანელი, მაგრამ თუ ვინმეს უარი უნდა ეთქვას საქართველოს უნივერსიტეტში სწავლების უფლებაზე — ეს, პირველ რიგში, თქვენ იქნებით...“

## მოღვაწეობა უნივერსიტეტის გახსნიდან პირველსავე წლებში

1918 წელს, 12 ნლის განშორების შემდეგ, შალვა ნუცუბიძე საქართველოში დაბრუნდა.

ახლად შექმნილ ქართულ უნივერსიტეტს, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი შალვა ნუცუბიძე იყო, სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, უსათუოდ ესაჭიროებოდა მაღალი დონის ფილოსოფიური კადრები. ყველა სახელმოხვეჭილი უნივერსიტეტი ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლებითაც იყო განთქმული. თბილისის უნივერსიტეტიც ასეთი გზით უნდა ნასულიყო, მით უფრო, რომ ფილოსოფიური აზროვნების ძველი ეროვნული ტრადიცია აღორძინებას მოითხოვდა. შალვა ნუცუბიძემ ითავა ეს დიდი საქმე.

შალვა ნუცუბიძემ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნამდე შექმნა საგამომცემლო ბაზა, ხელმძღვანელობდა საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებას, დააარსა „საერთო განათლების კურსები”, სადაც ღებულობდნენ ყველა ასაკის ადამიანს, რომელსაც საშუალო განათლების ატესტატი არ ჰქონდა. კურსების დამთავრების შემდეგ მათ უნივერსიტეტში შესვლის უფლება ეძლეოდათ. კურსებმა, როგორც კერძო დაწესებულებამ, 5-6 წელი იარსება და 1927 წლიდან უკვე მთავრობის სასწავლებლად გადაკეთდა.

უნივერსიტეტის გახსნისთანავე კი, 1918 წლის 26 მაისს, შალვა ნუცუბიძე აარსებს „პეტრინის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოებას“, რომლის მთავარი სამოქმედო ამოცანა იყო ქართული ფილოსოფიური ძეგლების შეგროვება და გამოსაცემად მომზადება. ფილოსოფიური ცოდნის გავრცელება და ეს მუშაობა შემდეგ გრძელდებოდა სემინარებში. ეს სემინარები წარმოადგენდნენ ფილოსოფიური ტრადიციების ახალ საფუძველზე აღორძინებას, რომელსაც საქართველოში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

1918 წლიდანვე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის შალვა ნუცუბიძის

ინიციატივითაა შემდგომში დაარსებული უნივერსიტეტის იურიდიული, ეკონომიკური და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები. იგი კითხულობდა სამეცნიერო მეთოდიკას, ისტორიულ მატერიალიზმს, სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვებათა ისტორიას და ამ ყველაფერს კითხულობდა მისი ძირითადი საგნების — ლოგიკისა და ფილოსოფიის პარალელურად.

შალვა ნუცუბიძე 1920 წლიდან 9 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პროფესიული სამეცნიერო და სასწავლო ხაზით (უყვარდა თქმა: მე მმართველი პროფესიული ვიყავი, ისე კი არა!). ცნობილია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილის მიმართ. როგორც პროფესიული, იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მზად იყო თავის თავზე აელო ბევრი ადმინისტრაციული და მიმდინარე ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, რათა ივანე ჯავახიშვილს, როგორც დიდ მეცნიერს, ჰქონდა შესაძლებლობა — მეტი დრო დაეთმო მეცნიერული კვლევისათვის.

15 წლის განმავლობაში შალვა ნუცუბიძე იყო მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე.

შალვა ნუცუბიძე გახდათ, ასევე, უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექტორი.

\* \* \*

თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პირველსავე წლებში შალვა ნუცუბიძემ დაწერა სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის: „ლოდიკა“, „ფილოსოფიის შესავალი“, რომლებშიც ძირითადად გადმოცემულია შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი მიმართულება; ასევე ქვეყნდება მისი შრომები: „ალეთოლოგიის საფუძვლები“, „ბუნებისათვის ცნებისა“, „შემეცნება, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, „ხელოვნების თეორია“, „კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში“ და სხვა.

„ალეთოლოგიის საფუძვლებში“ შალვა ნუცუბიძემ შეიმუშავა საკუთარი თეორია ჭეშმარიტების პრობლემაზე (ალეთოლოგია ბერძნულად ნიშნავს მოძღვრებას ჭეშმარიტებაზე). ამ



თეორიის ჩამოყალიბება განაპირობა კანტისა და კანტიანური ფილოსოფიის იმ გადაუჭრელმა პრობლემამ, რაც ტრანსცენ- დენტურისა და იმანენტურის (შემეცნების ობიექტისა და შემმეცნებელი სუბიექტის) დამოკიდებულებასთან იყო დაკა- ვშირებული. ამ დამოკიდებულებას „ჩატეხილი ხიდის“ პრობ- ლემა ეწოდება, რომლის მიხედვითაც სუბიექტი ვერასოდეს გავა თავისი იმანენტური შესაძლებლობიდან და ვერ დაად- გენს ტრანსცენდენტურის შესახებ ჭეშმარიტებას.

„ალეთოლოგიის საფუძვლების“ შესავალში შალვა ნუცუ- ბიძე წერდა: „ეს თხზულება მძიმე პოლიტიკურ პირობებში ინერებოდა, მაგრამ ჭეშმარიტების მარადიული ბუნებისათ- ვის წარმავალსა და ცვალებადს მნიშვნელობა არ აქვს, თა- ვისთავად ღირებული აუცილებლად იქცევა ღირებულად ჩვენთვის“.

1926 წელს ბერლინში, ცნობილი ნეოკანტიელების — ლიბერტისა და ბუხენაუს რეცენზიით დაიბეჭდა შალვა ნუ- ცუბიძის ნაშრომი — „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქ- ტურა“, რომელიც მიზნად ისახავდა ალეთოლოგიური რე-

ალიზმის დასაბუთებას. ამ შრომისთვის მას, 1927 წლის 17 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მიანიჭეს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

რამდენიმე წლის შემდეგ შალვა ნუცუბიძე ბერლინში ისევ გამოსცემს მეორე შრომას — „ფილოსოფია და სიბრძნე“, რაც წარმოადგენდა ალეთოლოგიის სფეროს უფრო დეტალურად მოხაზვას. შალვა ნუცუბიძის თეორიის მიხედვით, არსებობს „ჭეშმარიტება თავისთავად“, რომელიც პირობაა „ჭეშმარიტებისა ჩვენთვის“, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენთვის ჭეშმარიტება თვით არის პირობა „ჭეშმარიტებისა თავისთავად“. ამით შემეცნების ობიექტი და შემეცნებელი სუბიექტი ერთიმეორეს ემთხვევა და ჩატეხილი ხიდის პრობლემა იხსნება. ფილოსოფიაში ყოველთვის არსებობს სადაც პრობლემები, რომელზეც ერთიანი აზრის მიღება შეუძლებელია. სწორედ ასეთ საკითხს განეკუთვნება ჭეშმარიტების პრობლემა ფილოსოფიაში, რომელზეც თავისი გაძედული პოზიცია ჩამოაყალიბა იმ დროს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ. ეს პრობლემატიკა აქტუალური იყო დასავლეთის ფილოსოფიაში და ამ წიგნებმა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება მოიპოვეს გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. რუნო ბაჟხი აღნიშნავდა „აზრის სიმახვილეს მისი წიგნისას“, რომელიც ერთ-ერთ უურნალში დახასიათებულია, როგორც „ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე.“

1925-1926 წლებში შალვა ნუცუბიძე მიწვეული იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორად.

1944 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ, როცა შალვა ნუცუბიძე ლექციას კითხულობდა, სალექციო აუდიტორიაში ტევა არ იყო, მის მოსასმენად მოდიოდნენ ისინიც, რომელთაც მის ლექციაზე დასწრება სულაც არ ევალებოდათ.

\*\*\*

შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა შეიძლება დაიყოს ორ პერიოდად. პირველ პერიოდს შეიძლება ვუნიდოთ მეტაფიზიკური პერიოდი — ეს არის ორიგინალური აზროვნების პერიოდი, ხოლო მეორე პერიოდი — ეს არის ქართული ფილოსოფიის ისტორიის შექმნისა და ქართულ კლასიკურ სააზროვნო სივრცეში აღმოსავლური რენესანსის იდეის წამოჭრის პერიოდი. რას ეძებდა შალვა ნუცუბიძე ალეთოლოგიურ რეალიზმი? იგი იკვლევდა, თუ რა არის ჭეშმარიტება? შესავალში ამბობს, რომ ზედა საფეხურზე ფილოსოფია არ არის საჭირო, ხოლო ქვედა საფეხურზე არ სჭირდებათ ფილოსოფია, ანუ ღმერთისთვის ფილოსოფია არ არის საჭირო, ცხოველთა სამყაროსთვის კი ფილოსოფიის გაგება მიზანშეწონილი არ არის. ე.ი. ფილოსოფოსობა ადამიანის უპირატესი უნარია. იმისათვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს ჭეშმარიტებას, საჭიროა იგი გათავისუფლდეს სპეციფიკური ადამიანურისაგან. თუ ადამიანი ამისგან არ გათავისუფლდა, ისე იგი ჭეშმარიტებას, ანუ ღმერთს ვერ ჩაწვდება. შალვა ნუცუბიძის მთელი ნაშრომი სწორედ იმის გარკვევას მიეძღვნა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი გათავისუფლდეს სპეციფიკური ადამიანურისგან და თუ მისგან გათავისუფლდა, მაშინ როგორ შეიძლება იგი, ამავე დროს, დარჩეს ადამიანად. ანუ, მისი აზრით, ადამიანში არის უფრო მეტი და ეს მეტი არის ის ირაციონალური, რომლითაც ადამიანი წვდება იმ საიდუმლოებას, რომელიც მასზე მეტია.

რატომ შეაჩერა შალვა ნუცუბიძემ კვლევა ამ მიმართულებით? ტოტალიტარული რეჟიმის დროს ფილოსოფია იქცა იდეოლოგის მსახურად და იგი იძულებული იყო — მოეძებნა მეორე გზა, რომელიც ფილოსოფიას ზიანს არ მიაყენებდა. მან სცადა ქართული ფილოსოფიური წიაღისკენ მიბრუნება და აქაც მან დიდ ნარმატებებს მიაღწია. მან შექმნა ქართული ფილოსოფიური ისტორიის ორტომეული. რაც ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა საქართველოს ისტორიისთვის, იგივე ღვაწლი დასდო შალვა ნუცუბიძემ ქართული ფილოსოფიის ისტორიას ამ ორტომეულით.

შალვა ნუცუბიძემ დიმიტრი უზნაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას. დიმიტრი უზნაძე ამ დროს გახლდათ ფილოსოფოსი და თვითგადარჩენისთვის მასაც უნდა ეძებნა მეორე გზა. ეს გზა ფსიქოლოგიაში წასვლა იყო, რაც დააგვირგვინა განწყობის თეორიის შექმნით. ასე რომ, შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა ქართული ფილოსოფიური სკოლა, ხოლო დიმიტრი უზნაძემ — ქართული ფსიქოლოგიური სკოლა.

შალვა ნუცუბიძე ფილოსოფიის შესავლის წინასიტყვაობას ასე ასრულებს: „მშობლიურ ნიადაგზე მეცნიერების აღორძინებამ ფრთხები შეასხა არაერთ ოცნებას. წინამდებარე წიგნი ნაწილია ამ ოცნებათა განხორციელების რიურაჟისა. მასში ბევრი ნაკლია, მაგრამ ჩვენზე ბედნიერი თაობა, რომელიც სამშობლოს აღორძინების დღეს მოესწრება, გვაპატიებს იმ ბურუსს, რომელიც განთიადის თანმხლებია.“ შალვა ნუცუბიძემ ყველაფერი გააკეთა ამ ბურუსის გასაფანტად. მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქართული მათემატიკური და ქართული ფსიქოლოგიური სკოლების გვერდით ქართული ფილოსოფიური სკოლაც არსებობს.



## პოლიტიკური მოღვაწეობა

1919-1921 წლებში შალვა ნუცუბიძე იყო საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) წევრი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. „იმ დროს ყველა რომელიღაც პარტიაში იყო და მეც ფედერალისტი ვიყავი“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.

მას, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრს, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე.

ტრიბუნაზე ყოველი მისი ასვლა ნამდვილი მოვლენა იყო საკანონმდებლო ორგანოში. მისი სიტყვა გამოირჩეოდა ორატორული ხელოვნებითა და დახვეწილი იუმორით. ფედერალისტები, რომელთა წევრიც შალვა ნუცუბიძე იყო, სიამაყით უმზერდნენ საკუთარ ფალავანს, სოციალ-დემოკრატები კი, შუბლშეკრულნი, ადგილიდან შხამიან რეპლიკებს არ იშურებდნენ მისთვის.

შალვა ნუცუბიძის მჭევრმეტყველება გასაოცარი სულაც არაა, თუ გავიხსენებთ მისი ბიოგრაფიის ცნობილ პასაჟს, როდესაც თვით გრიგოლ რობაქიძემ დაიხია უკან და უარი განაცხადა 19 წლის მეტოქესთან დისპუტზე. იმ დროისთვის აღიარებულმა მწერალმა ეს გარემოება ოპონენტის ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით გაამართლა (ვითომ, ღლაპთან კამათი როგორ ვიკადრო). თუმცა, ყველასთვის ცხადი იყო, რომ ის განბილებას მოერიდა. ბუნებრივია, ასეთი მასშტაბის ინტელექტუალს დამფუძნებელ კრებაზე თავმოყრილი სოციალ-დემოკრატები სათანადო ოპონირებას ვერ უწევდნენ. სხვა თვისებებთან ერთად, შალვა ნუცუბიძე ამაყი, უტეხი ხასიათით გამოირჩეოდა. გრძნობდა რა თავის

ინტელექტუალურ აღმატებულობას, ის ქედმაღლურად უც-ქერდა მოწინააღმდეგებს და ხშირად გადადიოდა საჯარო დისპუტის დროს დასაშვებ ზღვარს. მისი საპარლამენტო გამოსვლების საუკეთესო ნიმუშები სავსეა ოპონენტის მიმართ სარკასტული პასაჟებით, რასაც მუდამ თან სდევდა ტაში და პომერული ხარხარი ოპოზიციონერ დეპუტატთა ფლანგზე. სამაგიეროდ, კბილების ღრჭიალი და შიგადაშიგ გინება ისმოდა უმრავლესობის წარმომადგენელთა შორის...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი, გერმანიაში ფილოსოფიურ განათლებამიღებული შალვა ნუცუბიძე დამფუძნებელი კრების არსებობის თითქმის ორწლიან პერიოდში ნამდვილ თავის ტკივილად იქცა მმართველი გუნდისთვის. დარბაზში მსხდომი დეპუტატები მაშინვე წყვეტდნენ ყოველგვარ მოძრაობას და სუნთქვას იკრავდნენ, რომ მისი არც ერთი სიტყვა არ გამოჰქმდათ.

ცნობილია შალვა ნუცუბიძის დაპირისპირება ნოე უორდანისათან. თუ მანამდე იგი მინისტრებზე, დეპარტამენტების უფროსებზე, დამფუძნებელი კრებისა და თბილისის საქალაქო თვითმმართველობის წევრებზე ხარჯავდა ღვთისგან ბოძებულ სატირას, 1921 წლის 18 იანვარს შალვა ნუცუბიძემ, როგორც იტყვიან, ყველა „დასაშვები“ ზღვარი გადალახა და თვით სოციალ-დემოკრატიის უზენაეს გურუს, თვალშეუვალ და ხელშეუხებელ ნოე უორდანიას გაუბედა შეკამათება... შალვა ნუცუბიძემ მას თურმე „კაი მაგარ-მაგრები“ აკადრა და არაკომპეტენტური საკადრო პოლიტიკა დაუწუნა. მეტიც, მან მთავრობის თავმჯდომარეს ორი ისეთი დარგის (ეკონომიკა და განათლება) გაპარტახება დასდო ბრალად, რომელში გატარებული რეფორმებითაც უორდანია განსაკუთრებით ამაყობდა... შალვა ნუცუბიძის „კადნიერება“ იქამდე მივიდა, რომ ქართული დემოკრატიის მამას რჩევა მისცა: — ჩემი ნათქვამის თუ არ გჯერა, ამ დღეებში დასრულებული მასწავლებელთა ყრილობის რეზოლუცია წაიკითხე და თვითონვე დარწმუნდებიო. დეპუტატის „თავხედობით“ გაოგნებული უორდანია იმდენად აღელდა, რომ ენა დაება (ის ის-ედაც უკიდებდა ცოტას) და ბორძიკით უპასუხა: — უ-უკვე



ნინო ჭორდანია

ნ-ნავიკითხე და დავრწმუნდი, რომ მ-მასწავლებლებს უფრო ნაკლებად შ-შეუგნიათ საერთო მდგომარეობის სირთულე, ვ-ვიდრე მუშებსო. შალვა ნუცუბიძის მიერ მთავრობის თავმჯდომარისთვის სიტყვის პირში „შეტეხა“ უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატების მოთმინების ფიალაში...

ასევე ცნობილია შალვა ნუცუბიძის ბიოგრაფიის ის პასაჟები, რაც 1921 წელს

დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატის, ქალაქის მერის — ბენია ჩხიკვიშვილისა და სოციალ-ფედერალისტ შალვა ნუცუბიძის დაპირისპირებას უკავშირდება. ამ დაპირისპირებას კონფლიქტში სხვა დეპუტატების ჩარევა და რევლვერზე ხელის გაკვრაც მოჰყოლია.

ეს ამბავი კი ასე ყოფილა: 1921 წლის 1 თებერვალს დამფუძნებელი კრების სხდომა იმართება. შესვენების დროს ბენია ჩხიკვიშვილი და შალვა ნუცუბიძე შელაპარაკდნენ. ბენია ჩხიკვიშვილს შალვა ნუცუბიძისთვის უთქვამს:

— გაზეთში დაგინერია, ჩხიკვიშვილს თავი ფაჩულიასთან ხომ არ ჰგონია, ღვინოს სამოვარით რომ სვამსო. მერე, გაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთი?

— დავწერე, მერე რა, შენირეპლიკის პასუხად — სხდომაზე ლაზლანდარა ხარო, რომ მომაძახე... — უპასუხია ნუცუბიძეს.

— მანამდე შენ დამიძახე ჯიბგირი — შეეპასუხა ბენია ჩხიკვიშვილი.

— თუ ძალიან გაგიხარდება, დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან იგივეს კიდევ გაგიმეორებო.

— ჰოდა, საქმე გავარჩიოთ, ჩვენ შორის ვინ არის მტყუანი? შენ ვინც გინდა, ის მოიყვანე, მე ჩემთავად სამსონს ვასახე-

ლებ... — უთქვამს ბენია ჩხიკვიშვილს და თან მუშტი უთავაზა შალვა ნუცუბიძეს თვალში, მერე კი ხელი რევოლვერზე გაიკრა. ნუცუბიძემ ხელი სტაცა სკამს, მაგრამ დეპუტატებმა არ გაუშვეს და ნუცუბიძის ნასროლი სკამი ბენიას ასცდა.

ამ კონფლიქტის შემდეგ ფედერალისტების ფრაქცია მთელი შემადგენლობით ეწვია შალვა ნუცუბიძეს ბინაზე თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. მასთან ბინაზე მივიდა უნივერსიტეტის რექტორი პეტრე მელიქიშვილი და გამოთქვა რწმენა, რომ შალვა ნუცუბიძე „მუშტების არგუმენტებით“ ვერ დაადუმებენ და რომ კვლავაც მედგრად იბრძოლებს იგი პოლიტიკურ ასპარეზზე.

კონფლიქტიდან რამდენიმე დღეში ფედერალისტებმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს წარუდგინეს წინადადება ბენია ჩხიკვიშვილისთვის დეპუტატობის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ. 4 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა ფედერალისტთა ფრაქციის წინადადება. სოციალ-დემოკრატები ახმაურდნენ — ორ დეპუტატს შორის მომხდარი ინციდენტი არ შეიძლება გახდეს კრების მსჯელობის საგანი, ასეთი ამბები ბევრ ქვეყანაში ხდება და ამის გამო პარლამენტიდან არავინ გაუგდიათო. საბოლოოდ, კრებამ კენჭი უყარა წინადადებას საკითხის სრულად მოხსნის შესახებ, რის შემდეგაც, პროტესტის ნიშნად, ფედერალისტებმა დატოვეს კრების სამი სხდომა, ესერებმა და დაშნაკებმა — თითო სხდომა.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დამფუძნებელი კრება

გაზეთებში ზედიზედ გამოქვეყნდა სტატიები: „მუშტის აპოლოგია“, „ახმაურდნენ“... ერთ წერილში, რომელიც „ქართველი ქალის ხმაში“ დაიბეჭდა, უცნობი ავტორი წერდა: „ჯობდა, ბენია ჩხიკვიშვილს სილა გაეწნა ან ტყვია დაეხალა შალვა ნუცუბიძისთვის, მაგრამ მან შეგნებული აქტი ჩაიდინა, რათა მისთვის თვალი ამოეთხარა. ბენიას სურდა თვალის ამოთხრა, იმ მამხილებელი თვალისა, რომელიც ყველაფერს ხედავს და მთავრობის პოლიტიკის ბნელ კუნჭულებს ამზეურებს“. შალვა ნუცუბიძის სხვა მომხრეები კი წერდნენ: „მენშევიკების მუშტები ვერ შეაშინებენ ხალხის გმირებს და ვერ დაადუმებენ ძალმომრეობისა და უსამართლობის დასათრგუნავად ამეტყველებულ ნუცუბიძეს“.

საზოგადოების უკმაყოფილება დემონსტრაციაში გადაიზარდა. სტუდენტობამ თავისი პროფესორის შეურაცხყოფას დემონსტრაციით უპასუხა. ისმოდა შეძახილები: „გათავხედებული დეპუტატი ივიწყებს ხალხის უფლებას, როგორც მეკობრე, თავს ესხმის მას, ვისაც პატივს სცემს მთელი შეგნებული ახალგაზრდობა. ქალაქის მერმა დაამტკიცა, რომ ჩვენში არა აქვს პატივისცემა არც ხალხის წარმომადგენლებს და არც მოქალაქეს“. „თანამედროვე მკლავაძე შორს საპასუხისმგებლო პოსტიდან“, „ძირს ბარბაროსული თვითნებობა, ბაშიბუზუეური პოლიტიკა“, „სალამი და დღეგრძელობა პროფესორ შალვა ნუცუბიძეს“, „ზიზღი და შეჩენება „დეპუტატ“ ქალაქის თავს“.

მიუხედავად იმისა, რომ შალვა ნუცუბიძე ამ კონფლიქტში ფიზიკურად დაზარალდა, ბოლოს ისევ მან მოუწოდა ყველას — გაერთიანებულიყვნენ ერთ, საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა პარტიად. „ჩავაგდოთ ქარქაში პარტიული ხმალი და ამოვილოთ ქარქაშიდან თავდაცვის ხმალი.“ „ეს ის გარდაუვალი ისტორიული ქარიშხალია, რომელიც ჯიქურად დამხვდურ საუკუნოვან მუხასაც კი ძირფესვიანად ამოაგდებს, ნორჩ ლერწამს კი წაწოლით შეუძლია თავი გადაირჩინოს“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.

ბევრს არ ესმოდა მაშინ მისი მონიდებისა და მის სიტყვებს „წაწოლის პოლიტიკა“ შეარქვეს. როდესაც შემდეგ შალვა ნუ-

ცუბიძე ქებას ასხამდა საქართველოს აღორძინებას, ზოზო ნანებიშვილმა წამოაძახა: „შალვა, „წანოლის პოლიტიკა“ არ დაგავიწყდეს“. „მე რომ არ წავწოლილიყავი, ზოზო, შენ როგორ გადამახტებოდი“, — მიახალა თურმე შალვა ნუცუბიძემ.

ამ ამბებიდან ორი კვირის თავზე საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ და არც ჩხიკვიშვილ-ნუცუბიძის ჩხუბი გახსენებია ვინმეს და არც უორდანიას ენის დაბმა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შალვა ნუცუბიძე მთავრობას ემიგრაციაში არ გაჰყვა.

27 თებერვალს შედგა ფედერალისტთა პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა ნუცუბიძე, ხოლო მოადგილედ თედო ღლონტი. პოეტი პაოლო იაშვილი წესრიგის დამცველად იდგა. მენშევიკების მთავრობა 24 თებერვალს უკვე გაქცეული იყო. დროებითი მთავარი კომიტეტის კრების რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ფედერალისტები მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას. საქართველოს კომპარტიამ მათ ხელი გაუწოდა, რადგან ფედერალისტებს მიჰყვებოდნენ სოფლის მოსახლეობა, ხელოსნები და ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შალვა ნუცუბიძემ თავისი პოლიტიკური მისია ზედმეტად ჩათვალა, მაგრამ მაინც ვერ გაექცა პოლიტიკას.

„ფედერაცია ჩვენთვის გზა იყო სოციალიზმისაკენ, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე, — ამიტომ ჩვენთვის ერთიომეორი-საგან დაუცილებელი იყო სოციალიზმი და ფედერალიზმი... არც მონიზმი, არც ეკლექტიზმი, არამედ სინთეტიზმი — ასეთი იყო ჩვენი ფილოსოფია. უნდა მოხდეს ისტორიული და ფილოსოფიური შეგნების ისეთი შერწყმა, რომლის ნიადაგზე აშენდება ე.ნ. სოციალური ფიზიკა. ამისათვის უნდა გაირკვეს — არსებობს თუ არა პრინციპიალური იგივეობა მსოფლიო და სოციალურ კანონთა შუა. სინთეტიური ფილოსოფიის სოციალურ ცხოვრებაში მოქმედებენ იგივე კანონები, როგორც მსოფლიოს მთლიანობაში, მხოლოდ თავისებური სახეობით.

...განვითარება ყოველთვის არ ნიშნავს წინსვლას. ისტორიაში იბრძვის ძალაუფლება და თავისუფლება, თავი-

სი შრომით მცხოვრებნი და სხვისი შრომით მცხოვრებნი. საზოგადოებრივი წყობილება ყოველთვის არის ამ ძალების ერთგვარი შეწყობილება. კლასთა ბრძოლა ფაქტია და არა ფაქტორი. განუსაზღვრელი თავისუფლება ოცნებაა და არა სინამდვილე. პირველი პრობლემა თავისუფლებისა არის ეროვნული თავისუფლების პრობლემა, შემდეგ — ერის წიაღში სოციალური ჯგუფების განთავისუფლება, რაც წიადაგს უმზადებს პიროვნების განთავისუფლების სრულ აღორძინებას. ეს იქნება მომენტი მსოფლიო რენესანსისა.

...ყოველ პოლიტიკურ პარტიას ცხოვრებაში რაიმე გასამართლებელი მიზეზი, რაიმე დასაყრდენი უნდა მოეპოვებოდეს. ამის გარეშე პოლიტიკა მკვდარია, ოცნებაა, მოჩვენებაა. შეიძლება ვინერს გაუჩნდეს ძალიან ლამაზი და დალაგებული გეგმები, მაგრამ ამას არავითარი ლირებულება არ ექნება, თუ ცხოვრების სინამდვილე სულ სხვას მოითხოვს და სხვა გზით მიმდინარეობს. ამიტომაც ყოველგვარი პოლიტიკა, თუ ის ცხოვრებასთან შეხამებულია, მოითხოვს იმ ძალას, რომელსაც ემყარება, ინტერესებს — რომელსაც გამოხატავს, პირობებს — რომელშიც ამ ძალაზე დაყრდნობით ამ ინტერესების რეალიზაცია უნდა მოხდეს... ისტორიამ მენშევიზმის პოლიტიკა გაუქმდებულად გამოაცხადა, გაიმარჯვა კლასთა ბრძოლის პოლიტიკამ“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე (ამონარიდი ქეთევან ნუცუბიძის წიგნიდან — შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან).

1923-1929 წლებში შალვა ნუცუბიძე ამიერკავკასიის საპატიოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სასრ ცაკის წევრი იყო. ერთხელ მის მეგობარს, ყოფილ სასულიერო პირს შალვაზე უთქვამს: — შეხეთ, შეხეთ, რა სიამაყით ატარებს ცაკის სამკერდე ნიშანს!

— შე კაცო, — უპასუხია მისთვის შალვა ნუცუბიძეს, — თცი წლის მანძილზე ოყიან ჯვარს ატარებდი და არაფერი გვითქვამს, ამ პატარა ნიშანმა როგორ გაგაკვირვაო.

დღო გავიდა და შალვა ნუცუბიძე აღარავითარ ნიშანს აღარ ატარებდა. როცა მას ჰქითხეს — რატომ არაფერი ნი-

შანი არ გიმშვენებს მკერდსო, შალვა ნუცუბიძეს ასეთი პა-სუხი გაუცია: — უნიშნობაც ნიშანიაო...

მოკლედ, შალვა ნუცუბიძემ დროულად შეაფასა სიტუა-ცია და პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებაც მიიღო. 7 მაისისა და 1 მაისის დღესასწაულებზე თურმე საერთოდ გარბოდა ქალაქიდან „მე ამათი „ვაშა“-, „ურას“ გაგონება არ შემიძლია, შემატყობინეთ ყველა პლაკატს რომ ჩამოხსნიან, მაშინ დავპროცესიონ“, — უბარებდა ოჯახის წევრებს.

საბჭოთა ხელისუფლებას მხედველობიდან არ გამოჰქმარ-ვია პოპულარული პროფესორის ანტისაბჭოთა რეაქციები და შალვა ნუცუბიძის დევნა დაიწყო...

## პატიმრობისას ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ და სტალინის ეიფორია

კომუნისტური ხელისუფლებისათვის მიუღებელი ალ-მოჩნდა ევროპული განათლების მქონე ქართველი მეცნიერის დამოუკიდებელი აზროვნება და დიდი ავტორიტეტი. შალვა ნუცუბიძის გერმანული წიგნები აიკრძალა, აუკრძალეს, ასევე, ლექციების კითხვა ფილოსოფიაში. ამის შემდეგ, 1938 წელს შალვა ნუცუბიძე დაპატიმრეს ტაშისკარში, როგორც „გერმანიის ფაშიზმის აგენტი“. იგი მოსკოვში, ლუბიანკის ციხეში გადაიყვანეს.

„მამა დააპატიმრეს ტაშისკარში, უთენია. „ეზოში ხმაური გავიგე, რაღაცას მივხვდი და ამიტომაც თვითონ შევეგებე მათ აივაზზე“, — ამბობდა მამა. ტაშისკარიდან ფორმიანმა კაცებმა იგი წაიცემეს თბილისის უშიშროების ე.ნ. „კაგებეს“ ციხეში. ერთ ღამეს მამა გაჰყავთ ციხიდან. მას ეგონა, რომ დახვრეტას უპირებდნენ. როგორც შემდგომში გაირკვა, ის გადაიყვანეს მოსკოვში“, — წერს თავის მოგონებებში შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი თამარ ნუცუბიძე.

შალვა ნუცუბიძეს ბრალი 2 მუხლით წაუყენეს — 58/10 და 58/11, რომელიც გულისხმობდა კონტრრევოლუციურ საქმი-ანობას, პროპაგანდას და კონტრრევოლუციური მთავრობის სასარგებლოდ მშრომელი ხალხისა და რევოლუციური მოძ-



შალვა ნუცუბიძე პატიმრობისას

რაობის წინააღმდეგ აქტიურ ქმედებას იმ პირის მიერ, რომელიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოღვაწეობდა. სტალინის ეპოქაში ასეთი შეთითხნილი ბრალდებით მრავალი უდანაშაულო ადამიანი იყო დაპატიმრებული და გასამართლებული, მათ შორის შალვა ნუცუბიძეც აღმოჩნდა.

ამავე წელს მოსკოვში გაიმართა საქართველოს კულტურის დღეები. მაშინდელი საქართველოს კულტურის მინისტრი კანდელაკი კრემლში გამოიძახეს. სტალინს საუბრის დროს უკმაყოფილება გამოუთქვამს რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამო. „ახალი თარგმანი უნდა გაკეთდეს და ეს საქმე იმას უნდა დაევალოს, ვინც კარგად იცის დედნის ენა. ხომ არავინ გეგულება ასეთი?“ — უკითხავს სტალინს კანდელაკისთვის. მინისტრი ერთი პირობა კი შეცდა, მაგრამ მაინც უპასუხია: — „არის ასეთი ადამიანი, მაგრამ ამჟამად დაპატიმრებულია — ეს არის შალვა ნუცუბიძე“.

სწორედ ამ დიალოგის შემდეგ დაინტერესდა თურმე სტალინი დაპატიმრებული მეცნიერით.

როცა პატიმარ ნუცუბიძეს ციხიდან გათავისუფლების იმედი გაუქრა, მოულოდნელად ის იგებს, რომ რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად უნდა თარგმნოს... მეცნიერისთვის ნათელი ხდება, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებმა იმთავითვე იცოდნენ იმის შესახებ, რომ ნუცუბიძეს დაპატიმრებამდეც ჰქონდა დაწყებული ამ პოემის თარგმნა.

შალვა ნუცუბიძეს პოემის თარგმნა 1937 წელს დაუწყია, ნაწყვეტებს თურმე აუდიტორიაში კითხულობდა. დაპატიმრების შემდეგ, როგორც თავად წერდა, ლუბიანკაზე მიაკითხეს და უთხრეს: — ვიცით, რომ რუსთაველის პოემას თარგმნით, მოგცემთ საშუალებას — თარგმანი დაამთავროთ. ამ წინადადებას იგი დათანხმდა და მეორე დღიდანვე ახალი ცხოვრება დაიწყო: კამერაში გაჩნდა პოემის ქართული გამოცემა, პატიმართა საკვების ნაცვლად მისთვის სადილი ციხის ზედამხედველთა სასადილოდან მიჰქონდათ. ყოველი კვირის ბოლოს თარგმანი ციხის საკიდან გაჰქონდათ და, სანამ შალვა ნუცუბიძე არ გაათავისუფლეს, არ იცოდა, ვისთან მიჰქონდათ მის მიერ ნათარგმნი პწკარედები. მხოლოდ მოგვიანებით გახდა მისთვის ცნობილი, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანი იოსებ სტალინთან ხვდებოდა და რომ სტალინი თავად ადგევნებდა თვალს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნის პროცესს.

გადის ხანი, სტალინი ბერიას იბარებს და ეკითხება: — გალიაში მომდერალი შაშვი თუ გინახავსო? — არა, არ მინახავსო... — უპასუხია ბერიას. რამდენიმე კვირაში, სტალინის ბრძანებით, ნუცუბიძე გაათავისუფლეს მოსკოვიდან გასვლის უფლების გარეშე იმ პირობით, თუ პოემის თარგმნას დაინიშნულ დროზე დაამთავრებდა.

შალვა ნუცუბიძე წერდა თავის მოგონებებში, რომ ციხის ზედამხედველები მას აჩქარებდნენ, თავად კი მაქსიმალურად გაჰყავდა დრო სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. ასე რომ, შეიძლება ითქვას, დიდი მოღვაწე სიკვდილს ხელიდან თავად შოთა რუსთაველმა გამოგლიჯა. შალვა ნუცუბიძესაც ხშირად უთქვამს: — სიკვდილს რუსთაველმა გადამარჩინა.



იოსებ სტალინი



ლავრენტი ბერია

შალვა ნუცუბიძემ 1939 წლის 1 მაისს რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მეოთხე, სრული პოეტური თარგმანი დაასრულა და, როგორც ირკვევა, იგი სტალინს გადაუგზავნეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული თარგმანი 1940 წელს 22 ნოემბერს სტამბას ასაწყობად გადაეცა. ერთი თვის შემდეგ სასიგნალო გამოცემა უკვე მზად იყო. პირველმა სასიგნალო ეგზემპლარმა, რომელიც საბჭოთა ბელადმა მთარგმნელს აჩუქა, შემოინახა სტალინის, როგორც კორექტორ-რედაქტორის კვალი — მასზე ლურჯი ფანქრითაა მინიშნებული დანუნებული და ჩასწორებული სტრიქონები. სტალინმა თარგმანში ორი ტაეპი ჩაასწორა, ასევე, შეცვალა სატიტულო ფურცელი, სადაც ხაზი გაუსვა, რომ თარგმანი ქართულიდან განხორციელდა. „ვეფხისტყაოსნის“ სასიგნალო ეგზემპლარი გორში — სტალინის სახლ-მუზეუმში ინახება.

როგორც აღმოჩნდა, სტალინს ძლიერ მოსწონებია თარგმანი, რომელიც თავიდან ბოლომდე წაუკითხავს. მას ბერიასთვის მიუწერია: — ბოლო დრომდე ვიცოდი, რომ რუსულ ენაზე საუკეთესო თარგმანი პეტრენკოს ეკუთვნის, მაგრამ ნუცუბიძის თარგმანის გაცნობის შემდეგ, ვთვლი, რომ ის არა მარტო უკეთესია პეტრენკოს თარგმანზე, არამედ გამორჩეული ლიტერატურული მოვლენაა.

სტალინს მალევე მოუსურვებია შალვა ნუცუბიძესთან პირადად გასაუბრება თარგმანის თაობაზე. და, აი, შალვა ნუცუბიძე 1940 წლის 20 ოქტომბერს სტალინს შეახვედრეს კრემლში. არსებობს ამ შეხვედრის თაობაზე მოგონება, რომელიც შალვა ნუცუბიძის მეუღლის — ქეთევან ნუცუბიძის წიგნშია ასახული.

„1940 წლის ოქტომბრის კვირა დღე იყო. ვიღაც კაცმა შალვა ნუცუბიძეს მანქანით მოაკითხა ბინაზე. მოსულმა მის საშინაო ტანისამოსს ახედ-დახედა და იკითხა.

— უკეთესი არა გაქვთ?

— მაქვს, — უპასუხა შალვამ და მოულოდნელ სტუმარს დააცქერდა.

— აბა, გადაიცვით და წავედით, — თქვა მოსულმა.

გზაში სერგო ქავთარაძეს გაუარეს. მანქანა კრემლთან გაჩერდა. სტალინის თანაშემწესთან შევიდნენ.

— თქვენ ახლა წამოპრძანდებით იოსებ ბესარიონის ძესთან, — თქვა ლიმილით თანაშემწერ.

სტალინი ფეხზე ამდგარი შემოხვდათ. შალვა ნუცუბიძეს გაუწინდა ხელი და ჰკითხა:

— ВЫ будете профессор Нущубидзе?

— Да, товарищ Сталин, это я. — უპასუხა მშვიდად ნუცუბიძემ.


— То, что Вы сделали, это большое дело, — ისევ რუსულად უპასუხა სტალინმა და შემდეგ ქართულ საუბარზე გადავიდა.

— ტექსტი ძალიან გაგიმართავს, ბრწყინვალეა, — თქვა მან და ხელში აიღო ტყავის ყდაში ჩასმული სასიგნალო ეგზიმპლარი „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული თარგმანისა.

გამოუთქმელი იყო შალვას სიხარული — პირველად ხედავდა თავის თარგმანს ასე ბრწყინვალედ აკინძულს და ისიც სტალინის ხელში. სტალინი წიგნის ფაქტიური რედაქტორი იყო.

— გარეკანზე მარტო რუსთაველის ბარელიეფი არ კმარა,

— ამბობდა სტალინი და შენიშვნების გასაკეთებლად ხელში ლურჯი ფანქარი მოიმარჯვა, — უნდა ჩანდეს — წიგნი რა არის, უნდა ეწეროს ყდაზე, გარეთ: ზევით რუსთაველი და ქვევით შენი გვარი.



ვეფხისტყაოსნის სასიგნალო ეგზემპლარის სტალინის ხელით  
ჩასწორებული ვარიანტი

ყდაზე რომ აღნიშნა ეს ყველაფერი, დაიწყო ილუსტრაციების თვალიერებით, ქობულაძის ილუსტრაციებზე შეაჩერა ყურადღება და აღნიშნა:

— ეს არის ტარიელის შესვედრა ნესტან-დარეჯანთან ქა-  
ჯეთის ციხიდან გამოხსნისას?! კაცო, ეს უგამჩენო, როგორც

იქნა, ამდენი ხნის უნახავ შეყვარებულს შეხვდა და იმის მა-გივრად, რომ ალერსიანად შეჰყურებდეს, როგორი მრისხანე გამომეტყველებით მისჩერებია, თანაც ტარიელი მონღოლს უფრო ჰგავს, ვიდრე ქართველს.

შემდეგ იკითხა:

— მათრახი რომ გადასცხო ტარიელმა მდევრებს, ის სუ-რათი რატომ გამოტოვეთ?

მაგიდაზე იქვე იდო გადაშლილი ქართული დედანი და მა-ნამდე არსებული ყველა თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“.

— მე მხარს ვუჭერ ხატაელთა ბრძოლის ტაეპს და ხვარაზ-მელთა ეპიზოდსაც, თუნდაც საეჭვოდ მიაჩინდეთ მკვლევართ მისი რუსთაველისათვის მიკუთვნება. ხალხმა ხომ მიიღო, ზეპირად იცის, ამით უფრო გამდიდრდა იგი მხატვრული სახ-ებით — ეს საკამარისია მის გასამართლებლად და ამიტომ არ მიმაჩნია მართებულად ამ ეპიზოდების ამოღება... პირიქით, შემდეგ გამოცემას შენ უნდა დაურთო ხვარაზმელთა ეპი-ზოდიც, რასაკვირველია, გარკვეული რედაქციით, — ამბობ-და სტალინი.

ამის შემდეგ სტალინმა ამოიღო უბის წიგნაკი, გადაშალა და ნუცუბიძეს თავისი ნათარგმი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი წაუკითხა. შემდეგ ღიმილით დასძინა: — თუ მართ-ლა მოგნონთ, მიიღეთ ჩემგან საჩუქრად, გამოიყენეთ თქვენს თარგმანში, ხოლო ჩემზე ნურაფერს იტყვით. საერთოდ, მე სიამოვნებით ვიკისრე თქვენი თარგმანის რედაქტორობა, ოღონდ ნურც ეს იქნება მოხსენიებული.

შემდეგ მიუბრუნდა სერგო ქავთარაძეს, როგორც „გოს-ლიტიზდატის“ თანამშრომელს და უთხრა:

— ძალიან კარგად უნდა გამოსცეთ და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით, რომ მასებამდე მივიდეს“ (ეს მოგონება, რო-გორც ზემოთ აღვნიშნეთ, შალვა ნუცუბიძის მეუღლის წიგნ-შია შესული).

\* \* \*

რატომ იყო სტალინი ასე დაინტერესებული „ვეფხისტყ-აოსნის“ თარგმანით? როგორც ჩანს, მისთვის პოემის ახალ

რუსულენოვან თარგმანს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საერთაშორისო ასპარეზზე მენაღის შვილს, გლეხური წარმომავლობის ფონზე, იმისი მტკიცება დასჭირდა, რომ სახელოვანი ერის წარმომადგენელი იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, სრულყოფილი თარგმანი მას მსოფლიო საზოგადოების წინაშე სხვაგვარი რანგით წარმოაჩენდა. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამოცემით სტალინმა დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ იგი იყო უდიდესი ცივილიზაციის მქონე ერის შვილი.

\* \* \*

გამალებული იბეჭდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძის ესული თარგმანი 150 000 ტირაჟით.

სტალინმა შეუთვალა: — არაფერი წაკლი გაგეპაროს, წაიკითხე კიდევ ერთხელ ტიხონოვთან ერთად.

რა თქმა უნდა, მაშინვე შესრულდა მისი წინადადება და ხუთ დღეს თავაუღებლად კითხულობდნენ თარგმანს ნუცუბიძე და ტიხონოვი.

შალვა ისე გაახალგაზრდავებულიყო, ამბობდა: — „ენერგია რაც მქონდა, ასი იმდენი მაქვს, იალბუზს გადავაბრუნებ, რომ საჭირო შეიქნეს. ახლა ვიწყებ ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერ წარმატებას. ჩემი ვარსკვლავი არ ჩამქარალა, ღრუბელმა გადაიარა, ისევ ცის კამარაზე ავიდა და შუბის ტარს უახლოვდება. ვაი იმას, ვისაც იგი თვალს უბრნელებს.... ჩვენი მზე შუბის ტარზე, ხოლო მტერი შუბის წვერზე! ცხოვრების ქვესკნელიდან მწვერვალზე ავარდნილმა, სტალინის ნაამბორევი შუბლით, 15-საუკუნოვანი კედელი გავარღვიე და ბნელით მოცული საიდუმლოება არეოპაგელისა გავაცხადე“.

შალვა ნუცუბიძე თავის მდგომარეობას საკუთარ დას, თამარსაც უზიარებდა და სწერდა: „ახლა, როცა უკვე დამთავრდა ყველაფერი, როცა უკან მოვიხედავ, მხოლოდ ახლა ვაკვირდები – როგორ მოვახერხე ამოდენა სიმძიმის ანევა“.

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ოსტატობით თბილის უნივერსიტეტის პროფესურა მაშინვე აღფრთოვანდა. ისტორიას შემორჩა პროფესორ გიორგი ახვლედიანის ასეთი მოგონება: „მახსოვს, შალვამ წინასწარ გვაჩვენა კოლეგებს

ჯერ გამოუქვეყნებელი თავისი თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მონაკვეთისა. ჩვენ ყველა გაგვაოცა თარგმანის ადექვატურობამ და რუსული ლექსის სიმშვენიერემ. ივანე ჯავახიშვილმა თქვა: — ამით ხომ რუსთველოლოგის ნახევარია გაკეთებულიო. მახსოვს, თუ როგორ განცვიფრდა დიმიტრი უზნაძე და პეტერ შალვას: — შენ ხომ არ შეცდი შენი შემოქმედების გზის არჩევანში, იქნებ დიდი პოეტის გზა უფრო შეგეფერებოდა, ვიდრე დიდი მეცნიერისაო?

გადის დრო და ცნობილი რუსი მწერალი ალექსი ტოლსტოი წერს:

„ნავიკითხე რუსთაველის პოემის ახალი თარგმანი, თუმცა არ ვეწევი ლიტერატურულ სიახლეთა რეცენზირებას, მაგრამ არ შემიძლია შევიკავო თავი და არ გამოვთქვა რამდენიმე აზრი, რომელიც აღმიძრა ამ ნამდვილად მომაჯადოვებელმა თარგმანმა. მე არ ვაპირებ მთარგმნელის ქებას, მისთვის ქებაც ცოტაა... ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსთაველი აქამდე არ ვიცოდით ცუდი თარგმანების გამო, არ ვიცოდით ის, რაც ახლა შევიგრძენით. პოემის მთელი სიდიადე ნათლად არის გაშლილი შ. ნუცუპიძის თარგმანში... ხშირად კმაყოფილი ვართ, თუ ლიტერატურათმცოდნეს გააჩნია საკმაო მხატვრული აღღო, რომელიც აუცილებელია მისი ისტორიულ-ლიტერატურულ ძიებათა სრულყოფისათვის. ლიტერატურათმცოდნის შეხამება ნამდვილ, დიდ პოეტურ ნიჭთან გამონაკლისი მოვლენაა და მე უნდა ვაღიარო, რომ შალვა ნუცუპიძე ასეთი გამონაკლისია. მან ეჭვმიუტანლად ძლია თავისი ამოცანის ყველა სიძნელე და პოემის შექმნიდან



ალექსეი ტოლსტოი

შვიდნახევარი საუკუნის შემდეგ რუსთაველის ჩანაფიქრის ღირსეულ განმარტებლად და მისივე მომაჯადოებელი ნამდერის ამღრორძინებლად იქცა. შალვა ნუცუბიძის თარგმანი არა მარტო მეცნიერული ნაშრომია, არამედ მისი პოეტური შემოქმედებაც არის...

ძნელი მისახვედრია, რა გზით შეძლო მთარგმნელმა ცალკეული უღერადობის შეთანხმოვნება მათი და მთელი სიტყვების ომონიმების შეხამება. ნუცუბიძის თარგმანმა დამარწმუნა რუსული ლექსის ვეებერთელა ტევადობაში. მან ნამდვილად დაამტკიცა, რომ დატვირთული რუსთაველური ლექსი სავსებით ლაგდება რუსული ლექსის ბნეარში. რუსთაველის სტროფების მოზაიკური აღნაგობა და რიტმული ქარგა გამოყენებული აქვს მთარგმნელს შეუდარებელი სილამაზით. რუსთაველის აფორიზმები უღერს ისე, რომ გახსომდებათ სამუდამოდ...

თარგმანმა დამარწმუნა, რომ ასე შეეძლო ემდერა მხოლოდ დიდი რენესანსის განთიადის დიდებულ ოსტატს.

ქართული რენესანსი, ცხადია, აღმოსავლეთის რენესანსის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ საქართველო აქ ცენტრალურ ნაწილს შეადგენს. იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივი სიბრძლე სუფევდა, აღმოსავლეთმა კულტურის სინათლე აანთო და ანტიკური კულტურის მემკვიდრეობის ნიადაგზე ბევრი რამ თავისი მოგვცა, გადამუშავა, აითვისა ეს მემკვიდრეობა და პირველი შესაძლებლობის უმაღლ თავისი ცხოვრება რენესანსის სხივით გაანათა. აღმოსავლეთმა მიუთითა დასავლეთის ქვეყნებს გზა რენესანსის მიმართულებით...

რუსთაველის შემოქმედებითი აღორძინება, შალვა ნუცუბიძის მიერ შესრულებული, აღმოსავლეთის რენესანსის შესწავლის ახალ ეპოქას ხსნის, საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმეს. ამას გვავალებს ჩვენი წარსული, აწმყო კი მოითხოვს“.

\* \* \*

„გოსლიტიზდატმა“ აღნიშნული თარგმანის პირველი და მეორე გამოცემა მასიური ტირაჟით გამოსცა, რომელიც მაღლე გაიყიდა. ჰონორარიც ძალიან სოლიდური იყო, მაგრამ იგი მთარგმნელს არ მიუღია. შალვა ნუცუბიძეს დააწერინეს განცხადება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელმა პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ ჰონორარი მთლიანად შეიტანა თავდაცვის ფონდში. აღნიშნული გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდის“ მონინავეში, რამაც სტიმული მისცა კულტურის სხვა მუშაკებს — თავიანთი ჰონორარი შეეტანათ თავდაცვის ფონდში და გაეძლიერებინათ ქვეყნის თავდაცვა.

\* \* \*

1940-1941 წლებში შალვა ნუცუბიძე მოსკოვში მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა. შალვა ნუცუბიძესა და მის ოჯახის წევრებს შორის ამ პერიოდის არაერთი პირადი მიმოწერაა შემორჩენილი შალვა ნუცუბიძეზე მოგონებათა წიგნში, თუმცა ამ წერილებიდან გამოვყოფთ მეცნიერის მიერ დაწერილ ლექსს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მერე მაღლევა შექმნილი შალვა ნუცუბიძის მიერ.

### მაინც არ ვსტირი

საუკუნეთა მოისმის ზარი,  
სიცოცხლე მინას უბრუნებს ვალსა,  
და მყოფადობა შუაგანაბზარი  
ბნელ ბედისწერის მიჰყვება კვალსა.  
სისხლმა საბრუნვად უარჲყო ძარღვი,  
ხეთქილ ნაკადად ველებს ედება...  
ქაოსის ძალა — სიკვდილის მარღვი  
ფასდება როგორც შემოქმედება.  
ყოფნა ოცნებობს სიბოროტეზე,  
ვნების ფერხულში გალღვა სოფელი  
და ჩონჩხის ძვლებით შეკრულ ნოტებზე  
ისმის სიკვდილის საგალობელი.

შორით ანათებს ჩაგრულთ ნუგეში,  
მაგრამ სადღა მისი მიგნება...  
უსაჭო ხომალდს სისხლის გუბეში  
ვერ მართავს აზრი და ვერც შეგნება.  
სიკვდილის შიშმაც ვერ შეაშფოთა  
სული შაირში გამობრძმედილი,  
რადგან თვალნათლივ იხილა შოთა  
და მისი ლექსი ოქროჭედილი.

მოსკოვი. 12.VIII.1941 წ.

\* \* \*

შალვა ნუცუბიძის თარგმანს, გარდა თავისთავადი ლი-  
რებულებისა, კიდევ ერთი უპირატესობა გააჩნია, ის იქცა  
დედნად მრავალი სხვაენოვანი თარგმანისათვის. მთარგმ-  
ნელები, რომლებმაც პოემა ნუცუბიძის რუსული თარგმანის  
გაცნობის შედეგად თარგმნეს, არიან: რუმინელი პოეტი ვიქ-  
ტორ კერნბახი, რომელიც 1957 წელს თბილისში ყოფნისას  
შეხვდა ნუცუბიძეს და მადლობის გამომხატველი გულითადი  
წარწერით აჩუქა თავისი თარგმანი; ასევე პოლონელი პოეტი  
და მთარგმნელი იგორ სიკირიც, ნუცუბიძისადმი მირთმეული  
წიგნის წარწერაში, დიდ მადლობას მოახსენებს შალვა ნუ-  
ცუბიძეს, რომლის თარგმანმა სურვილი აღუძრა — გასცნო-  
ბოდა საქართველოს და პოლონურად ეთარგმნა რუსთველის  
ქმნილება (1967 წ.).

1963 წელს ნუცუბიძეს ბინაზე ენვია რუსთაველის პოემის  
იაპონურ ენაზე მთარგმნელი იპეტ ფუკურო მეუღლესთან ერ-  
თად. თავისი თარგმანი ფუკურომაც დიდი მადლობითა და  
ღრმა პატივისცემით განმსჭვალული წარწერით აჩუქა ნუცუ-  
ბიძეს.

სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებულმა სერგი წულა-  
ძემ შალვა ნუცუბიძის კონსულტაციით თარგმნა ფრანგულად  
„ვეფხისტყაოსანი“. დღეს ეს ტექსტი ფრანგულენოვან თარგ-  
მანებს შორის საუკეთესოდ არის მიჩნეული. შალვა ნუცუ-  
ბიძის ხელი ატყვია, ასევე, მარია პრიტვიცის მიერ გერმანულ

ენაზე შესრულებულ თარგმანს და, აგრეთვე, ავსტრიელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის თარგმანს გერმანულ ენაზე. ჰუპერტი 1979 წელს გამოცემულ მოგონებათა წიგნში იხსენებს მისთვის დაუკინყარ შეხვედრებს შალვა ნუცუბიძესთან. აღსანიშნავია, რომ ჰუპერტისა და წულაძის თარგმანებმა ავსტრიასა და საფრანგეთში უმაღლესი ლიტერატურული პრემიები დაიმსახურეს.

\* \* \*

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის გარდა, შალვა ნუცუბიძემ რუსულად თარგმნა, ასევე, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“. მან ლექსად აღადგინა, გამოიკვლია და თარგმნა „ამირანიანიც“.

## „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“

„დასავლეთის ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს და ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დავძლევთ დასავლეთის აზროვნებას. უნდა დამტკიცდეს, რომ საამისო არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტიური საბუთებიც არსებობს!“  
**შ. ნუცუბიძე**

შალვა ნუცუბიძეს მიაჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მონინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტური გამოსახვა და ქართული რენესანსის მწვერვალია. ნუცუბიძის დასაბუთებით, ამ პოემის ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა — სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება — პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული.

1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, შალვა ნუცუბიძე რუსეთიდან ახალი დაბრუნებული იყო, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში თავმოყრილი ქართველი ინტელიგენციის წინაშე მან სიტყვა წარმოსთქვა აღმოსავლურ რენესანსზე.



### შოთა რუსთაველი

„დასავლეთის ბურუუაზი-ულ მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება, რომ ევროპა ცენტრია მსოფლიო კულტურისა და რენესანსისა, როგორც კულტურის ერთერთი საკვანძო მომენტისა. ამ ვითარების ნათელსაყოფად საჭიროა რენესანსის ჩასახვისა და განვითარების გარკვევა, საჭიროა გაირკვეს ურთიერთობა ანტიკურობა-სა და რენესანსის შორის.

ქართული რენესანსი, ის-ევე, როგორც ანტიკურობას ზიარებული ყველა სხვა ქვეყ-

ნის რენესანსი, საკუთარი ანტიკურობის აღდგენა იყო. პროცე-სი რენესანსისა იწყება აღმოსავლეთიდან და მიღის დასავლე-თისაკენ, ძველ საბერძნეთზე რომ არაფერი ვთქვათ: ბალდადი — კონსტანტინოპოლი — გელათი — ფლორენცია — ასეთია აკადემიების განვითარების გზა.

ევროპის კულტურის წყაროები ევროპაში კი არ უნდა დაი-ძებნოს, არამედ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის გავლენით დასავლეთზე და არა პირიქით.

ვისაც ჰერინა, რომ რუსთაველის დიდების ზარი მხოლოდ ქართული სამრეკლოდან ირეკება, ის ისტორიულ ობიექტურობასა და ქართულ საქმესაც ერთნაირად დალატობს. უნდა გათ-ავდეს რუსთაველის კვლევის მხოლოდ ქართული კულტურის ფარგლებით შემოსაზღვრა, რადგან არსებითად რუსთაველი, როგორც ძველი ქართული კულტურის უმაღლესი გამოხატულება, საკაცობრიო კულტურის სფეროში გადადის...

ორი ქვეყნის მიჯნაზე მდგომარეობა პოეტმა, მოაზროვნემ, აღ-მოსავლეთის მხრებზე შემდგარმა, ევროპას გადასძახა: „შეიქმს სიყვარულსა... თუ პლატონმა სიბრძნის საწყისად „თავმაზია“ — გაკვირვება — გამოაცხადა, რუსთაველმა

სიბრძნის საწყისად შიში ალიარა იმის გამო, რომ ღმერთან მისასვლელად ფეხი მიწაზე უნდა გებჯინოს. პლატონმა მოწყვიტა მიწას ფეხი და ფილოსოფიურ ეროსს — სიყვარულს — ადვილად აჰყვა იდეათა სამეფოში. რუსთაველმა მაღლა ასაფრენად მიწაზე მოიმაგრა ფეხი. პლატონი და რუსთაველი პოეტები არიან, პირველში სიბრძნემ მოჰკლა შაირობა, მეორესთვის კი „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“.

რუსთაველმა დაასწრო დანტეს. დანტე ეკუთვნის დასავლეთს, მაგრამ განსაზღვრულია აღმოსავლეთით. რუსთაველი კი აღმოსავლეთისაა და დასავლეთის მიჯნაზე დგას, საიდანაც ორივე ქვეყნის გზებს ხედავს. დასავლეთის რაციონალიზმით გაბზარული ქვეყანა მან პოეტური სინათლის სხივებზე შეკრა.

აღმოსავლეთით და დასავლეთით, განვის ნაპირებიდან, ვიდრე ე.წ. „დიდ საბერძნეთამდე“ — პითაგორელთა სამყოფელამდე — გაშლილი იყო დიდი შარა-გზა მსოფლმხედველობათა მიმოქცევისა. ამ შარა-გზაზე საქართველოს თავისი ადგილი ჰქონდა. წინა აზის სანაპიროზე — ირანის ნაპირებზე შეხვედრა და მის შემდეგ დასავლური ფილოსოფიის ჩასახვა, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა და ალექსანდრია, როგორც აულტურათა შეჯვარების ცენტრი, ქრისტიანობა, როგორც აღმოსავლეთის განმეორებითი შეჭრა დასავლეთის კულტურაში. ყველაფერი ერთია და ერთი ყველაფერია — ამ ლოზუნგით შედის აღმოსავლური აზროვნება ერთხელ კიდევ დასავლეთში და იწყება ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის გამთელების ეპოქა.

რუსთაველი მთლიანი ქვეყნის პოეტია. ადამიანს მის პოეზიაში გარკვეული ადგილი უჭირავს, მაგრამ იმდენად გარკვეული, რომ ყოველი ხვეული ამ ადგილისა იმთავითვე გათვალისწინებულია. გაბოროტებას შეუძლია ააცდინოს ადამიანი წინასწარ გაზომილ და განრიგებულ გზას, მაგრამ სიბრძემ ის კვლავ თავის ადგილზე უნდა დააბრუნოს...

ქვეყნის სიბრძნე — იმავე დროს ღმერთის სიბრძნე — ჭირით გაიგების და საბოლოო ჭეშმარიტება იქმნება გარდახდილ ჭირთა წიადაგზე.



მოთმენა და დათმენა ფილოსოფიის ნიადაგზე, მოცემული ბოეციუსის ცნობილ „ფილოსოფიის დამშვიდებასა“ და „განწმენდისათვის გონებისა“ სპინოზასი, როგორც ახალი ევროპის კულტურის გამოხატულება — განმეორებაა რუსთაველის „ჭირთა თმენის“ ფილოსოფიისა. ზოროასტრიზმისა და ბუდიზმის მსოფლებებამ, „ჭირთა თმენის“ პრობლემა განდგომისა და მოთმინების ფილოსოფიაში — ნირვანაში გაშალა და შემდგომ მანიქეურ ასკეტიზმში გაიტანა. საშუალო საუკუნეების ევროპამ კი ასკეტიზმი მოგვიანო სტოიციზმის — „თავშეკავების“ ფილოსოფიაში გავლებული მიიღო.

რუსთაველმა ქვეყნის აზრის ძებნა იმავე ქვეყნის მიღებაში, მის სიამესა და მგრძნობელობაში აღიარა.

„ბრძენი ხარ და გამორჩევა  
არა იცი ბრძენთა თქმულებ,  
მინდორს სტირ და მხეცითა ახლავ,  
რა წადილსა აისრულებ?“

ეს გამოწვევაა მთელი ქვეყნის განდგომილებისა და ასკეტიზმისა — როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით.

მრავალ ფერთა შორის მოყოლილი ადამიანი ეძებს თავის ფერს, ანუ შესაფერს, რადგან ემორჩილება ფერთა მიმზიდველ ძალას, მიჯნურობას – სიყვარულს. მაგრამ სამყარო ისე არაა მოწყობილი, რომ სიყვარულმა ერთბაშად შეაერთოს შესაფერი და ამით საქმე გათავდეს. სიძნელე იმაშია, რომ ბეჭინიერებისა და სიამისაკენ პირდაპირი გზა არ არის იმისათვის, ვინც ერთხელ დაერთო „სოფლის შრომას“. სიყვარული ორმხრივია: მას ფათერაკიც თან ახლავს და „აღმამაღლებელი“ ძალაც აქვს, ამიტომაც უნდა მოხდეს ფათერაკის დაძლევა და ამით მოეწყობა ამაღლებაც.

აღმოსავლური რენესანსი საუკუნეებით უსწრებს დასავლეთისას. დასავლეთის კულტურის ძირები აღმოსავლეთშია, საშუალო საუკუნეების აზროვნების საყრდენის, არეოპაგიტული კორპუსის ავტორი პეტრე იბერია!

რენესანსის აღმოსავლურ ფესვებს თან ამოჰყვა 15-საუკუნოვანი საიდუმლოების გაცხადება!

და როგორც ერთ დროს უნდა დამსხვრეულიყო გეოცენტრისტული სისტემა, ახლა იმსხვრეოდა სისტემა ევროპენტრიზმისა“ (შალვა ნუცუბიძის სიტყვა წიგნიდან — შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან).

\* \* \*

შალვა ნუცუბიძე წლების განმავლობაში ინტენსიურად იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ „აღმოსავლური რენესანსის“ საკითხებს. მისი მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე ქართველობის ეს დარგი დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა.

აღმოსავლური რენესანსის შესახებ თეორია, რომელიც დღეს ფართოდ აღიარებულია, შალვა ნუცუბიძემ შემდგომში ჩამოაყალიბა წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947 წ.). ამ თეორიის მიხედვით, XII საუკუნის საქართველოში თავი იჩინა აღორძინებამ, ანუ რენესანსმა. შალვა ნუცუბიძემ პირველმა ცხადყო, რომ რენესანსული იდეები დასავლეთ ევროპაში აღმოსავლეთიდან შეიჭრა.

შუა საუკუნეების, კერძოდ, XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსისა თუ რენესანსული ელემენტების არსებობაზე აღნიშნავდნენ ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდია... ამავე ეპოქის საქართველოში ჰუმანიზმის არსებობაზე დადგებითი აზრი ჰქონდა ნიკო მარს, მაგრამ მათთან მოცემული არ იყო რენესანსის, კერძოდ, ქართული რენესანსის ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, კონცეფცია, რაც უშუალოდ შალვა ნუცუბიძის დამსახურებაა.

შალვა ნუცუბიძემდე, მათ შორის, ვინც XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსის ელემენტების არსებობას აღიარებდა, განსაკუთრებული ადგილი უკავია ივანე ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.) თვალსაზრისის. ივანე ჯავახიშვილი ზოგადად ეხება XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის აყვავებას (გელათის ტაძარი, ვარძია, ხახული და სხვ.). მთავარი კი მაინც ის არის, რომ მან მიანიშნა რენესანსის ნიშნების არსებობაზე XI-XII საუკუნეების საქართველოში და იგი დაუკავშირა კულტურის საერთო აყვავებას, ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფო ორგანიზაციების აღმავლობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილი საქართველოში ჩამოყალიბებული რენესანსის არსებობაზე არ ლაპარაკობს. ზემოთ დასახელებულ ავტორებთან ძირითადად იყო მინიშნებები საქართველოში რენესანსის თუ რენესანსის ელემენტების არსებობაზე. ივანე ჯავახიშვილთან კი შედარებით არგუმენტირებული თვალსაზრისი იყო წამოყენებული საქართველოში რენესანსის ელემენტების არსებობაზე, რომლის დასრულებას ხელი შეუშალა გარეშე მტრების მრავალრიცხვოვანმა შემოსევებმა. დასახელებული ავტორებისგან განსხვავებით, შალვა ნუცუბიძემ ჩამოყალიბა აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომლის პირთვსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული რენესანსის თეორია წარმოადგენდა.

შალვა ნუცუბიძემ 1947 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წაშრომში — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ — გამოკვეთა ქართული რენესანსის არსებითი მომენტები, დაადგინა მისი ძირითადი მსოფლიმედველობრივი

მიმართულებები (ნეოპლატონიზმი), აჩვენა XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის კავშირი ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკასთან. ყოველივე ამის საფუძველზე კი გააკეთა დასკვნა, რომლის თანახმადაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული ძეგლია და საქართველოში რენესანსი უფრო ადრე იყო, ვიდრე ევროპაში. შალვა ნუცუბიძის ამ მრავალმხრივ საყურადღებო თვალსაზრისს ჰყავს როგორც მომხრები, ისე მოწინააღმდეგები.

მისმა ნაშრომმა — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ — დიდი რეზონანსი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში, მაგრამ ავკაცებს ეს არ მოეწონათ და საჯარო განქიქება მოუწყვეს. წიგნის რედაქტორს, აკადემიკოს კორნელი კეკელიძესაც კი ათქმევინეს აუგი.

1949 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტში გაიმართა ამ წიგნის გამაურებული განხილვა, რამაც დიდალი ხალხი მიიზიდა. უმრავლესობა დაუნდობლად ამხელდა „მარქსიზმის ვულგარიზატორს“, „შუასაუკუნეობრივი მისტიკის“ აპოლოგეტს, მარქსიზმით შენიღბულ „ალეთოლოგიური რეალიზმის“ ავტორს. თანადგომის გამომუდავნება ვერავინ გაბეჭდა, მხარი არავინ დაუჭირა და შალვა ნუცუბიძე მარტო აღმოჩნდა, თუმცა მან თავისი პოზიცია არ დათმო.

როდესაც სხდომაზე საბოლოო სიტყვაში შალვა ნუცუბიძემ თამამად დაიწყო გამოკვლევის უმთავრესი დასკვნების დამტკიცება და თქვა: — მავანნი რომ ამ საკითხებს მესამე და მეოთხე თარგმანებით იცნობენ, მე ყველაფერი პირველწყაროებით ვიცი და იქ ცოტა სხვაგვარად წერიაო (პეტრე შარიას გულისხმობდა, რომელიც იმ დროს საქართველოს ცეკას მდივანი იყო იდეოლოგიის დარგში და იმ სხდომის თავმჯდომარეც). შარიას, ცხადია, არ მოეწონა დიდი მეცნიერის მსჯელობა და შეაწყვეტინა: — თქვენი რეგლამენტი ამოწურულიაო. — ორიოდ წუთი დამაცადეთო, — ითხოვა ბატონმა შალვამ. — არავითარ შემთხვევაში, — იჭექა შარიამ. ნუცუბიძეს რაღა დარჩენოდა, უნდა დამორჩილებოდა მთავრობას, მაგრამ ამ საზარელ ფარსს იგი ისევ მოსხრებული სიტყვით გაუსწორდა, — მე შევწყვიტე, მაგრამ არ დამიმთავრებიაო...

1949 წელს, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით, შალვა ნუცუბიძე გაათავისუფლეს ფილოსოფიის ინსტიტუტიდან იმის გამო, რომ ვერ შეძლო „იდეალისტური თვალსაზრისის დაძლევა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე გადასვლა“. ინსტიტუტიდან გაძევებულმა სხვა გზა აირჩია და 1950 წლიდან ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ქართული ფილოსოფიის ისტორიის შექმნაზე.

## ფრაგმენტები საჯარო გასამართლებიდან

ეროვნული და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, პროფესორი, შალვა ნუცუბიძის შვილი თამაზ ნუცუბიძე, ნუცუბიძის სახლ-მუზეუმში დაცულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მეცნიერის წინააღმდეგ მის ნაშრომთან („რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“) დაკავშირებით წამოწყებულ კამპანიაზე წერს:

„1947 წელს აკადემიკოს, ბატონ კორნელი კეკელიძის რედაქტორობით, რომელიც მეცნიერებაში მოსვლამდე სასულიერო პირი, დეკანოზი გახლდათ, გამოიცა შალვა ნუცუბიძის ნაშრომი „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, რომელმაც სამეცნიერო წრეში და საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება ჰქონდა.“

იმავე წელს მაშინდელი „იმელის“, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში დაინიშნა ნაშრომის საჯარო განხილვა, უკეთ რომ ვთქვათ, „გასამართლება“. სხდომები გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში, განხილვამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სხდომებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. გაძნელებული იყო მოსაწვევის შოვნა. შალვა ნუცუბიძემ თავის მეუღლეს, ქეთევანს, მოსაწვევი არ მისცა: — შენ იქ ტაშს დამიკრავ, ისინი კი ტაშის დამკვრელებს იმახსოვრებენ.

შენობის გაშემო წესრიგს ცხენოსანი მილიცია იცავდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა უშიშროების გენერალი, აკადემიკოსი, იდეოლოგიის დარგში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პეტრე შარია.

მთავარ მომხსენებლად გამოყოფილი იყო რესპუბლიკის ყოფილი პროკურორი ვალიკო ტალახაძე. სხდომათა დარბაზში პირველ რიგში ისხდნენ ხელმძღვანელობის მაამებლები და ტაშის დამკვრელები. ვალიკო ტალახაძემ მოხსენების დაწყებისთანავე შალვა ნუცუბიძის ნაშრომი „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ შოვინისტურ წიგნად გამოაცხადა და მრისხანედ იკითხა: „სად იყო ამ წიგნის ბეჭდვისას რედაქტორი?“ რედაქტორი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე მოწინებით წამოდგა და განაცხადა: „წიგნს წაუკითხავად დადებითი შეფასება მივეცი, ვენდე შალვა ნუცუბიძეს, მან კი შეცდომაში შემიყვანაო“.

შალვა ნუცუბიძემ არ დააყოვნა: „შენ, ჩემო კორნელი, ღმერთს უღალატე და რა გასაკვირია, რომ მეც მიღალატებდიო“. დარბაზი გამოცოცხლდა, იგრძნობოდა, რომ დამსწრება საზოგადოების უმრავლესობა აღმოსავლეთის რენესანსის იდეას მხარს უჭერდა. ერთ-ერთ ოპონენტს გამოსვლისას ნერვიულობისაგან, წყლის დალევისას წყალი დაწერილ მოხსენებაზე გადაესხა და ძალზე შეწუხდა. ნუცუბიძემ კი ხმამაღლა წარმოთქვა: „არა უშავს, წყალი წყალს გადაესხა — განაგრძეთ!“.

დარბაზი კვლავ გამოცოცხლდა. შალვა ნუცუბიძემ თავისი შესავალი სიტყვა ასე დაიწყო: „ეს წიგნი თავიდან ბოლომდე იდეოლოგიური ბრძოლაა დასავლეთ რენესანსისა პიროვნების წინააღმდეგ, მე პრინციპულად არ მინდოდა დავდგომოდი ციტირების გზას, არც ერთი ციტატა მარქსისა არ მომყავს, მე გამოვდივარ ერთი ძირითადი დებულებით, რომ მარქსს ყველაფერი არ უთქვამს მეცნიერებაში“.

„ფაქტებია საჭირო“, — ვიღაცამ ადგილიდან დაუძახა შალვა ნუცუბიძეს. შალვამ იმ წამს დაუყოვნებლივ უპასუხა: „ფაქტები რომ იყოს, მაშინ შენც ილაპარაკებდი ამ საკითხზე, აქ მიხვედრაა საჭირო და ამიტომ ვლაპარაკობ“, — მიახალა ნუცუბიძემ. აქ თავმჯდომარის დამქაშებმა ერთმანეთს გაბრწყინებული თვალებით გადახედეს, თავს უქნევდნენ ერთმანეთს.

თავმჯდომარემ განაცხადა: „დისკუსია რად უნდა ამას, თავად აღიარებს ყველაფერსო“.

მოხსენების ბოლოს შალვამ დასძინა: „ამდენი ენერგია რომ დაიხარჯა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად, ამის მეათედი რომ დახარჯულიყო აზროვნების განვითარებაზე, ფილოსოფიის ინსტიტუტი ბევრს მოიგებდაო“. შალვა ნუცუბიძემ კვლავ დაიცვა აღმოსავლური რენესანსის იდეა და განაცხადა, რომ აღმოსავლური რენესანსის იდეებთან რუსთაველი დგას. აქ თავმჯდომარემ შეაწყვეტინა: „თქვენი რეგლამენტი ამოინურაო“.

„მე შემაწყვეტინეთ, მაგრამ სიტყვა არ დამიმთავრებია“, — თქვა ნუცუბიძემ და კათედრიდან ჩამოვიდა.

თავმჯდომარემ შემაჯამებელ სიტყვაში განაცხადა: „ამხანაგებმა იციან ჩემი დაკავებულობა თანამდებობის გამო და საკითხის მოსამზადებლად ვერ მოვიცალე, როგორც გაირკვა, არ ღირდაო“.

შალვა ნუცუბიძემ დინჯად მიუგო: „ჩვენ ვერ გავუგებთ ერთმანეთს. მე თავით ვაზროვნებ, თქვენ კი სკამით“. სხდომის დამთავრების მეორე დღეს პეტრე შარია გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, მოგვიანებით კი დააპატიმრეს და გადაასახლეს. ცენტრალური კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში დაინიშნა ვინმე შადური. შალვას ამ ფაქტის გამო არ გამოუხატავს აღფრთოვანება, მაგრამ განაცხადა: „მოისპონ შარიანობა საქართველოში, დაიწყო ნიშადურობაო“.

### **„ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ და ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია**

შალვა ნუცუბიძემ, კვლევის საფუძველზე, 1942 წელს, პირველმა წამოაყენა თეორია ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის შესახებ.

შალვა ნუცუბიძის დებულების თანახმად, რენესანსის საფუძველია შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი წიგნები — ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებები, რომლის

ავტორადაც, კვლევების საფუძველზე, შალვა ნუცუბიძე ქართველ სასულიერო მოღვაწეს, მაიუმის ეპისკოპოსს — პეტრე იბერს მოიაზრებს. ეს თეორია მან ვრცლად ჩამოაყალიბა გამოკვლევაში — „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ (1942 წ.).

შალვა ნუცუბიძე, არეოპაგიტიკის საკითხების კვლევისას, მისივე აღნიშვნით, ნიკო მარის მარჯვედ გამოყენებულ ტერმინს — „ქართული ნეოპლატონიზმი“ მხოლოდ იოანე პეტრინის მსოფლმხედველობით არ შემოსაზღვრავს. იგი „ქართული ნეოპლატონიზმის“ ცნებას V საუკუნემდე განავრცობს და მასში მოიაზრებს არეოპაგიტულ მოძღვრებასაც: „საჭიროა ქართული ნეოპლატონიზმის ძირები ვეძიოთ არა XII საუკუნის დასაწყისში, არამედ V საუკუნეში, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პროკლეს თხზულების — „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ არეოპაგიტული ინტერპრეტაციის, ე.ნ. არეოპაგიტული წიგნების ერთადერთი შესაძლო ავტორი“.

არეოპაგიტიკა ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულებათა კორპუსია, რომელიც შედგება 4 ტრაქტატისა და 10 ეპისტოლესგან. არეოპაგიტიკა პროკლეს ფილოსოფიის ქრისტიან-



პეტრე იბერი



დიონისე არეოპაგელი

ული გადამუშავებაა. ამავე ფორმით ნეოპლატონიზმს გზა გაეხსნა შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში და დიდი გავლენაც იქონია ქრისტიანულ აზროვნებაზე.

არეოპაგიტიკა დაიწერა V საუკუნის II ნახევარში, ცნობილი გახდა VI საუკუნის დასაწყისში, მაგრამ უცნობმა ავტორმა ეს თხზულებები I საუკუნის მოღვაწეს — დიონისე არეოპაგელს — მიაწერა. დიონისე არეოპაგელი I საუკუნის მოღვაწე და ათენის არეოპაგის (ხელისუფლების ორგანო ძველ ათენში) წევრი იყო და ქრისტიანობის მიღების შემდეგ ათენის ეპისკოპოსი გამხდარა. მან სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც V საუკუნის II ნახევარში არეოპაგიტული კორპუსის ავტორობა მიაწერეს.

ნამდვილი ავტორის ვინაობის დასადგენად მეცნიერებმა მრავალი ჰიპოთეზა წარმოადგინეს. შალვა ნუცუბიძის თეორიის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არეოპაგიტული კორპუსი ეკუთვნის ქართველ მოაზროვნე — პეტრე იბერს.

პეტრე იბერი (411-491 წ.წ.) ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელია. პეტრე იბერი, მეტსახელად მურვანოსი, დაიბადა 411 წელს დღევანდელ საქართველოში. იგი სამეფო ოჯახის უფლისწული იყო, ბაკურ დიდის შვილიშვილი — სიყრმიდანვე ღვთისმორჩილი. მამამისმა აღმზრდელად დაუყენა თავიანთი ტომის ბრძენი კაცი — მითრიდატე ლაზი, რომელმაც შეასწავლა ყველაფერი, რაც მან იცოდა... იბერის სამეფოს მეფე, 423 წელს, იძულებული გახდა, რომ თავისი შვილი მურვანოსი გაეგზავნა ტყვედ კონსტანტინოპოლში და თან გააყოლა მისივე აღმზრდელი მითრიდატე. აქ მან მიიღო კეისრისა და, კერძოდ, კეისრის მეუღლის თაოსნობით კარგი განათლება. დედოფალი მას შვილივითაც უყურებდა, ისე უყვარდა, რადგან იგი სიჭაბუკიდანვე ყოფილა კარგი აღნაგობისა და ჭკუით მდიდარი ადამიანი. იგი აცვიფრებდა კეისარსა და დედოფალს თავისი ნიჭიერებით. მურვანოსმა საუკეთესოდ შეისწავლა ბერძნულ ენაზე ფილოსოფია და ზოგჯერ ბერძნებზე კარგადაც მეტყველებდა მათსავე ენაზე. მას სურდა, თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეეტანა საეკლესიო

ცხოვრებაში. იგი არ ეძებდა განდიდებას, მას ბერობა სურდა. მოგვიანებით მურვანოსი, რამდენიმე ქართველთან ერთად, გაიპარა პალესტინაში. იერუსალიმში მურვანი აღიკვეცა ბერად, ეზოდა პეტრე, 445 წელს აკურთხეს მღვდლად. მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს სირიულ-ქართული „ცხოვრებიდან“ მრავალი მონასტრის შენება მიენერება, მის მიერ აშენებული ყველა მონასტრის მოძიება და იდენტიფიკაცია, ჯერჯერობით, დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმში, სიონის ეკლესიასთან, დავითის კოშკის სიახლოვეს, პეტრეს აუშენებია მონასტერი „იბერთა მონასტრის“ სახელწოდებით. 1652 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომიუდას უდაბნოში, ბირ-ელ-კათის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები, რომლის იატაკი შემკული აღმოჩნდა ქართული ასომთავრულით შესრულებული მოზაიკური წარწერებით. წარწერაში მოხსენიებული პირები იდენტიფიცირებული არიან პეტრე იბერთან (მურვანოსი), მის მამასთან (ბურზენი) და პაპასთან (ბაკური).

\* \* \*

არეოპაგიტული კორპუსის ავტორი რომ პეტრე იბერია, ამ დასკვნამდე, შალვა ნუცუბიძისგან დამოუკიდებლად, 1952 წელს მივიდა ბელგიელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანი, რომელიც თავის ნაშრომში აღნიშნავს: „მე და ნუცუბიძე სხვადასხვა გზით მივედით ერთსა და იმავე დასკვნამდე“. ეს აღმოჩენა მეცნიერებაში შევიდა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის სახელით.

შალვა ნუცუბიძემდე ჰონიგმანის წიგნშა 1953 წელს მიაღწიადა დიდი სიხარული მოჰვარა. შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილ მოგონებათა წიგნში ამ ფაქტის აღმნიშვნელი ეპიზოდი ასეა გადმოცემული: „ერთ დილას „ბიზანტინიშე ცაიტუნგი“ მოუტანეს შალვას. მან უურნალი გადაათვალიერა და უცემა გახარებულმა წამოიძახა: — არის ერთი კაცი, რომელსაც

ჩემსავით სჯერა! ახლაც იტყვიან, პატრიოტული გრძნობა ალაპარაკებსო? — და თვალები აუცრემლდა. ბელგიის სამეცნიერო აკადემია იუწყებოდა მისი წევრის, აკადემიკოს ერნესტ ჰონიგმანის გამოკვლევის შესახებ — „პეტრე იბერი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომები“, რითაც დასტურდებოდა, რომ არეოპაგიტული კორპუსის ნამდვილი ავტორია პეტრე იბერი. ეს იყო 1953 წელს, წიგნი კი 1952 წელს გამოსულიყო. შალვა ნუცუბიძემ სასწრაფოდ დაძებნა ჰონიგმანის მიერ ფრანგულ ენაზე დაწერილი ეს შრომა, რამდენიმე დღეში თარგმნა რუსულად, ვრცელი წინასიტყვაობა წაუმდლვარა. ის სულაც არ ფიქრობდა, რომ მისი გამოქვეყნებისას რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდა — ეს ხომ საბჭოთა მეცნიერების აღიარებასაც ნიშნავდა! მაგრამ დაბრკოლება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ შალვას უკან დახევა მოუხდა. ჯერი უნივერსიტეტზე მიდგა. უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, როგორც ყოველთვის, თავის სიმაღლეზე იდგა და პასუხისმგებლობა უყოყმანოდ თავს იდო. ამ მხარდაჭერამ შალვა ნუცუბიძის ცხოვრება ახალ ეტაპზე შეაყენა. ვიქტორ კუპრაძის დახმარებით საზოგადოებას საშუალება მიეცა გაცნობოდა ამ დიდ აღმოჩენას.

— ბედნიერი კაცი ხარ, შალვა, — ეუბნებოდა ბატონი ვიქტორი, — იშვიათად ხდება, რომ მეცნიერი სიცოცხლეში მოესწროს თავისი აღმოჩენის დასტურს სხვის ქვეყანაში.

— ეს მართალია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულე სპეციალისტები იმდენად სანინააღმდეგოდ არიან განწყობილნი, რომ ჩემს დასამცირებლად ახლა ჰონიგმანს მოსდგებიან, — თქვა შალვამ.

— საკვირველია, რომ ჩვენი უდიდესი ძვრების ეპოქაში სხვა ვერაფერი ნახეს, ვიდრე მსჯელობა ბერზე, რომელიც მეხუთე საუკუნეში ცხოვრობდა, — ამბობდნენ ზოგიერთები.

გავრცელდა ხმა ჰონიგმანისათვის ნობელის პრემიის მინიჭების თაობაზე. მან კი უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ პრიორიტეტი ქართველ მეცნიერს ეკუთვნისო.

შალვა ჰონიგმანზე და მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა. ფიქრობდა უურნალის საშუალებით გამოხმაურებას, მაგრამ


მოვიდა მომდევნო უურნალი „ბიზანტინიშე ცაიტუნგისა“ და პირველ გვერდზევე დაინახა შავ არშიაშემოვლებული სურა- თი ჰონიგმანისა.

— ესეც ჩემი ბედი! ისიც აღარ არის! — თქვა შალვამ და ცრემლგამშრალი, დიდი ხანი დასცექეროდა ამ სურათს.

ამის შემდეგ შალვა ნუცუბიძემ მთელი ყურადღება საზ- ღვარგარეთის პრესაზე გადაიტანა. იქ შეიმჩნეოდა ის გან- ზრახი მოქმედება, რომელიც ხაზს უსვამდა ჰონიგმანის უპირატესობას. შესაძლოა, მართლაც, საზღვარგარეთ ნუ- ცუბიძის შესახებ საფუძვლიანად არც სცოდნოდათ. ჰონიგ- მანს ამის შესახებ სცოდნია ლეონ მელიქსეთბეგის მოკლე, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც იუწყებოდა, რომ ეს აღმოჩენა საქართველოში ათი წლით ადრე მოხდაო. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჰონიგმანი დამოუკიდებლად მისულიყო იმავე დასკვ- ნამდე. პრიორიტეტი შალვა ნუცუბიძეს მაინც არ ეთმობოდა და იძულებული შეიქნა გაეგზავნა მოხსენებითი ბარათი საკა- ვშირო აკადემიის პრეზიდენტის, ნესმეიანოვის სახელზე და მოეთხოვა საკითხის განხილვა აკადემიის გაერთიანებულ სხ- დომაზე, რისი მასალებიც უნდა დაბეჭდილიყო ცენტრალურ პრესაში.

მიუხედავად საკავშირო აკადემიის მზადყოფნისა, საქა- რთველოს აკადემიამ აცილება მისცა.

გავიდა ცოტა ხანი და ამოქმედდა კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო შტაბი. გამოცოცხლდა ძველი საეკლესიო ბრძო- ლის ტრადიციები. არეოპაგიტიკის საკითხები მეცნიერული სფეროდან საეკლესიო სფეროში გადავიდა. 1954 წელს, ამ მოძრაობის ლიდერმა პ. ენგბერდინგმა წერილით: „შეიძლება თუ არა პეტრე იბერის დიონისე არეოპაგელთან გაიგივება“ უურნალ „ქრისტიანუსში“ ტონი მისცა აღმოსავლეთ-დასავ- ლეთის ეკლესიათა შორის ძველი ბრძოლის განახლებას. მაგრამ საბოლოოდ საკითხი ისევ მეცნიერულ სფეროს დაუბრუნდა და ამ კონცეფციამაც შესაფერისი სახე მიიღო. იგი ცნობილი გახდა, როგორც „ნუცუბიძე-ჰონიგმანის კონ- ცეფცია“.



შალვა ნუცუბიძის კუთხე თსუ-ის ბიბლიოთეკაში

მთავარი და საერთო საბუთი ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიისა ემყარებოდა პეტრე იბერის მასწავლებლის — იოანე ლაზისა და ფსევდო-დიონისეს მასწავლებლის — იორეთეოზის იგივეობას. იგივეობას კი ამტკიცებდა ის გარემოება, რომ მოძღვრება მსოფლიოს იერარქიულ აღნაგობაზე, რომელიც მიენერებოდა იოანე ლაზის, გამეორებულია ფსევდო-დიონისეს თხზულებაში, თვით იოანე ლაზი კი ამ თხზულებაში მოხსენიებულია, როგორც „იეროთეოზი“.

ეს საერთო საბუთი მთავარია ჰონიგმანისათვის. ეს გასაღებია იეროთეოზის პრობლემისა და მასთან თვითონ ფსევდო-დიონისესი. ამ იდეურ დამთხვევას იოანესი და „იეროთეოზისას“, ჰონიგმანი სულ სხვა მხრიდან მიუდგა, კერძოდ, საეკლესიო-რელიგიურიდან და მისი დამატებითი საბუთებიც სავსებით მარტივი და ნათელია — „იეროთეოზი“ გარდაიცვალა 4 ოქტომბერს. ეს დღე კი პეტრე იბერმა, თანახმად წე-

სისა, სვინაქსარში შეიტანა, როგორც იოანე ლაზის, მის მიერ „იეროთეოზად“ წოდებულის მოსახესნიერელი დღე.

— ცხადია, — ამბობს შალვა ნუცუბიძე, — „იეროთეოზი“, როგორც არარსებული ადამიანი, ვერ მოკვდებოდა, მაშა-სადამე, 464 წლის ოქტომბერს გარდაიცვალა იოანე ლაზი, „იეროთეოზად“ წოდებული.

ნუცუბიძისათვის კი მთავარი პეტრესა და არეოპაგელის იდენტურობის საკითხში იყო ქართულ ენაზე დაწერილი წიგნი „თეოლოგის საფუძვლები“, რომელსაც შემდეგში „მიზეზთა წიგნი“ ეწოდა და რომელსაც პეტრე იბერი იხსენებს წიგნის „სალმრთოთა სახელთათვის“ დასაწყისში. პეტრე იბერის პირველი ნაშრომი – პროკლეს „ელემენტების“ ინტერპრე-ტირებული თარგმანი ამოხსნის პეტრე იბერისა და ფსევდო დიონისეს იგივეობას“ (ამონარიდი ქეთევან ნუცუბიძის წიგ-ნიდან — შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან).

\* \* \*

არეოპაგიტული კორპუსის ავტორის ვინაობის საკითხზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეცნიერები დღემდე კა-მათობენ და ბევრს ეჭვი შეაქვს ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეო-რიის მართებულობაში.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, მას შემდეგ, რაც ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიამ სტალინის მომხრეობა შეიძინა, ის უკვე პოლიტიკის საგნად იქცა. მაგრამ იყო სხვა მხარეც: საბჭოთა კავშირი ყველა კუთხით და ყველა სფერ-ოში მეტოქედ წარმოჩნდებოდა დასავლეთისა და კრემლი ამ ქიშპობაში ცდილობდა თავისი პრიორიტეტულობის დამტ-კიცებას. ამ კუთხით ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ერთ-ერთი კარგად გამოსაყენებელი მდგომარეობა გახლდათ, რომ ევროპულმა კვლევამ, რაც თითქმის ორ საუკუნეს ითვლიდა, ვერავითარი შედეგი ვერ მიიღო, ამ დროს კი გამოჩნდა საბ-ჭოთა მეცნიერი, რომელმაც მყისიერად, ორ-სამ წელიწადში, ასე ვთქვათ, ამოავსო ევროპული კვლევის ხარვეზი და მიიღო დასკვნა, რომელიც, თითქოსდა, უეჭველი იყო. აი, ეს მხარე

იყო ძირითადი ამ თეორიის გაბატონებისათვის, ზოგადად, საბჭოთა კავშირში. ხოლო რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს, შალვა ნუცუბიძის თეორიაში, მართლაც, წამყვანი პატრიოტული მხარე გახლდათ.

## ეკლესიისადმი დამოკიდებულება

შალვა ნუცუბიძეს თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა რელიგიისადმი. „ყოველი ადამიანი, — წერდა იგი, — რაგინდ პატარა იყოს, ცხოვრების ცენტრია და ამდენად ხიდია უკვდავებისაკენ, სადაც ადამიანთა შეხვედრას საზღვარი არ უძევს“.

შალვა ნუცუბიძეს გიმნაზიაში ნასწავლი მრავალი ლოცვა ზეპირად ახსოვდა და საღვთო სჯული ისე იცოდა, რომ თვით კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძეც განუცვითრებია. კათალიკოსს შალვა ნუცუბიძესთვის ბიბლია უჩუქებია ასეთი წარწერით: „ორთა ხუცესთა ნაშიერსა და სიბრძნისა მოყვარეს, ჯურლმულსა ამას სიბრძნისასა მიუძღვნის ხუცესთა უხუცესი. 25.05.1951“.

შალვა ნუცუბიძე მეგობრობდა პატრიარქ კალისტრატესთან. ერთხელ თურმე მას შალვა ნუცუბიძისთვის უთქვამს: — როგორ დაამშვენებდით სიონის ამბიონს თქვენი ქადაგებებითო. შალვა ნუცუბიძეს კი სინანულით უბასურია: — პატრიარქი თუ არა, ეპისკოპოსი მაინც უნდა ვყოფილიყავიო.

შალვა ნუცუბიძესთან არაერთგზის უსაუბრია თეოლოგიურ საკითხებზე, აგრეთვე, კათალიკოს ეფრემ მეორეს, რომელმაც „ახალი აღთქმა“ ასეთი წარწერით უბოძა: „ჩემს ძვირფას მასწავლებელს შალვა ნუცუბიძეს ულირსი შეგირდისაგან. ეფრემ მეორე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“.



შალვა წერებულიძე, აკაკი შანიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი



შალვა წერებულიძე, ნინო მუსხელიშვილი,  
გიორგი ახვლედიანი და ალექსანდრე ჯანელიძე



## მორიგი რეპრესიები შალვა ნუცუბიძის წინააღმდეგ

1953 წელს, სრულიად მოულოდნელად, კომუნისტური ხელისუფლება კიდევ ერთხელ დაესხა თავს მეცნიერს, ამ-ჯერად იგი ბერიას აგენტად გამოაცხადეს.

შსს-ს არქივში დაცულია დოკუმენტი, გრიფით „საიდუმლო“, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ რექტორ ბურჭულაძეს ევალება მოხსნას ნუცუბიძე, ყაუხჩიმვილი და ვუკოლ ბერიძე პროფესორის ხარისხიდან. ამასთანავე, მიმართავენ მუსხელიშვილს, რომელიც აკადემიის პრეზიდენტი იყო, ისინი აკადემიიდანაც გაათავისუფლოს.

1953 წელს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ შალვა ნუცუბიძეს ჩამოართვა აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება. იმავე წელს თბილისის უნივერსიტეტმა იგი გაათავისუფლა პროფესორის თანამდებობიდან და აღძრა შუამდგომლობა მისთვის სამეცნიერო ხარისხისა და წოდების ჩამორთმევის შესახებ. ასე რომ, შალვა ნუცუბიძე 1953-1960 წლებში გაძევებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა. ყველა საჯარო ღონისძიებას არიდებდნენ. ასე მაგალითად, 1966 წელს რუსთაველის იუბილეში არ მი-

აღებინეს მონაწილეობა, უცხოელ სტუმრებთან შეხვედრებს არ დაასწრეს და, რაც მთავარია, არც ერთ დარბაზში სიტყვა არ მისცეს. ამ იუბილეზე ჩამოსულ აკადემიკოს კონრადს კი განუცხადებია: — მე ჩამოვედი იმ ქვეყანაში, სადაც ნუცუბიძემ აღმოსავლური რენესანსის დროშა ააფრიალაო.

მხოლოდ 1960 წელს მიიღო შალვა ნუცუბიძემ საკავშირო პროექტურიდან სრული რეაბილიტაცია და აღდგენილ იქნა მისი მეცნიერული სტატუსი, თუმცა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა მისი დევნა და შევიწროება.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ 1968 წელს თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე მის ერთ-ერთ დამაარსებელს სიტყვა არ მისცეს, არადა ამის დიდი სურვილი ჰქონდა. ასე რჩებოდა მთელი თაობისათვის წლების განმავლობაში შალვა ნუცუბიძე მნიშვნელოვანი ლონისძიებებისა და დიდი აუდიტორიების მიღმა.

## უკანასკნელი სიტყვა უნივერსიტეტში

1968 წლის ოქტომბრის თვეში შალვა ნუცუბიძემ უნივერსიტეტში უკანასკნელი სიტყვა წარმოთქვა. იმ დღეს უნივერსიტეტში რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა იყო მისული. სხდომა მიმდინარეობდა 93-ე აუდიტორიაში. შალვა დარბაზში დაგვიანებით შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ სიტყვა ითხოვა. ნელა წამოდგა, ტრიბუნისაკენ არც გაიხედა, იქვე დადგა. აღარ ქუხდა. დინჯად ამბობდა — „ჩვენ გავაკეთეთ, რამდენიც შეგვეძლო“. შემდეგ მარჯვენა ხელი გულზე დაიდო და დაამთავრა: — „როგორც გულს, ისე გაბარებთ უნივერსიტეტს!“

## შფოთვით დასრულებული სიცოცხლე

შალვა ნუცუბიძის მეუღლემ ქეთევან ნუცუბიძემ მის მიერ დაწერილ წიგნში — „შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრე-

ბიდან)“ — დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების თაობაზე ასეთი მოგონება შემოგვინახა.

„1968 წლის ჩვეულებრივი დღე იდგა. შალვა ნუცუბიძე თავის სახერ მაგიდას უჯდა და მუშაობდა. ბავშვები შინ არ იყვნენ. ჩემთან გამოვიდა ოთახში, ორივე ხელი სახესთან მიეტანა. „იცი, მე უნდა მოვკვდე“, — მითხრა და თვალებით მანიშნა — არაფერი მეკითხა.

— ხო, მე უნდა მოვკვდე, ეს არაფერია, მაგრამ თქვენ რომ დაგტოვებთ, თქვენ რომ ველარ გნახავთ...

აღარ დაამთავრა სათქმელი. ცრემლი მოადგა.

მე ვერას ვამბობდი. ვიდექი უსიტყვოდ.

— დავიდალე, აღარ შემიძლია ბრძოლა, მომბეზრდა ყველაფერი, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ უჩემოდ, ჩემი ძვლების ფოსფორი თუ გაგინათებთ გზას, მაგრამ მეც რა გამიკეთებია? არაფერი, წუთი მიცხოვრია, მხოლოდ გამიერლებია!

ამ დღიდან იგი სიკვდილს ელოდა. მოსიყვარულე ღიმილით შემოგცექეროდა, უხარიდა ყოველი დღის გათენება, ჩვენ რომ ყველას ერთად გვხედავდა.

რაკი „საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის“ მოკლე კურსი დაწერა და ვრცელი შესავალიც დაურთო, ერის წინაშე ვალს მოხდილად თვლიდა.

უმეტესად სახლში ყოფნა უნდოდა, განსაკუთრებით ზამთარში.

შალვა ახალგაზრდობაში ჯოხს ატარებდა და ხანში რომ შევიდა, აღარ ინდომა, არავინ იფიქროს, რამეში მეხმარებაო.

მის ირგვლივ საზეიმო განწყობა იგრძნობოდა. მისი დაბადების 80 წლის თარიღის აღსანიშნავად გადაეწყვიტათ ადრინდელი წიგნების გამოცემა. კარგ გუნებაზე იყო, უჩვეულო იყო მისთვის ეს საზეიმო მოლოდინი.

როდესაც სიტყვით გამოდიოდა, არასოდეს სიტყვას წინასწარ არ წერდა, ახლა კი ჩვენთან ერთად მსჯელობდა — როგორ უნდა ჩატარებულიყო მისი იუბილე: „არავითარი მოხსენება ჩემ შესახებ. მე ყველაზე უკეთ ვიცი — რა და როგორ გავაკეთე. არავითარი სავარძელში წამოსკუპება და მილოცვები. მოკლედ ჩამოვქნი ჩემს ნაღვანს, ნუ გეშინიათ,

არ დაგდლით, სულ ათი წუთი. გრძელი სიტყვა იმას სჭირდება, ვისაც დიდი არაფერი აქვს გაკეთებული“.

მაგრამ ეს მოლოდინი მოლოდინად დარჩა. ყველაფერში მოჩარეს თითქოს სიკვდილიც ეჩქარებოდა და იგი გამოიკეტა, ოჯახით შემოიფარგლა. „80 წელს ცოტათი ვგრძნობ. მაგრამ არა უშავს. მუშაობისა და აზროვნების უნარი ძველი მაქვს — ესაა მთავარი“, — ამბობდა ხშირად.

მაგრამ სენი მალე განვითარდა.

მისი მოწაფეები სულ ნახულობდნენ. შალვა გრძნობდა მათ შეშფოთებას და იტყოდა: — დაირღვა ჩემი ცნობიერება, ცნობიერების გარეშე კი არსებობას რაღა აზრი აქვს?

მოწაფეებმა სცადეს დაეყოლიებინათ ზღვაზე დასასვენებლად, მაგრამ უარის ნიშნად ღიმილით თავი გააქნია. საოცარი კმაყოფილებით შეხედა მათ და თქვა: — ლამაზია თქვენი საქციელი, მაგრამ ჩემი ნამოსვლა, ალბათ, შეუძლებელია და ჩემი იუბილე მკვდრადშობილია.

საავადმყოფოში მოგვიხდა მისი დაწვენა, რადგან საჭირო შეიქნა ქირურგიული ჩარევა. ოპერაცია ბრწყინვალედ ჩატარდა, მაგრამ უშედეგოდ — დაგვიანებული იყო.

ერთ დღეს შევამჩნიე — აშკარად ვიღაცას ებრძოდა ძილში, შევეცადე გამომეფხიზლებინა, დამემშვიდებინა, მან კი ხელის კვრით მომიცილა — „ლმერთს ვებრძვი, მიმიშვიო“.

კიდევ ერთი შებრძოლება და თითქოს დანებდა, ჩვენც ზურგი შევვაქცია.

მასთან საუბარი აღარ ხერხდებოდა. გარინდული იწვა, თვალსაც არ ახელდა, მაგრამ რა შემოესმა ბავშვების ხმა, თვალები გაახილა, უცებ ნამოინია, სახე გაუნათდა, ხელები გამოგვინია და ჩვენც მივცვივდით, დავუჩოქეთ. თვითონაც ერთად მოგვხვია ხელები და თქვა: „რა კარგია, რომ მომისნარით, მე უკვე მივდიოდი, ვიმღეროთ ერთად „მრავალუამიერ“, ჩვენ ხომ ისევ ერთად ვიქნებით ყველა!“

დაიწყო კიდეც სიმღერა და ბავშვებიც რომ ცრემლნარევი ხმით აყვნენ, მოწყვეტილად დაუშვა ხელები, ისევ კედლისაკენ გადაბრუნდა.

ამ დროს მასთან მოვიდა მისი ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე, უკვე პროფესორი აპოლონ შეროზია, რომელიც მაშინ



**შალვა ნუცუბიძის ძეგლი თსუ-ის პანთეონში**

ცნობიერებისა და ქვეცნობიერის ფსიქიკურის პრობლემაზე მუშაობდა და ომელსაც შალვასთან ამ რთული პრობლემის არაერთი ასპექტი გაურჩევია. ვთხოვე გადმობრუნებულიყო მისკენ, მან მხოლოდ თავი მოატრიალა, შეხედა თავის მოწაფეს, იცნო და ჰკითხა: — ღმერთმა რომ ადამიანებს ცნობიერება მოგვცა, ამით დაგვწყევლა თუ? — და ისევ კედლისკენ მიბრუნდა.

მეორე დღეს გაზეთები მის სადიდებელს იუწყებოდნენ, თითქოს იგი უნდა დადუმებულიყო, რომ მასზე ქვეყანა ამ-ეტყველებულიყო. უნივერსიტეტის გაზეთში პროფესორი ა. შეროზია წერდა: „ერთბაშად შედგა ყალყზე შემდგარი გონება, მის თვალთა მზერას აზრის მრისხანება მოსწყდა და ჩვენს წინაშე გაირინდა. გაირინდა, როგორც ჩვენი საკუთარი სულიერი მემკვიდრეობა, როცა მას არაა მქევეყნიური ძილი დაეუფლა და თავისი მმფოთვარე სიცოცხლე სამუდამოდ სიკვდილის და-დუმებულ სამყაროში დატოვა. აქედან თითქოს ყველაფერი შეწყდა ჩვენთვის და მასაც კანონიერ ბრძოლებში დალლილი რაინდის ასე უჩვეულო ძილით უნდა ეძინა... ცოდნის ტაძრის

მიწა მას გულში ჩაიკრავს სამარადისოდ თავისთან დასატოვებლად. ყოველ პირველ სექტემბერს ის ქართველი ერის ყველა მოსწავლე ახალ თაობას შეეგებება, როგორც მისი სიამაყე, როგორც მისი მამა-პაპის ბრძნულად ნათქვამი აზრი, თუ აზრის მრისხნება". — ეს გახლავთ შალვა ნუცუბიძის მეუღლის მიერ დაწერილი მოგონება მეცნიერის სიცოცხლის ბოლო დღეებზე.

შალვა ნუცუბიძე 1969 წელს გარდაიცვალა.

დაისვა მისი დაკრძალვის საკითხი. დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე დაინიშნა. ზოგიერთი მეცნიერი წინააღმდეგი იყო — იგი უნივერსიტეტში დაეკრძალათ, რამეთუ შალვა ნუცუბიძეს უნივერსიტეტში ლექციების კითხვა აკრძალული ჰქონდა.

ბოლოს გიორგი ჯიბლაძეს შალვა ნუცუბიძის მეუღლისთვის უთქვამს: — მივაღწიე, რომ იგი დიდუბის პანთეონში დავასაფლაოთო. შალვა ნუცუბიძის მეუღლეს მისთვის უპასუხია: — დიდი მადლობა, მაგრამ შალვას კომუნისტებისგან არც სიცოცხლეში არ უნდოდა არაფერი და არც საფლავი უნდა მაგათოო.

საბოლოოდ, ალბათ, საზოგადოების განწყობებმაც იმოქმედა და შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის პანთეონში დაკრძალეს.

საფლავიც, თურმე, დიდხანს იყო მოუვლელი. შალვა ნუცუბიძის მეუღლეს ედუარდ შევარდნაძისთვის გაუგზავნია დეპეშა, სადაც ის წერდა: — თუ სახელმწიფოს არ შესწევს ძალა — საფლავს მოუაროს, მაშინ ჩვენ შალვა ნუცუბიძის ცხედარს გადავასვენებთო. ამის შემდეგ, საფლავზე სქელ ფენად სასწრაფოდ დააუსხიათ ბეჭონი. მოგვიანებით, მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარიძის განკარგულებით, ძეგლიც დადგეს.

წლების შემდეგ რეაბილიტირებული შალვა ნუცუბიძის სახელი საბურთალოს რაიონის ერთ-ერთ ქუჩასა და პლატოს ეწოდა.

«5»  
ოქტომბერი

შალვა ნუცუბიძე ორჯერ იყო დაქორნინებული. მისი პირველი ცოლი — აგნესა ფილიპოვა გაქართველებული კათოლიკების ოჯახიდან იყო. ის ქუთაისში ცხოვრობდა. 40 წლისაც არ იყო, როცა ჭლექით გარდაცვლილა 1937 წელს. შალვა ნუცუბიძესა და აგნესა ფილიპოვას ჰყავდათ ქალიშვილი ქეთევანი, რომელიც 1915 წელს დაბადებულა. შალვა ნუცუბიძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც მისი პირველი ქალიშვილი გარდაცვლილა.

მეორედ შალვა ნუცუბიძე 56 წლის ასაკში, მასზე 25 წლით ახალგაზრდა ქეთევან კლიმიაშვილზე დაქორნინდა. ამბობდნენ, შალვა ნუცუბიძემ თავისი სტუდენტი მოიყვანა ცოლადო, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ქეთევან კლიმიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა და შალვა ნუცუბიძის ლექციებს მართლაც ესწრებოდა, რის



შალვა ნუცუბიძე და ქეთევან კლიმიაშვილი

შესახებაც თავის შთაბეჭდილებებს მოგვიანებით საკუთარ წიგნში (შალვა ნუცუბიძე — ეპიზოდები ცხოვრებიდან) აღნუსხავს, თუმცა ის დიდი მეცნიერის მოსწავლე არ ყოფილა.

ორივე მეულლე ძალიან ლამაზი ქალბატონი ყოფილა. შალვა ნუცუბიძე, საერთოდ, ეტრფოდა ლამაზ ქალებს.

ქეთევან კლიმიაშვილი განათხოვარი იყო და პირველი ქორნინებიდან მას ორი შვილი — ზაქრო და რუსუდანი ჰყავდა, რომლებიც შალვა ნუცუბიძემ შვილებივთ მიიღო. შალვა ნუცუბიძესა და ქეთევან კლიმიაშვილს სამი შვილი მეეძინათ. მათი საერთო პირველი ვაჟი 5 წლის ასაკში დიფტერიით გარდაიცვალა. შემდეგ თამარ და თამაზ ნუცუბიძეები გაჩნდნენ. შალვა ნუცუბიძეს თურმე ძალიან უყვარდა ბავშვები და, მიუხედავ იმისა, რომ უკვე 60 წლის იყო, ამბობდა — პირველი უბედურება რომ არ დაგვმართნოდა (გულისხმობდა ვაჟის გარდაცვალებას), ჩვენ კიდევ გავაჩინდით შვილებსო.

## თამარ ნუცუბიძის მოგონებები მამაზე

თამარ ნუცუბიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. მუშაობს რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. იგი უკვე 20 წელია, თბილისის სასულიერო აკადემიაში კითხულობს ლექციებს დასავლეთ ევროპის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. ივანე ჯავახიშვილის სახელბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაშიც სწავლობდა და შემდეგ დისერტაციაც უნივერსიტეტში დაიცვა. მოღვაწეობდა უნივერსიტეტის თეატრალურ ინსტიტუტში. ბევრი ცნობილი კინო-რეჟისორი, მსახიობი თუ ოპერატორი მისი გაზრდილია.

## დაუვიწყარი ურთიერთობები

მამა იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარდა ბავშვები და დიდ დროსაც გვითმობდა, მიუხედავად იმისა, რომ უნი-



თამარ ნუცუბიძე — შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი

ვერსიტეტში ამდენი საქმე ჰქონდა და ძალიან დაკავებული იყო. მამას ექსკურსიებზე სულ დავყავდით და საქართველოს ისტორიას გვაცნობდა. — ბავშვებო, თქვენ უნდა ნახოთ ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში, — გვეუბნებოდა ის და მივყავდით კიდეც ილია ჭავჭავაძის სახლის სანახავად. — ბავშვებო, თქვენ უნდა ნახოთ წინამური, — ამბობდა მამა და წაგვიყვანა კიდეც იქ. მახსოვს, როგორი მღელვარებითა და ცრემლებით სავსე თვალებით გვესაუბრა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე. როცა რუსთაველზე ვსეირნობდით, სადაც იუნკრებია დამარხული, იმ ადგილზე ვჩერდებოდით და მამა ყოველთვის ქუდს იხდიდა. როცა ვკითხე — რატომ იხდიდა ქუდს, მიპასუხა: — აქ ის ახალგაზრდები არიან დამარხულნი, რომლებმაც საქართველოს თავი შესწირესო. შემდეგ მარო მაყაშვილზეც გვიამბობდა. ერთ დღეს კინოფილმ „მამლუქზე“ წავედით. როცა ფილმი დამთავრდა, შენუხებული სახე ჰქონდა და აღელვებულმა თქვა: „არ უნდა მენახა ეს ფილმი“. ომანი ბუნების მიუხედავად, საოცრად განიცდიდა ყოველივეს, რაც საქართველოს უკავშირდებოდა.

1921 წლის თებერვლის დამლევს მამა ბათუმის პორტში იდგა. ბევრი მისი მეგობარი ტოვებდა სამშობლოს, ეგონათ — დროებით. — რას შვრები, რატომ არ მოდიხარ? — ეკითხებოდნენ. მან კი მხოლოდ საკუთარ გულისხმას დაუჯერა და დარჩა. „მე მოვესწრები, შვილო, რომ რუსები საქართველოდან ნავლენ“, — სულ ამას იმეორებდა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო.

მას არ ეზარებოდა ჩვენთვის მოეთხრო ყველაფერი ის, რაც იცოდა. ერთხელ მითხრა — ვახტანგ ჭაბუკიანია ჩამოსული, მინდა, გაჩვენო არაჩვეულებრივი მოცეკვავეო და ნამიყვანა კიდეც თეატრში. მამა მეგობრობდა მსახიობებთან, რეჟისორებთან... ცნობილია მისი მეგობრობა სანდრო ახმეტელთან, პეტრე ამირანაშვილთან, ბათუ კრავეიშვილთან, უშანგი ჩხეიძესთან, რომლებიც მამას სულ ეპატიურებოდნენ პრემიერებზე. და აი, ჩვენ ხშირად მამისთვის განკუთვნილ ადგილს ვიკავებდით ხოლმე თეატრში. ყველგან დავყვებოდით მამას... თითქმის ყოველთვის ვესწრებოდით მის საჯარო ლექციებს. მამა სულ ხელს გვიწყობდა, რომ გვემხიარულა კიდეც და დაბადების დღეებს გვილამაზებდა. გვეუბნებოდა — დაპატიურეთ მეგობრებიო... იგი თავად იყო ძალიან ხალისიანი და ხშირად გვაცინებდა, იუმორით ყვებოდა ყველაფერს...

მამა რომ წავიდა ამ ქვეყნიდან, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს სამყარო დაცარიელდა... შუქს რომ გამოგირთავენ სახლში და დაბნელდება, მერე ამ სიბნელეში რომ ზიხარ და შუქი აღარ მოდის — აი, ასეთი განცდა გვქონდა დიდხანს...

**დედა და მამა — ორი განსხვავებული სამყარო**

დედა იყო ქართლელი, მამაჩემი იმერელი — ეს არის ორი განსხვავებული სამყარო. მამა სულ შემართული, ოპტიმისტურად განწყობილი იყო. დედა უფრო დინჯი და მკაცრი გახლდათ. მამა ეტყოდა ხოლმე: — ნუ ხარ ამ სახლში სტალინივითო. ერთხელ ისიც კი თქვა ხუმრობით: — ძალიან შევცდი, შენ რომ მოგიყვანე, ლიხს აქეთ ქალი არ მოიყვანებაო.

დედა ძალიან ეკლესიური იყო. მამა კი არ დადიოდა ეკლესიაში, თავისი დამოკიდებულება პქონდა ეკლესისადმი (საბჭოთა პერიოდში თავისუფლად ვერც ივლიდა). დედა კი სულ დადიოდა. ხანდახან იმდენი ხნით იყო ხოლმე წასული, რომ მამა გვეუბნებოდა: — დედა აღარ მოვა, მგონი მღვდლად აკურთხესო.

მიუხედავად განსხვავებული ხასიათებისა, მამას ძალიან უყვარდა დედაჩემი და ხშირად ეუბნებოდა: — თავიდანვე შეგატყვე, რომ გამომადგებოდიო (გულისხმობდა იმასაც, რომ დედა კარგი მეურნე იყო). ერთხელ დედას ჰქითხა: — რა გინდა, რომ გაგიკეთოო (უნდოდა ესიამოვნებინა ახლად შერთული ახალგაზრდა ქალისთვის). დედამ უთხრა: — მინდა, ბალი მქონდეს, ვენახი გავაშენო, ჩურჩელები გავაკეთოო... — კი ბატონო, შეგისრულებო, — უთქვამს მამას და აი, მაშინ გადაწყვიტა გლდანში ნაკვეთის ალება. ომის პერიოდი იყო და მაშინ აკადემიამ მეცნიერებს მიწები დაურიგა. ჩვენებმა



ვალვა ნუცუბიძე გლდანში მეუღლესთან და შვილებთან  
თაბარ და თამაზ ნუცუბიძეებთან ერთად

აარჩიეს გლდანში ნაკვეთი (3000 კვადრატული მეტრი) და იქ არაჩვეულებრივი ბალი გააკეთეს. ხალხი სანახავადაც კი მოდიოდა. მე მადლობელი ვარ ჩემი მშობლების, რომ ჩვენ გავიზარდეთ გლდანში, იმ ეზოში, იმ არაჩვეულებრივ ბალში, რომელსაც დედა უვლიდა და ალამაზებდა. მამას პატივისცემის ნიშნად არაჩვეულებრივი ჯიშის ნერგებს ჩუქნიდნენ. დედამ ისწავლა მოსავლის შენახვის წესები. მან გაიარა აგრონომის კურსები. ისეთი გემრიელი ხილი, როგორიც ჩვენს ნაკვეთში მიჭამია, სხვაგან არსად შემხვედრია. ზამთარში რომ გამოვიტანდით ჩვენი ბალის ხილს, ხალხს უკვირდა — საიდან არის ასეთი გემრიელიო. გლდანში დაზამთრებამდე ვცხოვრობდით, მერე კი ზამთრის სეზონს თბილისში ვატრანებდით. მამაჩემი ამბობდა — ჩემმა მშობლებმა არაფერი დამიტოვეს, ჩემთვის ორი აგური არ მოუციათ ერთმანეთზე დადებული, მე კი ორი სახლი ავიშენე — ერთი გლდანში და ერთიც თბილისში, ვერაზე.

დედა, მისი თხოვნით, გლდანის ეზოშია დაკრძალული, სადაც ჩემი 5 წლის ძმა დასაფლავებული. დედაჩემისთვის და მამაჩემისთვის პირველი შვილის გარდაცვალება ისეთი დიდი ტრაგედია იყო, რომ მათ ვერ შეძლეს მისთვის ვერც პანაშვიდის, ვერც ქელების გადახდა და იმ დღესვე დაკრძალეს თავი-ანთი სახლის ეზოში.

## კგბ-ს ხრიკები

მამაჩემს რომ მორჩილად ემსახურა საბჭოთა სისტემისთვის, ის არ დაემართებოდა, რაც დაემართა. მამა იყო კრემლში სტალინთან ნამყოფი კაცი, რომელსაც სტალინმა შუბლზე აკოცა. სტალინისგან ასეთი დაფასებული და მხარდაჭერილი კაცი ჩამოდის საქართველოში და მას ჯერ ფილოსოფიის ინსტიტუტიდან უშვებენ და შემდეგ აკადემიიდან, უნივერსიტეტიდან... ლექციებს არ აკითხებენ და ამასობაში კიდეც გარდაიცვალა. არავის მისთვის ბოდიში არ მოუხდია, არავის უთქვამს — რატომ გდევნიანო... თუ შალვა ნუცუბიძე ისეთი კაცი იყო, რომ ვიღაცებს ასმენდა, მაშინ წაახალისებდნენ

და პატივს მიაგებდნენ, რატომდა დაუწყებდნენ დევნას? ეს ყველაფერი კგბ-ს მიერ გავრცელებული ჭორები და ინტრიგები იყო. ანუ შეთხზეს ისტორიები, რათა გაეშავებინათ შალვა ნუცუბიძე.

მამაჩემი აქტიური, სულით ძლიერი პიროვნება იყო და არასოდეს ტოვებდა საკუთარი ღირსების შეგნება. ერთხელ მას უთხრეს: — შენ ბევრი ქვა გესროლესო. მან უპასუხა — ეს ქვები მე პიედესტალად მექცაო. 80 წლის ასაკში, როგორც იქნა, გადაწყვიტეს იუბილეს გადახდა, მაგრამ არ შედგა. სახლში გვითხრა: — როდესაც იუბილეზე გამოვალ, მადლობას კი არ გადავუხდი მთავრობას და პარტიას, არამედ ვიტყვი: „მთავრობამ ყველაფერი გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლო“.

### რაში მომეხმარა მამის სახელი?

როგორც შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი, ყოველთვის ვგრძნობდი პატივისცემას ხალხისგან ყველა მთავრობის დროს. არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია — რაც უნდა გვეთხოვა ან მე, ან დედას, ყველაფერს გვისრულებდნენ. მამა ასეთი დევნილი რომ იყო, ამის საკომპენსაციოდ, თითქოს, ყველა ცდილობდა — რაიმე გაეკეთებინათ ჩვენთვის. თბილისის საკრებულოს დეპუტატადაც კი დამასახელეს... მითხრეს, შალვა ნუცუბიძის სახელი ჩვენთვის იმდენად ღირებულია, რომ მისასალმებელია — მისი ქალიშვილი ჩვენს რიგებში იყოსო. ეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი იყო და თბილისის საკრებულოში დეპუტატი ვიყავი.

შალვა წერებულისა და ქათევან კლიმიაშვილის შვილები



თამარ წუცუბიძე



თამაზ წუცუბიძე



კინი ფანცხავა.  
შალვა წუცუბიძის  
შვილთაშვილი

შალვა წუცუბიძის  
შვილიშვილი ქეთი წუცუბიძე  
და შვილთაშვილი ნიკა  
ბოლქვაძე



შალვა ნუცუბიძის შვილიშვილი სალომე ენჭოშვილი და  
შვილთაშვილი ანა ჟვანია

« 6 «

## შეფასებები შალვა ნუცუბიძე

**რა იქნებოდა დღეს ქართული კულტურა,  
რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე?**

ბატონ შალვაზე საუბარი ყველა ქართველისთვის, და არა მარტო ქართველისთვის, დიდი პატივია. ადამიანის ღირებულება მარტივად რომ ნარმოვიდგინოთ, ალბათ, უპრიანია, საკითხი ასე დავსვათ: რა იქნებოდა დღეს ქართული კულტურა, რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე? მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა ყველაზე უფრო სრული, ქართულ ენაზე დაწერილი ფილოსოფიური სისტემა ალეთოლოგიურ რეალისტურ საფუძველზე; ჩვენ არ გვექნებოდა ევროპული ფილოსოფიის განვითარების ხაზის ახალი ვარიანტი, რომელიც მაშინ გავრცელებული შეხედულების მიხედვით მოდიოდა ლაიბნიციდან, გადიოდა კანტზე, შემდეგ ცნობილ გერმანელ ფილოსოფისებზე და მთავრდებოდა ნეოკანტიანელებით; ჩვენ არ გვექნებოდა ნუცუბიძის მოძღვრება მცდარი დებულების ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც საოცრად თანამედროვეა. თანამედროვეა აზროვნება, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აინშტაინის და რასელის ცნობილი მანიფესტით და ნიცვეს ახალი ინტერპრეტაციით, რომელიც გვეუბნება, რომ საპირისპიროთა ურთიერთგამომრიცხავ მხარეთა გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი საერთო საფუძველი, რომ მცდარ დებულებასაც აქვს თავისი ჭეშმარიტება — ეს დიალოგის საუკეთესო დასაბუთება იყო, რამეთუ დიალოგური აზროვნება თანამედროვე აზროვნების ძირითადი საფუძველია.

რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე, არ გვექნებოდა ქართული ფილოსოფიის ისტორია, არ გვექნებოდა მისი შესანიშნავი თარგმანები, არ იქნებოდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გადასული ფრაზა: „თურმე ერთხელ ნუცუბიძემ თქვა...“ და კიდევ სხვა ბევრი რამ...

ბატონი შალვა შემოქმედი იყო ყველგან, შემოქმედი იყო ლაიფციგში, როცა თავის ალეთოლოგიის პრინციპებს აყალი-



შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პაატა გუგუშვილი თბილისის სახელმწიფო პედინსტუტის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფაკულტეტის  
1933 წლის კურსდამთავრებულებთან ერთად.

ფოტო გადაღებულია ინსტიტუტის დამთავრებიდან 30 წლისთავზე.  
1963 წ. 16 ნოემბერი

ბებდა; შემოქმედი იყო 1917 წელს სახელმწიფო-სათათბირო-ში, როცა საქართველოს ინტერესებს იცავდა; შემოქმედი იყო იმ თავის ფუნდამენტურ ნაშრომზე მუშაობისას, რომელიც გერმანიაში გამოვიდა და რომელზეც 10-ზე მეტი რეცენზია დაინტერა ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად... შემოქმედი იყო ქართული ფილოსოფიური ისტორიის შექმნისას. მხოლოდ მას ჰქონდა უნარი, იმ პერიოდის დიქტატურის რეჟიმში მეცნიერებისთვის სასარგებლო საქმე გაეკეთებინა: ვეულისხმობ აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომელიც მაშინდელმა მთავრობამ ევროპოცენტრიზმის საპირისპირო თეორიად შეაფასა. სინამდვილეში შალვა ნუცუბიძე ასაბუთებდა, რომ რენესანსული არსი ემყარება ნეოპლატონიზმს. ქართული ნეოპლატონიზმი გაცილებით ადრე დაადგა იმ აზრს, რომ ეს საერთო მსოფლიო აზროვნების ძირითადი შარაგზაა და მან საქართველო ევროპული აზროვნების განვითარებას დაუბრუნა.

ბატონი შალვასთვის, მიუხედავად იმისა, რომ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა, სიცოცხლეში იუბილე არ გადაუხდიათ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „იუბილე“ მისი წიგნების განხილვა იყო. ეწყობოდა საკავშირო კონფერენციებიც, სადაც მისი დებულებების განხილვა ხდებოდა. მე, როგორც ბატონი შალვას სტუდენტს, მათზე დასწრების ბედნიერება მქონდა. ის გამართულ კამათებში გამარჯვებული გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ სხდომები ცეკას მდივნებსა თუ განყოფილების გამგეებს მიჰყავდათ. აქ ერთი საოცარი ასპექტი მინდა გაგასხენოთ: დიქტატურის პერიოდში ბატონ შალვას ყველაზე დიდი დამცველი — იოსებ სტალინი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, იგი ოფიციოზისგან მაინც ყოველმხრივ შევიწროებას განიცდიდა. ბატონი შალვა, როდესაც რაიმე ახალ წიგნს დაწერდა, მთელი პარტიული ფუნქციონერები საკუთარ ვალად მიიჩნევდნენ, რომ ეს წიგნი გაეკრიტიკებინათ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ბატონ შალვას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში პარტიული ფუნქციონერების განათლებაში.

გურამ თევზაძე,  
აკადემიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
2013 წ.

### „რუსთაველმა გამოართვა აღმოსავლეთს და მისცა დასავლეთს“

სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო მცირდება მათი რიცხვი, ვინც მოესწრო შალვა ნუცუბიძეს. მე ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ იმ უკანასკნელი თაობისა, რომელსაც ახსოვს ბატონი შალვა. ქართულ მეცნიერებაში, აღბათ, ცოტა გვეგულება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ქართული კულტურის, ქართული სულიერების ფაქტები მსოფლიო ორბიტაზე გაეტანა და იგი მსოფლიო კულტურის ფაქტორად ექცია — ეს შალვა ნუცუბიძემ გააკეთა. მისი მჭევრმე-



გიორგი თავზიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მიხეილ ზანდუკელი

ტყველების შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა. მისი ცხოვრება სამშობლოს ცხოვრებას ჰქონდა: იყო დიდი აღზევების და დევნის, რეპრესიების პერიოდები.

მქონდა ბედნიერება, მენახა ბატონი შალვას მიმართ მისი უახლოესი მეგობრების დამოკიდებულება. ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილთან, ჩემს ხელმძღვანელთან, არაერთგზის მქონია საუბარი ბატონ შალვაზე და ყოველთვის მაოცებდა ის, თუ როგორი მოწინებით საუბრობდა მეგობარი მეგობარზე, როგორ აფასებდა მის ნიჭს. მახსოვს, როდესაც პირველი კორპუსის ფოიეში შოთა რუსთაველის ბარელიეფი იხსნებოდა, დაირხა ხმები, რომ ბატონი შალვა აპირებდა სიტყვით გამოსვლას. უნივერსიტეტს მოაწყდა უამრავი ხალხი. მაინტერესებდა, რას იტყოდა იგი ისეთს, რაც საზოგადოების აღტაცებას გამოიწვევდა. დღესაც მახსოვს ის პათოსი... უნდა მოგახსენოთ, რომ ეს იყო მართლაც ერთ-ერთი ბრწყინვალე სიტყვა. მან თქვა: „რუსთაველმა გამოართვა აღმოსავლეთს

და მისცა დასავლეთს. ...და რომ არა რუსთაველი, ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარიმართებოდა დასავლეთის განვითარების გზა“. მაშინ ამ დებულებასთან დაკავშირებით კამათის სურვილი არავის გასჩენია. ამ სიტყვებმა მოხიბლა მთელი აუდიტორია, რადგან ეს საოცარი მიგნება იყო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის ბატონი შალვა იყო ადამიანი, რომელმაც ლექციისა თუ მოხსენების კითხვა უმაღლესი ხელოვნების დონემდე აიყვანა. მისი ლექციის მოსასმენად მოდიოდნენ არა მარტო შემეცნებითი კმაყოფილების, არამედ ესთეტიკური კმაყოფილების მისაღებადაც — ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

### რისმაგ გორდეზიანი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

## შალვა ნუცუბიძე არ იყო ე.წ. კაბინეტის პედანტი მეცნიერი

ვისაუბრებ ბატონ შალვაზე, როგორც ადამიანზე. ბატონი შალვა წლების მანძილზე დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის ფაუნდაციურთან, რადგან მას აუკრძალეს ლექციების კითხვა ფილოსოფიაში.

იგი იყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრის გამგე. თავისი ერუდიციითა და ევროპული ენების ცოდნით მან დიდი საქმე გააკეთა ჩვენი განყოფილებისთვის. მის კათედრაზე გაიზარდა დასავლეთ ევროპის სპეციალისტების პირველი თაობა.

ერთხელ ბატონმა შალვამ მითხრა, მკერდში რკინა-ბეჭონის კედელი ავაგე, რათა უსიამოვნო ამბებმა გულამდე არ მიაღწიონ. მართლაც, ეს მისთვის საჭირო იყო, რადგან ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მახსოვს, როგორ წარიმართა მისი წიგნის — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ — განხილვა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. მიმოხილვა ორი დღის მანძილზე გაგრძელდა, გამოვიდა ბევრი ორატორი, მათგან ზოგიერთის გამოსვლა ძალიან აგრესიული იყო. ველოდებოდით ბატონი შალვას საპასუხო

სიტყვას. მან მშვიდად დაიწყო საუბარი, დასვა საკითხები, მაგრამ განსაზღვრულ დროში ვერ ჩაეტია, ითხოვა დროის გაგრძელება, მაგრამ აღარ მისცეს სიტყვის დასრულების უფლება და უთხრეს: — დაამთავრეო. მაშინ ბატონმა შალვამ ამ სიტყვებით დაასრულა სათქმელი: „მე ვწყვეტ, მაგრამ არ ვამთავრებ“. მართლაც, მას თავისი იდეებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია და გაიმარჯვა კიდეც.

ბატონი შალვა ძალიან ყურადღებიანი იყო ახალგაზრდების მიმართ. მოვიყვან საკუთარ მაგალითს: უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, მაგრამ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით სირთულე შემექმნა. დეკანატი რეკომენდაციას არ მაძლევდა. მივმართე ნუცუბიძეს, მან მითხრა: — რა კარგ დროს მოხვედით, სწორედ ახლა არის დამატებითი გამოცდები ასპირანტურაში, ხვალვე მიდით განცხადებით პირდაპირ პროფესიონალთან. პრორექტორმა უარით გამომისტუმრა: — ამდენი სპეციალისტი რად გვინდა, ასპირანტები უკვე გვყავსო. მეც სათანადო განწყობილებით მივდიოდი სახლისკენ... მელიქიშვილის ქუჩაზე მხვდება შალვა ნუცუბიძე. ყოველთვის ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, თითქოს შემთხვევითი, რომელიც სინამდვილეში საბეჭისწეროა. აი, ჩემთვის ეს შეხვედრა აღმოჩნდა საბეჭისწერო. როცა მან მკითხა: — რა ქენითო, — ვუპასუხე, რომ უარით გამომისტუმრეს. წავიდეთ უკანო, — მომმართა და მივბრუნდით უნივერსიტეტში. ბატონი შალვა პროფესიონალ შედის, გარეთ გულის ფანცქალით ველოდები. მესმის ხმამაღალი ლაპარაკი, ცოტა ხნის შემდეგ აღებს კარებს და მეუბნება: — შეიტანეთ თქვენი განცხადება, პროფესიონალ დაადებს რეზოლუციას და ხვალ მიხვალთ გამოცდაზე. ასე გავხდი შალვა ნუცუბიძის ასპირანტი და დისერტაციის დაცვის შემდეგ მისი კათედრის ლექტორი.

ბატონი შალვა არ იყო ე.წ. კაბინეტის პედანტი მეცნიერი. მისი ინტერესების არე ფართო იყო. მაგალითად, მას ძალიან უყვარდა ფეხბურთი. ერთხელ ხუმრობით მითხრა: — იცით, სტადიონზე ჩემ გვერდით ჯდომა სახიფათოა, იმდენად განვიცდი თამაშს, რომ, ჩემდაუნებურად, გვერდში მჯდომს მუკლუგუნს ვკრავო.

ხშირად დავდიოდი მის აგარაკზე გლდანში — ნამდვილ ბაღნარში. თავის ბაღში იგი გატაცებით მუშაობდა და, როგორც ამბობდა, მას ეს ცხოვრების ბნელი მხარეების დავიწყებაში ეხმარებოდა. ძალიან გულთბილი იყო მისი მეუღლე, ქალბატონი ქეთევანი. ყოველ წელს, 28 დეკემბერს ვესტრებოდი მათი ქალიშვილის, თამარის დაბადების დღეს. რა დამავიწყებს იმ დღეებს, როდესაც სუფრის თავში შალვა ნუცუბიძე იჯდა.

გავიდა წლები... თამარი გაიზარდა, გახდა ჩვენი სტუდენტი. როდესაც მან ჩააბარა ასპირანტურაში, ბატონმა შალვამ გამოთქვა სურვილი, რომ მე ვყოფილიყავი თამარის მეცნიერ-ხელმძღვანელი. ჩვენი მეგობრობა დღესაც გრძელდება.

**ნატალია ორლოვსკაია,  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
შალვა ნუცუბიძის ასპირანტი, 2013 წ.**



## შალვა ნუცუბიძემ გამოიგონა ერთგვარი ფილოსოფიური თამაში — თვითონ შექმნა თამაშის წესებიც და ფიგურებიც

მეცნიერის მემკვიდრეობის აქტუალობა იზომება იმ ქმედი-  
თობის მიხედვით, რომელიც მას თანამედროვე კონტექსტში  
აქვს. შალვა ნუცუბიძის მდიდარი მემკვიდრეობიდან ჩვენ  
შეგვიძლია გამოვარჩიოთ ე.ნ. ალეთოლოგიური რეალიზმის  
თეორია და აღმოსავლური რენესანსის თეორია. რენესანსის  
თემაზე მსჯელობა ნიშნავს ჰუმანიზმის პრობლემაზე მსჯ-  
ელობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს თემატიკა დღეს თანამე-  
დროვე ფილოსოფიური დისკუსიების ფოკუსშია მოქცეული.  
ეს არის ფილოსოფიური მსჯელობა ჭეშმარიტების არსის  
შესახებ და ჰუმანიზმის არსის თაობაზე. სარტრმა და პაიდე-  
გერმა, თავიანთი წერილებით ჰუმანიზმის შესახებ, შეაჯამეს  
მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ფილოსოფიური სიტუაცია  
და მომავლის ნიშნებზეც მიუთითეს. ამ თემის გარკვევას  
მიეძღვნა ე.ნ. მოდერნულობისა და პოსტმოდერნულობის  
თეორიები და სხვ... შალვა ნუცუბიძის მემკვიდრეობა „მეც-  
ნიერების ჩიხი“ კი არ არის, არამედ მაგისტრალურ ხაზზე  
გამყვანი გზაა.

ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა შალვა ნუცუბიძის შემოქ-  
მედებით მეთოდზე, რომელიც არსებითად უკავშირდება  
ლამის ლეგენდად ქცეულ ნუცუბიძისეულ იუმორს. ესაა ე.ნ.  
სოკრატული და კარტეზიანული მეთოდოლოგიური სკეფსისი  
— ანუ ყველაფრის ეჭვენება დაყენება და ამ გზით უეჭველი  
ჭეშმარიტების გამოვლენა. სხვანაირად მას სოკრატული  
ირონიაც ეწოდება. ამ მეთოდით ხერხდება გაბატონებული  
სტანდარტების დარღვევა და აზროვნების თავისუფალ გზა-  
ზე გაყვანა. აქვე უნდა გავიხსენოთ დერიდეს დეკონსტრუქ-  
ტივიზმის მეთოდი, ბაზტინის პოლიფონიურობა, ბაშლიარის  
ინტერტექსტუალობა და კიდევ უფრო ცნობილი ნიცხეს სა-  
საცილო მეცნიერება, როგორც ინტერტექსტუალური თამაში  
ახალი წესებით. მისი მთავარი წესი ასეთია: თეზა შეიცავს  
(კოდირებულია) ფარულ საზრისს თავისივე ნეგატიურ-ირო-

ნიული ანტითეზის სახით. აქედან გამომდინარე, ნუცუბიძის „მემკვიდრეობა“ არ უნდა იქნას განხილული ტრადიციული „მეცნიერული თეორიის“ ფორმაში. ის უნდა გავიგოთ, როგორც კონცეპტ-პერსონაჟების ინტერტექსტუალური თამაში. ასეთი პერსონაჟებია ნუცუბიძისეული „ალეთოლოგიური რეალიზმი“ და „აღმოსავლური რენესანსი“.

მაგალითად: ერთ დღეს ნუცუბიძემ ლექციაზე დააგვიანა. უნივერსიტეტის დერეფანში შეხვდა რექტორი, რომელმაც პირდაპირ ვერ გაუტედა ბატონ შალვას საყვედურის თქმა და მხოლოდ ის ჰქითხა — „ბატონონ შალვა, როდის იწყება ლექცია?“ — „როცა ლექტორი აუდიტორიაში შევა,“ — მიუგია შალვა ნუცუბიძეს. მისივე ნათქვამია — „სადაც მე ლექციას წავიკითხავ, ფილოსოფიაში ნიშანი სტუდენტს კი არა, მერხსაც ეკუთვნისო“. ბევრია ისეთი ხუმრობა, რომელსაც ვერც ერთი გაბედული ჟურნალისტი ვერ გადაიტანს ქაღალდზე. ეს არის კარნავალური ტიპის იუმორი, რომელშიც ხორციელდება ყალბი ცნობიერების დეფეტიშიზაცია, დესაკრალიზაცია. შალვა ნუცუბიძე სწორედ ამ მეთოდს იყენებდა. ეს მეთოდი ღიაა შემოქმედებითობისათვის და ინტერპრეტაციისათვის.

ცნობილია მოწინააღმდეგის დებულების დარღვევა მისი აბსურდამდე მიყვანით. ამ მეთოდს იყენებდა შალვა ნუცუბიძეც. მაგალითად, იგი წერდა, რომ იოანე პეტრინი პანთეისტი-მატერიალისტი იყო, რაც სრული აბსურდია და მართლაც სასაცილოა. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ნუცუბიძის დებულებები მოძველებულია. სინამდვილეში, ნუცუბიძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ იოანე პეტრინის მატერიალისტობაზე საუბარიც კი არ შეიძლება, მაგრამ ამით ის კომუნისტებს და მათ იდეოლოგიურ სტანდარტებს დასცინოდა, რადგან ამის დამჯერებელი ადამიანი, ფაქტობრივად, გამასხარავებულია.

არის კიდევ მეორე თეზისი, რომელიც ზოგიერთი თეოლოგის რისხვას იწვევს — თითქოს ეკლესიის დიდი მამები თეოლოგიურ სამოსში გახვეული ნეოპლატონიკოსები იყვნენ. ამით ნუცუბიძე ისევ იმ იდეოლოგიურ სტანდარტებს დასცინოდა.

შალვა ნუცუბიძესთან მიმართებაში ჩამოყალიბდა 4 ტიპის დამოკიდებულება. პირველი: ეპიგონობა. როგორც ყვე-

ლა მოაზროვნეს, შალვა ნუცუბიძესაც ჰყავს ეპიგონები, ანუ მიმდევრები, რომლებიც მეცნიერებისთვის საინტერესონი არ არიან (აქვე უნდა ვახსენოთ ფარული პლაგიატორებიც). მეორე: პოლემისტები, რომლებიც, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში შედიან ნუცუბიძესთან, ცდილობენ ნუცუბიძის თეზისების სისტემის დესტრუქციულ დარღვევას. ეს პოლემისტური შეტევები სხვადასხვა მხრიდან ხორციელდება: ემპირიული მეცნიერებების პოზიციებიდან პოლემიკა, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებენ, რომ შალვა ნუცუბიძის თეზისები ფაქტებით არ დასტურება; კრიტიკა თეოლოგიის პოზიციებიდან, რომლის მიხედვითაც ნუცუბიძის ჰიპოთეზები ერესად და მკრეხელობად მიიჩნევა: ზოგიერთი კრიტიკოსი კი მიიჩნევს, რომ შალვა ნუცუბიძის თეორიები ფილოსოფიურად არ არის დაფუძნებული. მესამე: ეს არის დისკუსიური დამოკიდებულება შალვა ნუცუბიძის ნააზრევთან, რომლის მიზანია საერთო ამოცანები გადაწყვდეს. ესენი იმ ტიპის მეცნიერები არიან, რომელთაც მართლა აინტერესებთ, არის თუ არა დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერი, აინტერესებთ — მართლა დაინტერესებთ არა რენესანსი საქართველოში და ა.შ.. მეოთხე — ეს არის ფილოსოფიურ დიალოგში შესვლა ნუცუბიძის ფილოსოფიურ შემოქმედებასთან.

ამ ოთხი დამოკიდებულებიდან ყველაზე რელევანტურია დიალოგი. ნუცუბიძის თეორიის მიხედვით, ჭეშმარიტება არის „ნინალოგიკური“ და „არსებულზე წარმატებული“. ამით ის ძლევს ე.წ. რელატივიზმს (ყველაფერი შეფარდებითია) და დეტერმინიზმს (ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია). შალვა ნუცუბიძის კრიტიკას მასთან დიალოგში შესვლა სჯობს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ შალვა ნუცუბიძე ქმნიდა ერთგვარ პერსონაჟებს, რომლებიც მოძრაობენ სპეციფიკურ ფილოსოფიურ სივრცეში. მაგალითად, მის მიერ შექმნილი პერსონაჟებია ვარაუდები, რომ დიონისე არეოპაგელი არის ქართველი პეტრე იბერი, რომ რენესანსი დაინტერესება საქართველოდან, რომ ჭეშმარიტება არის წინარელოგიკური და ა.შ. ეს ისეთი „პერსონაჟებია“, რომლებთანაც ჩვენ მუდმივად გვიჩვევს დია-

ლოგში შესვლა. შალვა ნუცუბიძემ გამოიგონა ერთგვარი ფილოსოფიური თამაში — თვითონ შექმნა თამაშის წესებიც და ფიგურებიც და ჩვენ მუდმივად ჩართულნი ვართ ამ თამაშში, რომელიც მუდმივად იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას. როცა თავად თამაშობდა ამ თამაშს, ის მაშინ საშიში თამაშები იყო, რადგან იდეოლოგიური წნევის ქვეშ უწევდა ფიგურების გადაადგილება და ეს, შესაძლოა, საბედისნეროც გამხდარიყო. დღეს ალეთოლოგიური ფიგურებით თამაში საშიში აღარ არის, მაგრამ კარგი თამაშია, რადგან ხელს უწყობს ჩვენი თავისუფალი აზროვნების განვითარებას.

ასე რომ, შალვა ნუცუბიძე მუდმივად რჩება ახალ-ახალი შემოქმედებითი იმპულსების ულევ წყაროდ და მისი ფიგურების გადათამაშება ყოველთვის სასურველი და სასარგებლო იქნება ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის.

**ირაკლი ბრაჭული,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი**

## **შალვა ნუცუბიძე თავისი თეორიებით ქართველ ხალხს ეროვნული სიამაყის განცდის საფუძველს აძლევს**

მოგეხსენებათ, რომ ისტორია საკვანძო პერიოდში წარმოშობს ხოლმე ისეთ ფიგურებს, რომელთაც უზარმაზარი როლი ეკისრებათ კულტურის განვითარებაში. გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ კულტურას მოევლინა ასეთი პიროვნება შალვა ნუცუბიძის სახით. ალბათ, არ მოიძებნება მეორე ადამიანი ქართულ კულტურაში, რომელმაც ისე აამაღლა ქართველების ეროვნული სიამაყე და ცნობიერება, როგორც ეს შალვა ნუცუბიძემ თავისი კონცეფციებით მოახერხა. იმ ფაქტით, რომ პეტრე იბერი ბატონმა შალვამ ევროპული აზროვნების მესაძირებულება ჩათვალა, ქართველ ერს ეროვნული სიამაყის გრძნობა აუმაღლა. მთელი ევროპული რენესანსი არ-

ეოპაგიტულ კორპუსს ემყარება. არეოპაგიტული კორპუსის ავტორი თუ ქართველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ევროპული კულტურის აღორძინების საქმეში. გარდა ამისა, შალვა ნუცუბიძე ქართული რენესანსის ისტორიაზე იმ პერიოდში საუბრობს, როდესაც ქართველი ერი კოლონიური და დაჩაგრული ერია. იგი თავისი თეორიებით ქართველ ხალხს ეროვნული სიამაყის განცდის საფუძველს აძლევს. დღეს ასე თავანეულნი თუ ვესაუბრებით მსოფლიოს, ეს ჩვენი კულტურული ფასეულობებიდან გამომდინარეა და მასში უდიდესი წვლილი ბატონ შალვას მიუძღვის.

**აკაკი ყულიჯანაშვილი,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი  
თსუ-ის პროფესორი**

## **ყველაფერზე ბრმად ხელისმონერით იგი ამბობდა: დამანებეთ თავი და მომშორდით აქედანო**

შალვა ნუცუბიძესთან პირადი ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ ვიცოდი, რომ ის იყო დიდი მეცნიერი. მას პირველად მაშინ შევხვდი, როდესაც გადასახლებიდან დაბრუნდა. შალვა ნუცუბიძეს ფილოსოფიაში ლექციების კითხვის უფლებას არ აძლევდნენ, ამიტომ იგი დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა. ნუ ჩამომართევთ ტრაბახში, მაგრამ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის დიდი კორიფეულების მნიშვნელოვან ნაწილს კარგად ვიცნობდი, მაგრამ შალვა ნუცუბიძის ლექცია სულ სხვა იყო — სრულიად სხვაგვარი გააზრება დასავლეთ ევროპის ლიტერატურის განვითარებისა. აუდიტორია გადაჭედილი იყო და გულწრფელად ვამბობ, რომ მას მიშტერებული ვუყურებდი მანამ, სანამ საუბარს არ დაასრულებდა. ბატონ შალვას ჰქონდა უესტიკულაციის თავისებური მანერა, რაც თითქოს ნაწილი იყო მისი ლექციისა.

მახსენდება ასეთი რამ: მრგვალ მაგიდასთან სხედან კორ-



გიორგი ჩუბინაშვილი და შალვა ნუცუბიძე

ნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე. მე მათგან მოშორებით დავჯექი. მესმის, ბატონი კორნელი ეკითხება შალვას: — მართალია, რასაც კი მოგიტანდნენ იქ, ყველაფერს ისე აწერდი ხელს, რომ არც კითხულობდიო? ბატონმა შალვამ უპასუხა: — ნამდვილად არ ვკითხულობდი, რადგან არ მსურდა, მცოდნოდა — რა ენერა იქო. ან რა მნიშვნელობა აქვს? არ მოვაწერდი ხელს და თითებზე დამაძრობდნენ ფრჩხილებს და ისე მომანერინებდნენო. მე მაშინ აღვიქვი, თუ რა გამოიარა მან გადასახლებაში ყოფნის დროს. თუმცა ჩემი, როგორც ახალგაზრდა ადამიანის, რეაქცია მაშინ ასეთი იყო: არ მესიამოვნა ეს ფაქტი. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გავიდა, მით უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. ყველაფერზე ბრმად ხელისმონერით იგი ამბობდა: დამანებეთ თავი და მომშორდით აქედანო.

ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ ასეთი დიდი პიროვნების წინაშე.

მარიამ ლორთქიფანიძე,  
აკადემიკოსი, 2013 წ.

\* 7 \*

## თხამოსწორებულის „მარგალიტები“

შალვა ნუცუბიძის მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვა საქვეყნოდ ცნობილი გახლდათ. მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ... ცნობილია მისი იუმორიც. გთავაზობთ მის დიალოგებს ცნობილ ადამიანებთან, რაშიც მეცნიერის სწორედ რომ ენამოსწრებულობა და იუმორი ჩანს.

\* \* \*

შალვა ნუცუბიძეს ერთხელ შეკამათება მოუხდა პრორექტორთან, რომელიც გვარად გვერდწითელი იყო. როცა მოთმენა აუტანელი გახდა, შალვა ნუცუბიძემ ხმამაღლა წამოიძახა: — მთლად წითელმა ვერაფერი დამაკლო და გვერდწითელმა რა უნდა მიქნასო...

\* \* \*

შალვა ნუცუბიძეს ლექციაზე აგვიანდება. ვესტიბულში მას რექტორი ნიკო კეცხოველი შეხვდა და მიაძახა: „შალვა, როდის იწყება ლექცია?“ შალვამ მხარუკულმა უპასუხა: „როცა ლექტორი აუდიტორიაში შევა!“

\* \* \*

შალვა ნუცუბიძე ცოტათი ფულის მოყვარული კაცი იყო და ერთხელაც, ფონეტიკოსმა გიორგი ახვლედიანმა ჰკითხა: „შალვა, როგორ არის შენი ფულესოფია?“, რაზეც შალვა ნუცუბიძემ უპასუხა: „შენს ფუნეტიკაზე უკეთ!“

\* \* \*

ერთხელ ლექციის დროს ვიღაცამ სცადა კარის შეღება... ნუცუბიძე მივიდა კართან, გამოაღო და თქვა: — მობრძანდით, — და კარიც უმაღ მიხურა, ისე რომ, სტუდენტმა შესვლა ვერ მოასწრო. შალვა ნუცუბიძე მიუპრუნდა სტუდენტებს და უთხრა: — აი, ეს არის ინგლისური პოლიტიკაო. სტუდენტი, რომელიც კარის ჭუჭრუტანიდან ყურს უგდებდა ლექტორს,

საბოლოოდ ნუცუბიძემ კლასში შეიყვანა და უთხრა: — ჭუ-  
ჭრუტანიდან ფილოსოფია ჯერ არავის შეუსწავლიაო.

\* \* \*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის დროს  
რექტორმა ნიკო კეცხოველმა შალვას რაღაცაზე უსაყვე-  
დურა. მალევე, მეგობრების საუბარი კამათში გადაიზარდა.  
თავისი ფიცხი ხასიათით ცნობილი კეცხოველი შალვასთან  
კამათმა წყობიდან გამოიყვანა და მთელი ხმით განაგრძო  
მასთან დავა. უცებ, ნუცუბიძემ მეგობარს ზურგი შეაქცია  
და ფანჯრიდან უნივერსიტეტის ეზოში დაიწყო ყურება,  
იქით, სადაც დაკრძალული არიან ივანე ჯავახიშვილი და სხვა  
დიდი ქართველები. მისმა ასეთმა ქცევამ ნიკო კიდევ უფრო  
გააპრაზა და შალვას ჰქითხა: — რაო, რას გეუბნებიან? — ეჱ,  
მაგისთანა ცოცხლებთან ყოფნას, ისევ ჩვენნაირ მკვდრებთ-  
ან ყოფნა გერჩიოსო... — უპასუხა შალვა ნუცუბიძემ ნიკო კე-  
ცხოველს, რაზეც ორივეს სიცილი წასკდა.

\* \* \*

უნივერსიტეტის რექტორი 20-წუთიან სიტყვას ამბობდა  
საერთო კრებაზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდნენ  
ახალ სასწავლო წელს და დასძინა: — თუ სტუდენტები არ  
სწავლობენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პროფესორები არ ვარ-  
გიან. ასეა, თევზი თავიდან ყროლდებაო.

ყველა შეწუხდა. უხერხულობამ დაისადგურა. სიჩუმე ჩამ-  
ოვარდა. შალვა ნუცუბიძე წამოდგა და ხმამაღლა დაუდას-  
ტურა: — სრულ ჭეშმარიტებას ამბობთ, თევზი თავიდან ყრ-  
ოლდებაო.

ყველამ შვებით ამოისუნთქა და გაეცინათ კიდეც.

რექტორმა შენიშნა: — განა ყოველთვის კარგია მასხრო-  
ბა?

— განა თქვენ იმასხრეთ? — უპასუხა ნუცუბიძემ, — სრუ-  
ლი ჭეშმარიტება თქვით — თევზი თავიდან ყროლდება...

\* \* \*

ერთ-ერთ თავყრილობაზე, როგორც ყოველთვის, ხალხი შალვა ნუცუბიძის გარშემო იყრიდა თავს. ერთმა თურმე მას შორიდან დაუძახა: — როგორ ხართ, შალვა ბატონო?

- მეხივით, მეხივით... — ხმამაღლა გასძახა შალვამ.
- გამოიწით, თავში არ დაგვეცეს, — იხუმრა ერთმა.
- ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილას არ ეცემა, — მიახალა შალვამ.

\* \* \*

შალვა ნუცუბიძე რომ დააპატიმრეს, საკანში მთელი ღამე, თურმე, გმინავდა და ანგრევდა იქაურობას.

პატიმრები აყაყანებულან — გაჩერდი ერთი რა, შენზე ნაკლები ვართ, აქ რომ ვსხედვართო?

გამწარებულ მეცნიერს სხვა რა გზა ჰქონდა, გაჩუმებულა.

გათენებისას მზის სხივი სარკმელს რომ მოადგა, ნამომდგარა, ხელები გაუშლია და ხმამაღლა უთქვამს:

„მზეო, მზეო, საქართველოს მზეო,

ისეთი რა დაგიშავე, აქ რომ ჩამაგდეო?!"

პატიმრებმა ეს რომ გაიგონეს, ხელში აიტაცეს ნუცუბიძე, თან ბოდიშებს უხდიდნენ, გვაპატიე, გუშინ ცუდად რომ მოგექეცითო.

\* \* \*

ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე საფლავთან შალვა ნუცუბიძე ნიკო კეცხოველის გვერდით აღმოჩნდა. კეცხოველს უთქვამს — რაო, შალვა, მაგის გვერდით წოლა ხომ არ გინდა და შენცო? — მართალი ხარ, შენთან დგომას, ამასთან წოლა მირჩევნიაო, — ენამოსწრებულად უპასუხია შალვა ნუცუბიძეს.





გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქცია, 2018